ტიბეტური ზღაპრები

თბილისი 2011 წელი

ტიბეტური ზღაპრები.თბილისი.2011 წელი.86გვ.
რუსულიდან თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა

საოცარი მარცვლები

მრავალი ასეული წლის წინათ ტიბეტში დიდი სახელმწიფო-ბულო მდებარეობდა.მისი მოსახლეობა მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდა და ამიტომ იაკის და ცხვრის ხორცის გარდა,სხვა საჭმელი არ იცოდნენ და იაკისა და თხის რძის გარდა,არაფერს სვამდნენ.

ქერის მარცვლისაგან დამზადებულ ცზამბესა* და სასმელ ციანზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.ბულოს ქვეყანაში ერთი მჭედელი ცხოვრობდა,რომელსაც ჭკვიანი,გულადი და კეთილი ვაჟი ჰყავდა.ვაჟს აჩუ ერქვა.ერთხელ უცხო ქვეყნიდან მოსული ვაჭრებიდან აჩუმ ქერის მარცვლების შესახებ გაიგო,რომლიდანაც გემრიელი და ყუათიანი საჭმელი მზადდებოდა.

ეს მარცვლები ოთხმოცდაცამეტი მთისა და ოთხმოცდაცამეტი მდინარის იქით მდებარე მთის ყოვლისშემძლე სულის-ჟუდას მღვიმეში ინახებოდა.აჩუმ გადაწყვიტა მთის სულთან წასულიყო და თავისი ხალხისთვის ქერის მარცვლები ეთხოვა.თავისი მიზნის შესახებ დედ-მამას მოუყვა.მშობლები დიდხანს არ თანხმდებოდნენ თავისი ერთადერთი ვაჟის ასეთ ძნელ,სახიფათო გზაზე გაშვებაზე,მაგრამ ვაჟი მიზანდასახული იყო და მშობლებიც დათანხმდნენ.

მთის სულთან აჩუსთან ერთად მისი ოცდახუთი ნათესავი წავიდა.მჭედელმა ყველას მახვილი გამოუჭედა და ერთ ადრიან დილას პატარა რაზმი შორეულ გზას დაადგა.

დიდხანს მიდიოდა აჩუ თანამგზავრებთან ერთად ძნელ გზაზე,ერთ მთას გადაივლიდნენ,მათ წინ მეორე აჭიმართებოდა,ერთ მდინარეს გადალახავდნენ,მეორე ხვდებოდათ.გზაზე ბევრი დაიღუპა,ზოგი ღრმა უფსკრულში გადაიჩეხა,ზოგი გარეულმა ნადირმა დაგლიჯა,ზოგი შხამიანმა გველმა დაგესლა.ერთი სიტყვით,ოთხმოცდათვრამეტი მთის გადასვლისა და ოთხმოცდათვრამეთი მდინარის გადალახვის მერე ცოცხალი მხოლოდ აჩუ დარჩა.თავისი ცხენი აღვირით ეჭირა და ოთხმოცდამეცხრამეტე მთაზე ნაბიჯ-ნაბიჯ ადიოდა.უღელტეხილს მიაღწია და დედაბერი დაინახა,რომელიც მაღალი ფიჭვის ქვეშ იჯდა და შალის ძაფს ართავდა.აჩუ მიუახლოვდა,თავი მოწიწებით დაუკრა და ჰკითხა,თუ სად მდებარეობდა მთის სულის-ჟუდას სამყოფელი და იქამდე როგორ მიეღწია.

-შენ ვინ ხარ?ჟუდა რისთვის გჭირდება?-ჰკითხა დედაბერმა.

აჩუმ მოუყვა ვინ და საიდან იყო და რისთვის მოვიდა.

დედაბერი მიწის ქალღმერთი იყო,თავაზიანი და მოხდენილი ვაჟკაცი მოეწონა და უთხრა:

-ჟუდას ნახვა ძალიან ადვილია.მთიდან დაშვებისას მდინარეს დაინახავ,მდინარის გადალახვის მერე გზა ნაპირის გასწვრივ ზემოთ გააგრძელე,მდინარის სათავესთან უზარმაზარი ჩანჩქერი შეგხვდება,იქ მთის სულის სახელი სამჯერ დაიძახე და მაშინვე შენ წინ გაჩნდება.

აჩუმ ოთხმოცდაცხრამეტი მდინარის სათავეს მიაღწია და მაღალი მდინარიდან გადმომდინარე უზარმაზარი ჩანჩქერი დაინახა.სახით ჩანჩქერისაკენ დადგა და ხმამაღლა წარმოთქვა;-პატივცემულო მთის სულო ჟუდა! მოიღე მოწყალება,გამომეცხადე,შენთან საქმე მაქვს.

ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა და უცებ ჩანჩქერის ნაკადზე ვეებერთელა მოხუცი წარმოსდგა.მისი თავი მთის ზემოთ სცდებოდა,წვერი კი მდინარემდე სწვდებოდა,თვითონ ჩანჩქერზე აღმართულიყო.

-ვინ მეძახდა? შენ, ჭაბუკო? საიდან მოხვედი? რისთვს გჭირდები?-მჭექარე ხმით

იკითხა მთის სულმა.

-პატივცემულო მთის სულო-ჟუდა,მე ბულოს ქვეყნიდან მოვედი.ამბობენ,ქერის მარცვლები გაქვთ.ცოტაოდენი მომეცი,ჩემს ხალხს წავუღებ.

-შეცდი ჭაბუკო,-გაეცინა მთის სულს,-ქერის მარცვლები გველთა მეფეს აქვს,ქერი მას მოჰყავს.

აჩუ დაღონდა.მთის სულს კითხა გველთა მეფე სად ცხოვრობდა და მისგან ქერის მარცვლები როგორ მოეპოვებინა.

-გველთა მეფე,კაბულე მთის დიდ მღვიმეში ცხოვრობს.მღვიმე ფეხმარდი ცხენით შვიდი დღის სავალზეა,მაგრამ კაბულე სასტიკი და ძუნწია.ადამიანებ ქერის მარცვლებს არ გაუყოფს.მასთან ქერის მარცვლებისათვის ბევრი მისულა,მაგრამ ყველა ისინი ძაღლებად აქცია და შეჭამა.თუ შენც მასთან მიაღწევ,ძაღლად გაქცევს და შეგჭამს.

-მე არ მეშინია,ოღონდ ქერის მარცვლები მოვიპოვო,-უთხრა აჩუმ მთის სულს.

-ქერის მარცვლები რომ მოიპოვო,უნდა მოჰპარო.შემოდგომაზე გველთამეფე მოსავალს აიღებს,ტომრებში ჩაყრის და თავისი ტახტის უკან შეინახავს.ტახტს ასი მცველი იცავს.ათ დღეში ერთხელ გველთა მეფე დრაკონთა მბრძანებელთან მიემგზავრება და სანთიობოს სანთელის დაწვამდე უკან ბრუნდება.მცველები ამით ყოველთვის სარგებლობენ და ცოტას წაუძინებენ ხოლმე.სწორედ ამ დროს შესაძლებელია კაბულეს მღვიმიდან ქერის მარცვლების მოპარვა მოასწრო.

მერე მთის სულმა უბიდან მარცვლისოდენა ბურთულა ამოიღო და აჩუს მისცა,თან დააყოლა:

-მე უკვე მოხუცი ვარ და ვერ დაგეხმარები.ქართა მარგალიტს გაჩუქებ,შენთან იქონიე და როცა გაგიჭირდება,პირში ჩაიდე და დაგეხმარება,რათა ქარის სიჩქარით გამოიქცე.დაიმახსოვრე,თუ გველთა მეფე ძაღლად გადაგაქცევს,მისგან სწრაფად გამოიქეცი და ის ქალიშვილი მოძებნე,რომელიც შენ-ძაღლს შეგიყვარებს.თუ ასეთ ქალიშვილს იპოვი,შენს ქვეყანაში დაბრუნდი და მაშინ შენ ისევ ადამიანად გადაიქცევი.ჭაბუკო,გზას გაუდექი! წარმატებას გისურვებ!

აჩუ ცხენს მოახტა და გზა გააგრძელა.გველთა მეფის სამფლობელოებს მიაღწია,უნაგირიდან საგზლით სავსე ტომარა გადმოიღო,ცხენი ლაგამისგან გაათავისუფლა და გაუშვა.ტომარა ზურგზე მოიკიდა და მთაზე ავიდა,სადაც გველთა მეფე-კაბულე ცხოვრობდა.კაბულეს მღვიმის პირდაპირ ხეობის მეორე მხარეს პატარა მღვიმე შენიშნა.ხმელი ბალახით და ტოტებით ამოიფინა,წამოწვა და მრისხანე კაბულეს სამფლობელოს დააკვირად.

დადგა დღე,როცა კაბულე დრაკონთა მბრძანებელთან სტუმრად წავიდოდა.აჩუს ჩასთვლიმა,უცებ ზარების მელოდიურმა ხმამ გააღვიძა.მღვიმიდან გაიხედა და დაინახა,რომ გველთა მეფე მცველების თანხლებით მღვიმიდან

გამოდიოდა.ქერცლოვანი ხალათი ეცვა,რომელზეც ვერცხლის ურიცხვი ზარი ჰქონდა დაკერებული.

ჭაბუკი მიხვდა,რომ კაბულე დრაკონთა მბრძანებელთან სტუმრად მიდიოდა.

აჩუ საფარიდან უცებ გამოვარდა,ხეობაში სწრაფად დაეშვა და გველთა მეფის მღვიმეში შეძვრა.მღვიმის შესასვლელში აჩუმ მძინარე მცველები დაინახა.ის იყო მღვიმეში უნდა შესულიყო,რომ ვერცხლის ზარების ხმა ისევ მოესმა.გველთა მეფე უკან ბრუნდებოდა.მცველებმა წამოიწიეს,აფაციფუცდნენ.აჩუ კი გზის გასწვრივ მაღალ ბალახში ჩაწვა და სუნთქვაშეკრული გაისუსა.

როცა გველთა მეფე მღვიმეში გაუჩინარდა,აჩუ ბალახებიდან ჩუმად გამოვიდა და თავის საარში დაბრუნდა.პატარა მღვიმეში მწოლიარე ჭაბუკი დიდხანს ფიქრობდა გველთა მეფის დაბრუნებამდე ქერის მარცვლები როგორ მოეპარა.ბოლოს მოიფიქრა:თავის საფარ მღვიმესთან მდგარ ხეზე თოკი მოაბას,ნაპირიდან ერთი ნახტომით ხეობაზე გადახტეს და ხეობაში ჩასასვლელი და გველთა მეფის მღვიმემდე ასასვლელი დრო დაზოგოს.

დრაკონთა მბრძანებელთან სტუმრობის დრო ისევ მოვიდა.შუადღისას გველთა მეფემ მცველებთან ერთად თავისი მღვიმე ისევ დატოვა.აჩუს დრო არ დაუკარგავს,მაღალ ხესთანნ სწრაფად მივიდა,მარჯვედ ამვრა,თოკი მოაბა,თოკის მეორე ბოლოს ხელი წაავლო და უფსკრულზე გაბედულად გადახტა.გრძელმა თოკმა პირდაპირ კაბულეს სამყოფელის შესასვლელთან გადაახტუნა.მძინარე მცველებს ფრთხილად აუარა და მღვიმეში შევიდა.იქ ძალიან ბნელოდა.ხელით კედელს ეყრდნობოდა და წინ ისე მიდიოდა.წინა დარბაზში მარადიული ცეცხლი ენთო,რითაც მთელი დარბაზი ნათდებოდა.ტახტის ახლოს მცველებს ეძინათ,ტახტის იქით კი მარცვლით სავსე ტომრები ეწყო.

აჩუმ მცველებს გადააბიჯა და ოქროსფერი მარცვლები ტომარაში ჩაყარა.ტომარა,რომელიც მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული,სულ გაავსო,მერე ორივე მუჭითაც აიღო და გასასვლელისკენ გაემართა.

აჩუს სიხარულისგან სიფრთხილე დაავიწყდა და გამოსასვლელთან ორ მცველს წამოედო.მცველები ელვის სისწრაფით წამოხტნენ და გრძელი შუბებით ჭაბუკს გზა გადაუღობეს.აჩუ არ დაიბნა.მან მცველებს მუჭით ქერის მარცვლები თვალებში შეაყარა და მახვილს ხელი სტაცა.სანამ მცველები თვალებს იწმენდდნენ,აჩუმ მღვიმიდან გამოსვლა მოასწრო,მაგრამ ხმაურმა სხვა მცველები გააღვიძა და ფუტკრის გუნდივით დაესივნენ.ჭაბუკმა ალყა გაარღვია,გარეთ გამოვარდა და პირდაპირ დაბრუნებულ გველთა მეფისკენ გაიქცა.წინ გველთა მეფე,უკან კი მისი მცველები.მაშინ აჩუმ ქართა მარგალიტი პირში ჩაიდო და ქარაფიდან ხეობაში გადაეშვა.გველთა მეფემ დაინახა,ბოროტად გადაიხარხარა და ხელი ჭაბუკისკენ გაიშვირა.უცებ გაიელვა,დაიქუხა და აჩუ ყვითელ ძაღლად გადაიქცა.მაგრამ მთის სულის რჩევით შორს სწრაფად გაიქცა,თითქოს ფრთები გამოესხა და ერთი ნახტომით ხეობას და მაღალ მთებს გადაევლო.უკან ქუხდა და ელავდა,მაგრამ აჩუს ვეღარ დაეწეოდნენ.

ყვითელ ძაღლად გადაქცეული აჩუ დიდხანს მირბოდა,სანამ ბულოს ქვეყნის მოსაზრვრე სათავადოს-ლუდჟოს არ მიაღწია.ლუდჟოშიც მარცვლეულს არ თესავდნენ.ადგილობრივი თავადის ტუსის კოშკის სიახლოვეს მხოლოდ რამდენიმე ხეხილი იდგა,ირგვლივ კი ველური სტეპი განვრცობილიყო,სადაც იაკისა და ცხვრის ფარები ძოვდა.

აჩუმ სათავადოს მცხოვრებლებისგან გაიგო,რომ მათ ტუსისს კენპარა ერქვა.კენპანს სამი ასული ჰყავდა.უფროსს ცეტანი ერქვა,შუათანას-ხამუცო,უმცროსს

კი ემანი.სამი დიდან ემანი არამარტო ულამაზესი,არამედ უკეთილშობილესიც იყო.ის ყველა ღარიბს ეხმარებოდა,ცხოველებსაც არ აწყენინებდა,მშიშარა ჩიტებიც კი მისი ხელიდან საკენკს კენკავდნენ.

„მხოლოდ ემანი მიხსნის“,-გაიფიქრა აჩუმ,როცა მთის სულის დარიგება გაახსენდა.გადაწყვიტა ემანი მოეძებნა,კეთილი ქალიშვილისთვის ქერის მარცვლები ეჩუქებინა და დამეგობრებოდა.

ძაღლად გადაქცეული აჩუ ტუსი კენპანას კოშკის შორიახლოს რამდენიმე დღე დაეხეტებოდა და ერთხელ დაინახა,რომ ემანი კოშკიდან გამოვიდა და მდელოზე ყვავილებს კრეფდა.აჩუმ მასთან მიირბინა,გახარებული უყეფდა,კბილებით კალთას ექაჩებოდა და კუდს აქიცინებდა.ქალიშვილს ყვითელი ძაღლი ძალიან მოეწონა,დაიხარა და თავზე ხელი გადაუსვა.ძაღლმა ემანს ჭკვიანური თვალრბით შეხედა და თათით კისერზე ჩამოკიდებულ ტომარაზე მიანიშნა.

ემანმა აჩუს კისრიდან ტომარა მოხსნა,ფრთხილად გახსნა და ოქროსფერი მარცვლები დაინახა.მაგრამ ქალიშვილმა არ იცოდა რა მარცვლები იყო და როგორ გამოეყენებინა.მაშინ ძაღლმა კალთაზე ისევ მოქაჩა,მიწაში პატარა ორმო ამოჩიჩქნა და დრუნჩით ხან ორმოზე,ხან მარცვლებზე მიანიშნა.ემანი ძაღლის სურვილს მიხვდა და აჩუს ამოჩიჩქნილ ორმოში ოქროსფერი მარცვლები ჩაყარა და მიწა გადააფარა.ემანი კოშკში ყვითელ ძაღლთან ერთად დაბრუნდა.

კეთილ ქალიშვილს ლამაზი და ალერსიანი ძაღლი ძალიან შეუყვარდა და ისიც ერთი ნაბიჯით არ სცილდებოდა და ჭკვიანური და მეტყველი თვალებით სევდიანად უყურებდა.

დადგა შემოდგომა.ხეხილი დამწიფდა.იაკები და ცხვრები დასუქდნენ.ტუსი კენპანას ქალიშვილს გათხოვების დრო დაუდგა.

შემოდგომის ერთ თბილ დღეს ტუსის კოშკის წინ მდელოზე მხოიარული სეირნობა მოეწყო.წარჩინებული ხალხი ოჯახებით შეიკრიბნენ.ბევრი იმღერესდა იცეკვეს და რძით,კარაქითა და მარილით შეზავებული ბევრი ჩაიც დალიეს.

და ბოლოს უკანასკნელი ცეკვის დროც დადგა,როცა ტუსის ქალიშვილებს საქმროები უნდა აერჩიათ.ძველი ადათის მიხედვით ცეკვისას ქალიშვილებს ხელში ხილი უნდა სჭეროდათ და მერე თავისი რჩეულებისთვის გადაეცათ.

ტუსის ქალიშვილებმა პირველი წრე შემოუარეს და უფროსმა ქალიშვილმა პირველი ვეზირის ვაჟს გადასცა და წრიდან გამოვიდა.ცეკვას ორი და აგრძელებდა და შუათანა დამ ხილი მეზობელი ტუსის ვაჟს გადასცა და ცეკვაც დაამთავრა.ემანი წრეში მესამეჯერ შევიდა,მაგრამ ვერავინ ამოირჩია.შეკრებილთა შორის ბევრი მოხდენილი ვაჟკაცი იყო,მაგრამ ქალიშვილის აზრით,თითოეულს ცაალ-ცალკე რაღაც აკლდა და თავის გულს ვერავის უძღვნიდა.

ახალგაზრდები ერთმანეთს უკვე ეჩურჩულებოდნენ:-ბოლოს და ბოლოს,ემანი საქმროს აირჩევს?ყველას უნდოდა კეთილი,ლამაზი,ჭკვიანი ქალიშვილი ცოლად შეერთო.

ემანი საცეკვაოდ მეოთხედ გავიდა დაუცებ თავისი საყვარელი ყვითელი ძაღლი დაინახა.აცრემლებული აჩუ სტუმრებს შორის იჯდა და ქალიშვილს თვალს არ აშორებდა.ემანს გული აუფანცქალდა და აცეკვებული ყვითელ ძარლს მიუახლოვდა.ქალიშვილი სულ არ ფიქრობდა ძაღლი ქმრად აერჩია,მაგრამ მიახლოებისას ხილი ხელიდან გაუვარდა და ძაღლისკენ გაგორდა.

-ემანმა საქმროდ ძაღლი აირჩია! ემანმა საქმროდ ძაღლი აირჩია! -დაიყვირეს გაბრაზებულმა ახალგაზრდებმა,რომლებიც ხილს ამაოდ ელოდნენ.

ემანი უფროსმა დებმაც არ შეიცოდეს და სხვებთან ერთად დასცინოდნენ.

ტუსი კენპანა ფრიად ამაყი და თავმოყვარე კაცი იყო.დაინახა რა,რომ ხალხი მის ქალიშვილს დასცინოდა,საშინლად განრისხდა,ემანზე მიუთითა და დაიყვირა:

-რადგან შენ ძაღლი შეიყვარე და ხალხის თვალწინ ამოირჩიე,შენს ძაღლთან ერთად აქედან წადი და ჩემს კოშკში აღარ დაბრუნდე!

ემანი აქვითინდა.ყვითელი ძაღლი მარტო არ ტოვებდა.ის იმ მინდორში წავიდა,სადაც ქერი დათესა და დაინახა,რომ ირგვლივ თავთავები დამწიფებულიყო და თავს უხრიდნენ-თითქოს ესალმებოდნენ.ემანი მიწაზე ჩაიკეცა,თავის ძაღლს მოეხვია და უფრო მწარედ აქვითინდა.

-მშვენიერო ემან,ნუ მოთქვამ,-ადამიანის ხმით უთხრა ძაღლმა.

ქალიშვილმა მოულოდნელობისგან ტირილი შეწყვიტა და გაკვირვებულმა და შეშინებულმა ძაღლს შეხედა.

-ნუ გეშინია და ნუ გიკვირს,მე ადამიანი ვარ და არა ძაღლი.

-ადამიანი?ძაღლად როგორ გადაიქეცი?-წამოიძახა ემანმა.

აჩუმ ამოიოხრა და მოუყვა:-შენ,რა თქმა უნდა,გაგიგია ბულოს ქვეყნის შესახებ.მე ამ ქვეყნის მჭედლის შვილი ვარ.ჩვენი ხალხი,როგორც შენი ხალხი,ქერს არასოდეს თესდნენ და არც მისი მარცვლისაგან გაკეტებულ საჭმელს ჭამდნენ.მე გველთა მეფეს-კაბულეს ქერის მარცვლები მოვპარე,მან კი შური იძია და ძაღლად გადამაქცია.მაგრამ შემიძლია ისევ ადამიანად ვიქვე.

ემანმა ქერის დამწიფებულ ყანას და მის წინ მდგომ ძაღლს გადახედა და წარმოუდგა,რომ ყვითელი ძაღლის ნაცვლად მოხდენილი,გულადი ახალგაზრდა იდგა,ძაღლისკენ დაიხარა,მოეხვია და აკანკალებული ხმით ჰკითხა:

-ადამიანად როდის იქცევი?

-როცა ვინმე ქალიშვილი ქრფელი გრძნობით შემიყვარებს,-მიუგო აჩუმ.

- მე შენ მ იყვარხარ! ნამდვილად მიყვარხარ!ადამიანად არტომ არ გადაიქცევი?კიდევ რით დაგეხმარო?

-თუ შენ ნამდვილად გიყვარვარ,მაშინ ქერის დამწიფებული თავთავები მოაგროვე,ტომარა შეკერე და მარცვალი შიგ ჩაყარე.ჩემს ქვეყანაში წავიდეთ,გზა და გზა ქერი დავთესოთ.დაე,ხალხმა ისარგებლოს და როცა ჩემს ქალაქში მივალთ,ისევ ადამიანად გადავიქცევი.

ემანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მოსავლის აღებას შეუდგა,მერე წინსაფარი დახია,ტომარა შეკერა და ქერის მარცვლებით აავსო.

აჩუმ და ემანმა დიდხანს იარეს და გზაზე თან ქერის მარცვლებს თესდნენ.ბოლოს მაღალი კედლით შემოსაზღვრული დიდი ქალაქი გამოჩნდა.

-აქ დაგტოვებ.სანამ მე ყვითელი ძაღლი ვიქნები,არ მინდა,რომ ჩემიანებმა ერთად დაგვინახონ.ქალაქში რომ შეხვალ,იკითხე მჭედელი სად ცხოვრობს და პირდაპირ იქით წადი.-ამ სიტყვებით აჩუ უცებ გაუჩინარდა.

ემანმა ქალაქის კარიბჭეს მიაღწია და გამვლელებს მჭედლის ადგილსამყოფელი ჰკითხა.

-ბაზრამდე მიხვალ და იქ ყველა მიგასწავლის,-უხრეს ემანს.

ემანი ბაზარსი შევიდა თუ არა,მის შესახვედრად ყვითელი ძაღლი გამოხტა.სანამ ქალიშვილთან მიირბენდა,შეჩერდა და მოულოდნელად გაჩენილ თეთრ კვამლში გაუჩინარდა.კვამლი სწრაფად გაიფანტა და ძაღლის ადგილას ემანმა მაღალი,წარმოსადეგი ვაჟკაცი დაინახა.ეს აჩუ იყო,ქალიშვილს ხელი მოჰკიდა და თავის მშობლებთან მიიყვანა.

აჩუს დედ-მამა სიხარულისგან ატირდნენ,თავისი ვაჟი ცოცხალი და უვნებელი რომ დაინახეს და არ იცოდნენ ემანისთვის მადლობა როგორ გადაეხადათ.

მალე მჭედლის სახლში აჩუსა და ემანის მხიარული ქორწილი გადაიხადეს.ბევრი ხალხი მოვიდა.ახალდაქორწინებულების საპატივსაცემოდ სიმღერებს თხზავდნენ,აჩუს აქებდნენ,რომელმაც თავის ხალხს ქერის მარცვლები მოუტანა,სხვები ემანის სიკეტესა და ერთგულებას უმღეროდნენ.

მას მერე მთელ ტიბეტში ქერი მოჰყავთ და ადამიანებმა მისგან გემრიელი ცზამბეს გაკეთება ისწავლეს.

*ცზამბე-ქერის ფქვილს გაყავისფრებამდე მოხალავენ,მერე წყალში მოზელავენ,გუნდებს გააკეთებენ და გამოუცხობლად ჭამენ.

ღარიბი,რომელმაც ქაჯი მოატყუა

შორეულ წარსულში მდინარე ცანგაპოს შორიახლოს ერთ ხეობაში ერთი ღარიბი კაცი ცხოვრობდა,აგვანი ერქვა.დედ-მამა ბავშვობაშივე დაეხოცა,ნათესავები და მეგობრები კი არ ჰყავდა.

აგვანს მშობლებოდან ცოტაოდენი მამული,ძროხა და ძაღლი დარჩა.შეეძლო ღარიბად,მაგრამ მშვიდად ეცხოვრა,მაგრამ ქაჯების ეშინოდა.სულ ეჩვენებოდა,რომ ღამით რომელიმე ქაჯი მოვიდოდა და თან წაიყვანდა.“ნეტავ ღმერთი ვყოფილიყავი,ქაჯებს უფლებას არ მივცემდი კეთილი ხალხი დაეღუპათ,ყველა ქაჯს ფერფლად ვაქცევდი და მიწაში ღრმად ჩავფლავდი“,-ხშირად ფიქრობდა აგვანი და თავს უბედურება დაიტეხა.

ერთხელ,გვიან საღამოს,როცა მთის ზემოთ ვერცხლისფერი მთვარე ამოვიდა,აგვანის ძაღლი აყეფდა,თითქოს ვიღაცამ ჯოხი დაარტყა,მერე შორს ფლოქვების ხმა მოესმა,რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.აგვანმა ფანჯარასი გაიხედა და მთვარის შუქზე ფარჩა-აბრეშუმში ჩაცმული კაცი დაინახა,რომელიც შავ ცხენზე ამხედრებულიყო.ეს ადამიანი კი არა ქაჯია,-გაიფიქრა შესინებულმა აგვანმა.ეს მართლაც ქაჯი იყო.აგვანის ქოხს მიუახლოვდა,ცხენიდან ჩამოხტა და კარი ფეხით გააღო.შეშინებული აგვანი წელში მოიხარა,ენა გამოყო* და აკანკალებული ხმით წარმოთქვა:-მობრძანდით!მობრძანდით! მე თქვენ ჩაითა და კარაქით გაგიმასპინძლდებით.

ქაჯი ჩაფიქრდა და მიუგო:-მე ამაღამ შენი მშიშარა გულით მინდოდა მევახშმა,მაგრამ არდგან თაყვანი მეცი, ჯერჯერობით, სიცოცხლეს შეგინარჩუნებ.შვიდი დღის მერე მელოდე,მე ისევ მოვალ.თქვა და ცხენს მოახტა და სწრაფად გააჭენა.აგვანი მთელი ღამე წრიალებდა,ვერ დაიძინა,ბოლოს გადაწყვიტა:არ შეიძლება ხელებდაკრეფილი იჯდე და სიკვდილს ელოდებოდე.სადმე უნდა გავიქცე.ხვალ ამ ადგილს დავტოვებ და ბედნიერების საძებნელად იქ წავალ,სადაც ქაჯები არ არიან.

მეორე დღეს აგვანი მამულს დაემშვიდობა,ძროხა და ძაღლი წაიყვანა და უცხო მხარისკენ დაადგა გზას.ორი დჭე და ღამე შეუჩერებლად იარა.უცებ დიდი.წითელკარიანი სახლი დაინახა.უნდოდა შიგ შესულიყო დაღამის გათენება ეთხოვა,მაგრამ მოხუცების ნათქვამი გაახსენდა,რომ ქაჯებს წითელკარიან სახლში ცხოვრება უყვარდათ და გვერდი აუარა.აგვანმა კიდევ ხუთი დღე და ღამე იარა და ბოლოს თეთრკარიანი თეთრი სახლი დაინახა. „აქ კი ქაჯს არ შევხვდები“-გაიფიქრა და სახლში გაბედულად შევიდა.ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, შიშისგან კინაღამ ჩაიკეცა.შუა ოთახში,მაღალ სავარძელში თვით ის ქაჯი იჯდა.აგვანმა უცებ გაიაზრა,ქაჯთან მივიდა და უთხრა:

-დღეს შენ ჩემთან უნდა მოსულიყავი,მაგრამ საქმე არ გაგირთულე და შორი გზით მე თვითონ გეახელი.

-ხა!-ხა!-ხა!-რადგან ჩემი ასეთი დამფასებელი ხარ,სიცოცხლეს შეგინარჩუნებ და სამუდამოდ აქ დარჩები, რათა ჩემს ცხენებს, ძროხებს და იაკებს მოუარო.მაგრამ მითხარი,გული სად გაქვს?

-აი აქ,-უთხრა აგვანმა და გულზე ხელი დაიდო.

-შენი გული სად არის?-ჰკითხა აგვანმა.

-ჩემი გული კეთილსურნელების სასაკმევლეში დევს და მაშინვე უბრძანა:

-ცხენი სწრაფად შემიკაზმე,ერთ სოფელში ჩვენ ქაჯურ საქმეებზე მივდივარ და უკან გვიან ღამით დავბრუნდები,საქონელს აჭამე და დაარწყულე,მე კი ვახშამი

მომიმზადე.

-კარგი,-უთხრა აგვანმა და თან გაიფიქრა:-„შორს წადი,ახლა კი ვიცი როგორ ვიმოქმედო“.

ქაჯი წავიდა.აგვანმა ტომარაში ფიჩხი ჩაყარა,თბილი კარაქი მოასხა და დიდი კოცონი დაანთო.სასაკმევლე,რომელშიც ქაჯის ბოროტი გული იდო,ცეცხლში ჩააგდო.უცებ ალი ამოვარდა,ყყველა მხარეს ნაპერწკლები გაყარა,ბოლის სვეტი ცას წვდებოდა.ამ დროს ბოროტ ქაჯს სიკვდილმა უწია.

აგვანმა კი მისი საქონელი წამოიყვანა და თავის ქოხში დაბრუნდა.

მას მერე ქაჯების აღარ ეშინოდა.

*ენა გამოყო-ასე ესალმებიან რიგითი ტიბეტელები წარჩინებულ სტუმარს

თეთრი ლომის მომთვინიერებელი

ძველ დროში ტიბეტში ბოროტი და დაუნდობელი ლებსონი მეფობდა.ერთხელ, თავის მზეთუნახავ ცოლზე დოლმოზე განრისხდა და სანდო მსახურს უბრძანა შორს ტყეში წაეყვანა და იქ მხეცების შესაჭმელად დაეტოვებინა.იმ დროისათვის დოლმო ბავშვს ელოდებოდა.

მსახურს საცოდავი ქალი ეცოდებოდა, მაგრამ რა ექნა? თუ ბრძანებას არ შეასრულებდა თავს დაკარგავდა. დოლმო ცხენზე შესვა და ლუბსანის თვალს მოარიდა. ორი დღე გავიდა,რაც სახლიდან წამოვიდნენ,ტყე ხშირდებოდა.მესამე დღეს საღამოს მსახურმა ცხენი შეაჩერა,დოლმო ცხენიდან ჩამოსვა,ცოტა საჭმელი,კვესი და დანა მისცა და თვითონ სახლისკენ გააჭენა.

დოლმო უსიერ ტყეში მარტო დარჩა და ატირდა.იარა,იარა და უცებ პატარა,ნახევრადდანგრეულ ქოხს მიადგა.ქოხის დანახვა დოლმოს გაუხარდა და გადაწყვიტა იქ ეცხოვრა. „გარეული მხეცებისაგან დაცული ვიქნები“-გაიფიქრა.

საცოდავს მძიმე დრო დაუდგა.ველურ ხილს,კენკრას და საკვებ ძირხვენებს აგროვებდა.საკუთარი თმისგან კაკანათი დაწნა და პატარა ცხოველებსა და ჩიტებს უდგამდა,თევზს ნაკადულში ხელით იჭერდა.დოლმომ იცოდა,რომ ბავშვს ატარებდა და სიცოცხლეს მისთვის ინარჩუნებდა.

მოვიდა დრო და ბავშვი არ დაიბადა.მხოლოდ მესამე წელს ჯანმრთელი,ძლიერი და მწითური ბიჭი გააჩინა.

დოლმოს ბიჩი არაჩვეულებრივი აღმოჩნდა.დაბადებიდანვე ალაპარაკდა.დედამ შვილს დორჩჟე დაარქვა,რაც ტიბეტურად „მქუხარე ისარს“ ნიშნავს.

დორჩჟე დღეებით კი არა საათობით იზრდებოდა.ერთი წლის მერე თხუთმეტი წლის ჭაბუკს ჰგავდა და უკვე ისრითაც ისროდა.მას მერე დოლმო საკვებზე აღარ ზრუნავდა.დორჩჟე ყოველდღე ნანადირევით ამარაგებდა.

ერთხელ დორჩჟე ნადირობიდან მსუქანი შვლით დაბრუნდა.როცა ხორცს ჭრიდა დედას ჰკითხა:

-ამა,მამა რატომ არ მყავს?

დოლმომ ცრემლი ვერ შეიკავა და უთხრა:

-შვილო,შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ,ცოტა კიდევ გაიზარდე,საუკეთესო მონადირე დადექი და მაშინ ყველაფერს მოგიყვები.

გავიდა ერთი წელიწადი.ბიჭი უფრო გაბედული და უშიშარი გახდა.ახლა თვით მთის დათვიც კი გზას უთმობდა,ირემს დორჩჟე სირბილით დაეწეოდა.ერთხელ დორჩჟე ნადირობიდან გვიან დაბრუნდა და მხრებით უზარმაზარი ვეფხვი მოიტანა.დოლმო აღფრთოვანდა,ხედავდა,რომ მისი ვაჟი გამორჩეული მონადირე დადგა.დორჩჟე ვეფხვს ატყავებდა და დედას ისევ ჰკითხა:

-ამა,ვინაა მამაჩემი?სად ცხოვრობს?მინდა ამ ვეფხვის ტყავი ვაჩუქო.

დოლმო ატირდა და შვილს უთხრა:

-ჩემო შვილო,მამაშენი ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მეფეა და თავისი სევდიანი ამბავი მოუყვა.

დორჩჟე დედას მოეხვია,ცოტა ხნით ჩაფიქრდა და გამოუცხადა:

-ამა,არ იდარდო,ხვალვე მეფესთან გავემგზავრები და ვაიძულებ შვილად მაღიაროს და შენ ისევ სასახლეში დაგაბრუნოს.

დოლმოს შეეშინდა,უნდოდა გადაეფიქრებინა,ის კი თავის სიტყვაზე მტკიცედ იდგა.მეორე დღეს ჭაბუკმა ვეფხვის ტყავი გადაახვია,მხარზე გადაიკიდა,მშვილდ-ისარი აიღო და გზას გაუდგა.

დორჩჟემ მრავალი მთა გადაიარა და მრავალი მდინარე გადალახა სანამ ლუბსანის ქალაქს მიაღწევდა.სასახლის კარიბჭესთან კარისკაცებმა შეაჩერეს:

-ვინ ხარ? მეფის ნახვა რისთვის გინდა?-ჰკითხეს კარისკაცებმა.

-მე შორეული მთების მონადირე ვარ და მეფეს საჩუქრად ვეფხვის ტყავი მოვართვი.

მცველებმა ლუბსანს მონადირის შესახებ აუწყეს,მან მისი შეშვების ნებართვა გასცა.როცა დორჩჟე ლუბსანს ეახლა,მან შეხედა და გაიფიქრა:-„ყველა ცნობილ მონადირეს ვიცნობ,მაგრამ ეს მწითური,ასეთი ვეფხვის მძლეველი არ მინახავს.“

-ეს ვეფხვი სად მოინადირე?-ჰკითხა მეფემ.

-შორეულ მთებში,თქვენი სამფლობელოების საზღვარზე.

-ასეთი ლამაზი ტყავისთვის რით დაგაჯილდოვო?

-არანაირი ჯილდო არ მჭირდება.მე აქ საკუთარი მამის სანახავად მოვედი.

-ვინ არის მამაშენი და სად ცხოვრობს?მითხარი და სასახლეში გამოვიძახებ.

-მამაჩემი შენ ხარ!-განუცხადა დორჩჟემ და დედის თავს გადახდენილი ამბავი მოუყვა.

ლუბსანი მოიღუშა,როცა ჭაბუკს უსმენდა და თავისთვის გაიფიქრა: „ეს ჭაბუკი არაჩვეულებრივი ადამიანია,რადგან ერთმა ასეთი ვეფხვი მოინადირა.დედის გამო შურს იძიებს და ტახტს წამართმევს.ხერხიანად უნდა მოვიშორო.“

დორჩჟეს კი ალერსიანად უთხრა:

-რა ბედნიერი ვარ,რომ ასეთი ძლიერი და გაბედული ვაჟი მყავს! მხოლოდ ერთი ბრძანება შეასრულე და მერე ჩემს შვილად გამოგაცხადებ და დედაშენს სასახლეში დავაბრუნებ.

-მიბრძანე რა გავაკეთო!-გაუხარდა დორჩჟეს.

-ჩრდილოეთის მთებში თეთრი ლომი ბინადრობს.მას მერე,რაც იქ დასახლდა,იმ მხარეს სიარულს ვერავინ ბედავს.თეთრი ლომი მოკალი დამისი ტყავი მომიტანე.

-კარგი,მელოდე და შენი პირობა არ დაივიწყო-ამ სიტყვებით ლუბსანს თავი დაუკრა და სასახლიდან გამოვიდა.

დორჩჟე სულ წინ და წინ მიდიოდა და ბოლოს მაღალ მთებს მიაღწია.გზაჯვარედინზე ჭაღარა ბერიკაცი დაინახა,რომელიც ხის ჩრდილში ისვენებდა.ჭაბუკი მიუახლოვდა,მოკრძალებით მიესალმა და ჰკითხა:

-მოხუცო,ამბობენ ამ ადგილებში დიდი თეთრი ლომი ცხოვრობს,როგორ მივაგნო?

-თეთრი ლომი რისთვის გჭირდება?-დაინტერესდა მოხუცი.

-ჩვენმა მეფემ მიბრძანა მისი სამფლობელო ამ ლომისაგან გავათავისუფლო.

-ჭაბუკო, შენ გაბედული ხარ და მამაცი,მაგრამ თეთრი ლომი ჩვეულებრივი ცხოველი არ არის,ჯადოსნურია და მისი მოკვლა ძალიან ძნელია.მთის ამ ბილიკს პირდაპირ გაუყევი და განდეგილის საცხოვრისს მიადგები.მხოლოდ ის დაგეხმარება.

დორჩჟემ ბერიკაცს მადლობა გადაუხადა და მთის ბილიკს დაადგა.რაც უფრო შორს მიდიოდა,გზა უფრო რთულდებოდა.ჭაბუკის ფეხქვეშ ქვები უფსკრულში ცვიოდა.დორჩჟე დაიქანცა,ღონე გამოელია,მაგრამ შეუპოვრად მიდიოდა.

ბოლოს,ბილიკმა პატარა ხეობამდე მიიყვანა.ხეობაში პატარა მოკრძალებული ქოხი იდგა.ჭაბუკს დაღლილობა სულ დაავიწყდა.ქოხთან მიიჭრა და მთელი ძალით დააკაკუნა კარებზე.დორჩჟე დიდხანს აკაკუნებდა და უცებ კარებმა გაიჭრიალა დაზღურბლზე მაღალი, გამხდარი, წითელ ტანსაცმელში ჩაცმული კაცი გამოჩნდა.მან მკაცრად იკითხა:

-აქ რისთვის მოხვედი?ჩემი საცხოვრებელი ვინ მოგასწავლა?

განდეგილმა ჭაბუკის ამბავი მოისმინა და მოლბა.ხელი მოჰკიდა,შორს ბილიკი დაანახა და უთხრა:

ყურადღებით მომისმინე და კარგად დაიმახსოვრე.ამ ბილიკს გაუყევი და მთის ტბას მიაღწევ.ტბის პირას სანდალოზის ხე დგას.თეთრი ლომი ყოველ საღამოს იმ ადგილად წყლის დასალევად მიდის.ამ ხეზე აძვერი,ტოტი მოტეხე და ლომს დაუცადე.თავდაპირველად ტბაზე წყლის დასალევად ჩიტები მოფრინდებიან.არ დააფრთხო.მერე გარეული მხეცები მოვლენ.არც ისინი დააფრთხო.ბოლოს თეთრი ლომი გამოჩნდება.ზურგზე დაახტი და სანდალოზის ტოტი თავში ურტყი,თან უყვირე:-„მომემსახურები თუ არა!“ ლომი ხტუნვას დაიწყებს,მაგრამ ნუ შეგეშინდება,ხელი ფაფარს მაგრად ჩაჭიდე და ტოტი თავში მაგრად ურტყი,ლომს ძალა გამოეცლება და მსახურებაზე დაგთანხმდება.თუ შეგეშინდება,თეთრი ლომი ზურგიდან გადმოგაგდებს და დაგგლეჯს.

ჭაბუკმ ა განდეგილს გულითადი მადლობა გადაუხადა და მთის ტბისჯენ სწრაფად გაეშურა.ტბას მიუახლოვდა თუ არა,აყვავებული სანდალოზის ხე დაინახა,რომელიც ნაზ სურნელს გამოსცემდა.ვ ხეზე ავიდა,ტოტი მოტეხა და ფოთლებში დაიმალა.

უცებ ცა მოიქუფრა,ურიცხვი ჩიტებისგან ცა დაბნელდა.ჩიტები ტბის პირას დაფრინავდნენ,წყალი დალიეს და ჟივილ-ხივილით შორს გაფრინდნენ.მერე ყოველი მხრიდან წყლის დასალევად მხეცები მოვიდნენ:ირმები,ტახები,მთის ცხვრები,კულანები.დორჩჟე ხეზე სუნთქვაშეკრული იჯდა და თეთრი ლომის გამოჩენას ელოდა.

მხეცებმა წყალი დალიეს თუ არა,შორიდან ისეთი ღრიალი მოისმა,რომ თითქოს მთის მწვერვალები შეზანზარდა.შეშინებული ცხოველები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ,ტბას კი,უზარმაზარი თეთრი ლომი მიუახლოვდა .ლომი კამეჩისოდენა იყო და ფაფარი თითქმის მიწამდე სწვდებოდა.თეთრი ლომი სანდალოზის ხის ქვეშ შეჩერდა და ირგვლივ აკვირდებოდა.დორჩჟეს შიშისგან გული შეეკუმშა,მაგრამ შიშს სძლია,და ხიდან ლომს ზურგზე დაახტა,ერთი ხელით ფაფარში ჩააფრინდა,მეორე ხელით სანდალოზის ტოტს თავში ურტყამდა და უყვიროდა:

-მომემსახურები თუ არა?!

-არა!-დაუღრიალა ლომმა,ფაფარაშლილი ხტოდა,კუდს ურტყამდა,ცდილობდა ჭაბუკი ზურგიდან გადმოეგდო.

ის კი ლომის ფაფარს უფრო ძლიერად ჩაეჭიდა,გვერდებზე ფეხები შემოაჭდო,სანდალოზის ტოტს თავში ურტყამდა და თან უწყვედ იმეორებდა:

-დამემორჩილები თუ არა?

სანდალოზის ხის ტოტის ჯადოსნურმა ძალამ ლომის მრისხანება დააცხრო და ლომი დამორჩილდა:

-გამიშვი და მოგემსახურები.სადაც არ უნდა იყო სანდალოზის ტოტი დაიქნიე და თქვი: „ჩემთან გაჩნდი“ და მე მაშინვე შენთან გავჩნდები და შენს ბრძანებას შევასრულებ.

-კარგი,წადი და მგზავრებს თავს ნუღარ დაესხმები.

-ნება შენია,-დაეთანხმა თეთრი ლომი და შორს გადაიკარგა.

დორჩჟემ უკან დაბრუნებისას მთის მიხვეულ-მოხვედულები სულ ცოცვით გამოიარა და ბოლოს სასახლემდე მიაღწია.მცველებმა მეფესთან შეუშვეს.

-თეთრი ლომის ტყავი სად არის?ჩემი ბრძანება არ შეგისრულებია და რატომ დაბრუნდი?-მკაცრად იკითხა მეფემ.

მე თეთრი ლომი არ მოვკალი,მოვათვინიერე და საშიში აღარ არის.

-შენ თეთრი ლომი მოათვინიერე?ამას რით დაამტკიცებ?

მაშინ დორჩჟემ სანდალოზის ტოტი დაიქნია და ხმამაღლა წარმოთქვა:

-ჩემთან გაჩნდი!

სიტყვის წარმოთქმა ვერ მოასწრო,რომ ისეთი ძლიერი ქარი ამოვარდა,ქვიშა და მტვერი სულ ჰაერში აიტანა და სასახლე შეაზანზარა.ამ ხმაურში სასახლის დარბაზში საშინელი ღრიალით უზარმაზარი თრთრი ლომი შემოვარდა.

შეშინებული და აკანკალებული ლუბსანი დორჩჟეს უკან დაიმალა და აკანკალებული ხმით ეხვეწებოდა:

-თეთრი ლომი მოაშორე! მოაშორე თეთრი ლომი! შვილად გაღიარებ და დედაშენს სასახლეში დავაბრუნებ.

მაგრამ როცა ლომი მოშორდა და მეფეს შიშმა გაუარა,თავისთვის გაიფიქრა: „თუ ამ მონადირეს არ მოვიშორებ,დამღუპავს.ისეთ დავალებას მივცემ,რომ ცოცხალი ვეღარ დაბრუნდეს.“ დორჩჟეს კი ალერსიანად უთხრა:

-შენ ჩემს შვილობას ნამდვილად იმსახურებ,მაგრამ ჩემს შვილს დედამიწის ზურგზე ულამაზესი ცოლი უნდა ჰყავდეს.ინდოეთის მეფის ასულზე ულამაზესი არავინაა.მაგრამ ის დემონ რაკშასების მბრძანებელმა მოიტაცა და თავის მიუდგომელ ციხე-კოშკში ჩაკეტა,რომელიც სამხრეთის მთაგრეხილებს შორის დგას.თუ შენ ამ ქალიშვილს ცოლად შეირთავ,მაშინ სიხარულით შვილად გაღიარებ.

-კარგი,მოვიყვან მეფის ასულს,-დაეთანხმა დორჩჟე და წასასვლელად გაემზადა.

ტომარაში რამდენიმე მუჭა ცზამბე ჩაყარა და ხმელი ყველი და გამხმარი ხოცი ჩააწყო,მშვილდ-ისარი გადაიკიდა,სანდალოზის ხის ტოტი აიღო და სამხრეთის მთებისკენ შორეულ გზას დაადგა.იარა,იარა და გზად დიდი ტბა შეხვდა.ტბის პირას მაღალი,ზონზროხა ქალი იდგა.ჭაბუკმა დაინახა,რრომ ეს ქალი დაიხრებოდა და ტბის წყალს სულმოუთქმელად სვამდა,ისე,რომ მთელი ტბა დალია.დორჩჟეს გაუკვირდა და ჰკითხა:

-დაო,რა საკვირველი ადამიანი ხარ,როგორ შეგიძლია მთელი ტბის დალევა?

-ეს რა გასაკვირველია.გავიგე,რომ ერთმა მონადირემ თეთრი ლომი მოათვინიერა.აი,ის კი ნამდვილად საოცარი ადამიანი იქნება.

-მე ვარ ის მონადირე,-უთხრა დორჩჟემ.

-ჭაბუკო ნუ მატყუებ-არ დაიჯერა ქალმა.

მაშინ დორჩჟემ სანდალოზის ტოტი დაიქნია და თეთრ ლომს მოუხმო.მაშინვე ძლიერი ქარი ამოვარდა და მათ წინაშე მრისხანე ღრიალით უზარმაზარი თეთრი ლომი წარმოსდგა.ქალს შეეშინდა,დორჩჟეს ამოეფარა და დაიყვირა:

-თეთრი ლომი მოაშორე და მოგემსახურები!

და ორივემ რაკშასების მიუდგომელი ციხე-კოშკისკენ გასწიეს.ნახევარი გზა არ გაევლოთ და ქალიშვილი დაინახეს,რომელსაც ხელში ოქროს მშვილდი ეჭირა და ცას ისე უყურებდა,თითქოს რაღაცას ეძებდა.

-დაო,ცაში რას ეძებ?-ჰკითხა დორჩჟემ.

-დილით ცაში ოქროს ისარი გავისროლე და ჯერ არ ჩამოვარდნილა.

-შესანიშნავი მშვილდოსანი ყოფილხარ,-აღფრთოვანდა ჭაბუკი.

-მე იმ მონადირეს როგორ შევედრები,რომელმაც თეთრი ლომი მოათვინიერა.ის შესანიშნავი ადამიანი იქნება.

-დორჩჟე თეთრი ლომი აჩვენე,-გაეცინა ქალს.

დორჩჟემ სანდალოზის ხის ტოტი დაიქნია და მათ წინ აღრიალებული მრისხანე თეთრი ლომი წარსდგა.ქალიშვილს შეეშინდა,ოქროს მშვილდი ხელიდან გაუვარდა და დორჩჟეს უკან ამოეფარა,თან ეხვეწებოდა თეთრი ლომი მოეშორებინა და სამაგიეროდ თავის სამსახურს სთავაზობდა.

ამის მერე გზა სამმა გააგრძელა.რაკშასების მბრძანებლის კოშკს რაც უფრო უახლოვდებოდნენ,გზა უფრო რთულდებოდა.ბილიკი გაქრა.გზაზე მაღალი კლდეები და ღრმა უფსკრულები ეღობებოდათ.თეთრი ლომი წარსდგა.ქალიშვილს შეეშინდა,ოქროს მშვილდი ხელიდან გაუვარდ შეფიქრიანდა.სანდალოზის ხის ტოტი დაიქნია და თეთრი ლომი მის წინ გაჩნდა.

-რაკშასების მბრძანებლის კოშკამდე მისვლაში ვერ დაგვეხმარები?-ჰკითხა ლომს.

-ზურგზე დამაჯექით და ფაფარში ხელი მაგრად ჩამჭიდეთ,-მიუგო ლომმა.

სამივე ლომს ზურგზე დააჯდა უფსკრულებსა და კლდეებზე გადახტომით კოშკის კედელთან მიიყვანა.

რაკშასების მბრძანებლის ციხე-კოშკი მთასავით აღმართულიყო.ის უზარმაზარი ლოდებისგან იყო აშენებული.

დორჩჟე თავის მეგობრებთან ერთად ხეზე დაიმალა და ფიქრობდა მეფის ასული როგორ მოეტაცა.უცებ ყორნების ლაპარაკი მოესმა: ერთი ამბობდა,-ადამიანები მოვიდნენ და ინდოეთის მეფის ასულის მოტაცება უნდათ და არ იციან როგორ მოიქცნენ.

-შენ კი იცი?

-რა თქმა უნდა.ყოველ დილით მეფის ასული თავის პირისფარეშებთან ერთად წყაროზე გამოდის.ყველა მზეთუნახავია და ერთნაირად აცვიათ,მაგრამ მეფის ასულს შუბლზე ლოტოსის ყვავილი ახატია.წყაროს მიუახლოვდება თუ არა,მისი მოტაცება შესაძლებელია.

-განა რაკშასების მბრძანებელს ვინმე გაექცევა?მის წინაშე თვით თეთრი ლომიც უძლურია,-შეეკამათა მეორე ყორანი.

-რაკშასების მბრძანებლის დამარცხებაც შეიძლება,თუ მის გულზე დაკიდებულ ფირუზს ოქროს მშვილდით ოქროს მშვილდს ესვრიან,მოკვდება.

დორჩჟემ ყორნების საუბარი დაიმახსოვრა და თავის მეგობრებს მოუყვა.მოიფიქრა,ვის რა უნდა გეკეთებინა და გათენებას დაელოდნენ.დილით ცა განაცრისფერდა,მთები ალისფრად აელვარდა და რკინის ჭიშკარი ღრჭიალით გაიღო.კარებში რამოდენიმე ულამაზესი ქალიშვილი გამოჩნდა და წყაროსკენ გაემართნენ.დორჩჟე იქვე იყო დამალული და როცა წყაროს შუბლზე ლოტოსის ყვავილიანი ქალიშვილი მიუახლოვდა,ხელი სტაცა და თეთრ ლომს მოუხმო.შეშინებულმა ქალიშვილმა დაიყვირა,მისმა პირისფარეშებმაც წივილ-კივილი ატეხეს.ამ ხმაურზე სასახლის კარებში რაკშასების მბრძანებელი გამოვარდა.თმა ყალყზე ედგა,მისი ეშვებიდან კი ცეცხლი ირქვეოდა.მშვილდოსანმა

ქალიშვილმა ოქროს მშვილდით ოქროს ისარი გაისროლა და რაკშასების მბრძანებლის გულზე დაკიდებული ფირუზი გააპო და ისარი შიგ გულში შეერჭო.რაკშასების მბრძანებელი მიწაზე უსულოდ დაეცა,მაგრამ სხვა რაკშასები მიეშველნენ.მაშინ ტბის მსმელმა ქალმა პირი ფართოდ გააღო,ტბის წყალი გადმოასხა და კოშკი თავის დემონებიანად დატბორა.

დორჩჟემ მეგობრებს მადლობა გადაუხადა,დაემშვიდობა და თეთრ ლომს უბრძანა მეფის ასულთან ერთად დედის ქოხამდე მიეყვანა.

დოლმოს შვილის ნახვის იმედი აღარ ჰქონდა და მისი დაბრუნება ძალიან გაუხარდა.ამ სიხარულის აღწერა შეუძლებელია.მეფის ასულიც კმაყოფილი იყო,რომ ასეთმა გულითადმა ვაჟკაცმა გაათავისუფლა.მან ხომ თვით თეთრი ლომი მოათვინიერ და დორჩჟეს ცოლობას სიხარულით დათანხმდა.

იფიქრეს და გადაწყვიტეს,ლებსანთან სამივე მისულიყო და პირობის შესრულება მოეთხოვათ.

თეთრმა ლომმა თვალისდახამხამებაში მეფე ლუბსანის სასახლემდე მიიყვანა.ლომის დანახვაზე შეშინებული მცველები აქეთ-იქით დაიფანტნენ და დორჩჟე დედისა და საცოლის თანხლებით სასახლეში შევიდა,ლომი კი გარეთ დარჩა.

-საიდან მოხვედი?ეს ქალიშვილი ვინ არის?-დაიყვირა ლუბსანმა.

-შორიდან მოვედით.ეს ქალიშვილი ინდოეთის მეფის ასული და ჩემი საცოლეა,ახლა კი შენი დაპირება შეასრულე!

-მცველებო!დააპატიმრეთ!-დაიყვირა ლუბსანმა.

კარები ღრჭიალით გაიღო და მცველების ნაცვლად ზღურბლზე თეთრი ლომი წარმოსდგა.ხახა დიდად გაეღო,ლუბსანს პირი სტაცა და უცებ თვალს მიეფარა.

ბოროტი და ცბიერი მეფე ლუბსანი არავის დანანებია.მისმა ცოლმა დოლმომ მისი ტახტი სამართლიანად დაიკავა.მერე მეფობა მის ვაჟზე დორჩჟეზე გადავიდა.

თეთრი ლომის მომთვინიერებელი თავის ქვეყანას სამართლიანად მართავდა და დიდხანს,ბედნიერად ცხოვრობდა.

ორი ძმა

უხსოვარ დროს ტიბეტის ერთ ქვეყანას მეფე დაკცორი მარტავდა.მას ორი ვაჟი ჰყავდა.უფროსს გედონი ერქვა,უმცროსს კი დიკდონი.გედონს ძიძა ზრდიდა,რომელიც ღარიბი გლეხის ოჯახიდან იყო.ფრიად კეთილი ქალი იყო და ბავშვს ხალხის მძიმე ცხოვრებაზე ხშირად უამბობდა და თან უმეორებდა:-როცა დიდი გაიზრდები,ნურავის აწყენინებ,სუსტებს დაეხმარე და უბედურები შეიცოდე.ამიტომ გედონი კეთილი და გულისხმიერი ვაჟი გაიზარდა და თვით მკაცრ მამასაც კი გამორჩევით უყვარდა.ერთხელ გედონი მამასთან სათხოვნელად მივიდა:

-ძვირფასო მამა,ერთი სათხოვარი მაქვს.

-რა სათხოვარია? თქვი, ნუ გრცხვენია,-ჰკითხა მეფემ.

-როცა ქალაქში ვსეირნობ,ბევრ უბედურ ადამიანს ვხვდები,მათხოვრებს,უსახლკარო ობლებს,უპოვრებს,რომელთაც არც საზრდო აქვთ და არც ჭერი არ აქვთ.მათი შემხედვარე ჩემი გული სიბრალულით აივსო და ნება მომეცი ასეთ ხალხს დავეხმარო.

მეფეს სახე მოექუფრა,მაგრამ საყვარელ შვილს უარი ვერ უთხრა:

-ჩემო შვილო სამეფო ხაზინა და საგანძური შენთვის გავამდიდრე და როგორც გინდა ისე გამოიყენე.

გედონი მამის თანხმობაზე ძალიან აღფრთოვანდა და ქვეყნის ღარიბ-ღატაკებს გამოუცხადა:-მეფის ვაჟი გედონი ყველა ღარიბსა და უსახლკაროს დაასაჩუქრებს,მობრძანდით,უარს არავის გეტყვით.

ამის გაგონებაზე ღარიბ-ღატაკი ხალხი ქალაქისკენ მიმავალ გზას დაადგა.მიდიოდნენ ღარიბნი,ქვრივ-ობლები,ხეიბრები,უმიწაწყლო გლეხები და უსახლკაროები.

გედონი მამისეული ხაზინიდან გულუხვად გასცემდა.მალე საგანძური განახევრდა.მაშინ საგანძურის მცველი მეფესთან მივიდა და უთხრა:

-თქვენი ვაჟი ისე გულუხვად გასცემს,რომ ხაზინა ნახევრად დაცარიელდა.

-გედონს მე თვითონ მივეცი ღარიბი ხალხის დახმარების უფლება-უკმაყოფილოდ მიუგო მეფე დაკცორმა

გედონი კი საჩუქრებს ისევ გასცემდა და მდიდარი ხაზინა თითქმის სულ დაცარიელდა.საგანძურის მცველი მეფესთან ისევ მივიდა,ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა:

-დიდო მეფეო,ნუ განრისხდები!თქვენი ოდესღაც მდიდარი საგანძური თითქმის დაცარიელდა,მალე გედონი რაც დარჩა,იმასაც გასცემს და მერე რაღას გავაკეთებთ?

მეფე დაკცორი ჩაფიქრდა და უფროს ვაჟს მოუხმო:

-ძვირფასო შვილო,არ შეიძლება უაზროდ გულუხვი იყო,შენ გინდა ყველა მშიერი დააპურო და ყველა ღარიბი გაამდიდრო.განა ეს შესაძლებელია?გთხოვ ჩვენს ხაზინას ნუ დააცარიელებ.

გედონი ამ სიტყვების გაგონებაზე დაღონდა და მეფეს თავჩაქინდრული დაშორდა. „ამის მერე ღარიბებს როგორ დავეხმარო?“-ფიქრობდა ჭაბუკი და გაახსენდა ნაამბობი ოქროთი და ძვირფასი თვლებით მდიდარ კუნძულებზე.

„ზღვაზე ვიმოგზაურებ,უფრო მეტ საგანძურს მოვიპოვებ და ღარიბებს დავურიგებ“-გადაწყვიტა გედონმა ,მამასთან მივიდა და უთხრა:

-მამა,ზღვაზე საგანძურის საძებნელად გამიშვი.

მეფე დაკცორი უფროსი ვაჟის გამო შეფიქრიანდა და ეცადა გადაეფიქრებინა.:

-ჩემო შვილო,ზღვაში მაღალი ტალღები ბობოქრობს და საშინელი ურჩხულები ბინადრობენ,რომლებიც ნებისმიერს გადასანსლავენ.კუნძულებზე ველური ხალხი ცხოვრობს და იქიდან ცოცხალი ძნელად თუ დაბრუნდები.ასეთი აზრები თავიდან ამოიღე და უმჯობესია ხაზინაში რაც დარჩა ის დაარიგო.

გედონმა მამას ისევ სთხოვა,მაგრამ მეფე ზღვაზე გამგზავრებაზე არ თანხმდებოდა.მაშინ გედონი მიწამე დაწვა და დაიფიცა:-მიწიდან არ ავდგენი,არ ვჭამ და არ დავლევ, სანამ საგანძურის საძებნელად არ გამიშვებ!

მშობლები უფროს ვაჟს ურჩევდნენ თავის განზრახვაზე უარი ეთქვა,მაგრამ უშედეგოდ.გედონი მიწიდან არ დგებოდა და საჭმელ-სასმელს არ ეკარებოდა.

ასე გავიდა შვიდი დღე-ღამე.მეფე-დედოფალმა გაიფიქრეს:-„თუ ზღვაზე არ გავუშვებთ,ალბათ,მშიერ-მწყურვალი დაიღუპება,ზღვიდან კი შეიძლება ცოცხალი დაბრუნდეს.“ და გედონს ზღვაზე გამგზავრების ნება დართეს.

-ადექი შვილო!ჭამე და დალიე! ნებას გაძლევთ საითაც გინდა იქით წახვიდე.

გედონი ადგა,ჭამა,დალია,სასახლიდან მოედანზე გამოვიდა და ხმამაღლა დაიყვირა:

-ეი,ხალხო! მე ზღვაზე საგანძურის საძებნელად მივდივარ,ვინც ზღვის იქითა ქვეყნებში ყოფილხართ-შემომიერთდით!

ზღვის იქითა ქვეყნებში ნამყოფი ასი ვაჭარი მოძებნეს და ისინი ხალისით დათანხმდნენ გედონთან ერთად საგანძურის საძებნელად წასულიყვნენ.გამოცდილი მეზღვაურებიც სჭირდებოდათ,რომელთაც საზღვაო გზები კარგად ეცოდინებოდათ.

მეფის სასახლის შორიახლოს ერთ პატარა სახლში ას წელს მიტანებული მოხუცი მეზღვაური ცხოვრობდა.ზღვის იქით მრავალ ქვეყანაში ნამყოფი და ბევრისმნახველი იყო,ახლა კი სიბერის ჟამს სახლის ჭიშკარში იშვიათად გამოდიოდა.გედონი მასთან მივიდა და ზღვის იქით, მდიდარი ქყვეყნებისკენ გზის ჩვენება სთხოვა.მოხუცმა ასე მიუგო:-დავჩაჩანაკდი და თვალისჩინიც დამაკლდა.სხვას ამაზე არც კი დაველაპარაკებოდი,მაგრამ ვიცი ჭაბუკო,რომ საგანძურს შენთვის კი არა,ღარიბ-ღატაკთათვის ეძებ და ამიტომ ერთგულად გემსახურები,თუნდაც უცხოეთში მოვკვდე.

გედონი სასახლეში დაბრუნდა,მამისგან სამიათასი ოქროს მონეტა აიღო.ერთი ათასით დიდი ხომალდი იყიდა, დანარჩენით კი საგზალი მოიმარაგა.

ზღვაში გასვლის დღეც დადგა.დაკცორი დედოფალთან ერთად გედონის გასაცილებლად ნავსადგურისკენ გაემგზავრა.როცა ემშვიდობებოდნენ უმცროსმა ვაჟმა დიკდონმა მეფეს ზღვაზე გაშვება სთხოვა.

მეფემ იფიქრა: „კარგი იქნება გედონთან ახლობელი ადამიანი იყოს“ და უმცროს ვაჟს დაეთანხმა.

მოგზაურები ხომალდზე ავიდნენ,ანძა აღმართეს,აფრები გაშალეს და ღია ზღვაში გავიდნენ.დიდხანს იცურეს,სანამ მოხუცმა მეზღვაურმა მოელვარე,თეთრი მთები არ დაინახა.

-ეს ვერცხლის მთებია,მათ სიახლოვერ არ გავჩერდებით და მალე ვერცხლის მთები თვალს მიეფარა.

შვიდი დღის მერე ცისფრად მოელვარე მთები გამოჩნდა.

-ეს საფირონის მთებია,არც აქ გავჩერდებით,-თქვა მოხუცმა მეზღვაურმა.

გავიდა კიდევ შვიდი დღე და ოქროსფრად აელვარებული მთები გამოჩნდა.

-ეს ოქროს მთებია,მივუახლოვდეთ,-თქვა მოხუცმა მეზღვაურმა.

კუნძულს მიუახლოვდნენ,ნაპირზე გადმოვიდნენ და რას ხედავენ? ირგვლივ ოქროს სილა,ოქროს კლდეები,ოქროს ქვები.

ვაჭრებმა ოქროს მოგროვება დაიწყეს,მაგრამ მოხუცმა მეზღვაურმა შეაჩერა:-ეს ჯერ მთელი სიმდიდრე არ არის,აქედან პირდაპირ დასავლეთით გავცურავთ სანამ ნაპირს არ დავინახავთ.იქ შვიდნაირი ძვირფასი თვლებით აშენებული სასახლე დგას.სასახლის კარიბჭე დაკეტილი იქნება,მაგრამ შორი ახლოს ალმასის ქვასანაყს იპოვით და კარებზე სამჯერ დააკაკუნებთ.კარები მაშინვე გაიღება და ხუთასი მზეთუნახავი შეგეგებებათ.პირველს ხელში მოელვარე ცისფერი ქვა ექნება.დაე,გედონმა ეს ქვა აიღოს,რადგან უბრალო ქვა კი არანატვრისთვალია და სურვილს აასრულებს.დანარჩენ მზეთუნახავებს ხელში ძვირფასი ქვებით სავსე ლანგრები ეჭირებათ.აიღეთ და თუ გეცოტავათ,ისევ სთხოვეთ,მაგრამ იცოდეთ არ იხარბოთ.ვგრძნობ,რომ აღსასრული მიახლოვდება და თქვენი თანამგზავრი ვეღარ ვიქნები.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მოხუცი მეზღვაური ნაპირზე დაწვა და მშვიდად გარდაიცვალა.ის ოქროს ქვიშაში დამარხეს და მერე კი გზა გააგრძელეს.

ცოტა თუ ბევრი იცურეს და ბოლოს შვისფრად აელვარებული სასახლე დაინზეს.გედონი თანამგზავრებთან ერთად ნაპირზე გადმოვიდა და სასახლეს მიუახლოვდა.ჭიშკარი მაგრად იყო დაკეტილი.უცებ გედონმა ალმასის ქვასანაყი დაინახა,აიღო და კარზე სამჯერ დააკაკუნა.იმ წამსვე კარები გაიღო და სასახლიდან ერთი მეორის მიყოლებით მზეთუნახავები გამოვიდნენ,რომელთაც ხელში ლანგრები ეჭირათ.პირველ მზეთუნახავს ხელში ცისფრად მოელვარე ქვა ეჭირა,მან ქვა გედონს გადასცა.გედონმა ქვა უბეში შეინახა.დანარჩენმა მზეთუნახავებმა ვაჭრებს ძვირფასი თვლებით სავსე ლანგრები შესთავაზეს.

გედონისგან განსხვავებით,მისი ძმა დიკდონი სიმდიდრეს დახარბებული ადამიანი იყო.

-ჩქარა ტომრები მოიტანეთ და ძვირფასი თვლებით აავსეთ-უბრძანა დიკდონმა ვაჭრებს.

ვაჭრების ნაჩუქარ ძვირფასეულობაზე თვალები აუციმციმდათ. ხომალდი ძვირფასეულობით დატვირთეს.ვაჭრებმა ეს არ იკმარეს და ქამარზე ჩამოკიდებული ქისებიც გაავსეს.მზეთუნახავები იცინოდნენ და მოელვარე ძვირფასეულობით სავსე ლანგრები მოჰქონდათ და მოჰქონდათ.

ბოლოს გედონმა ზღვაში გასვლის ნიშანი მისცა და სამშობლოსაკენ გზას დაადგა.თავის ქვეყნამდე ბევრი აღარ რჩებოდა,რომ უცებ ქარიშხალი ამოვარდა,ზღვა აბობოქრდა,მაღალმა ზვირთებმა დატვირთული ხომალდი გადააბრუნა და ძუნწ ვაჭრებიანად ჩაძირა.

მხოლოდ გედონი გადარჩა,თვითონ გამოსცურა და დიკდონსაც დაეხმარა.ძმები ჩაძირული ხომალდის რაღაც ნაწილს ჩაეჭიდნენ და თავი ბედს მიანდეს.ზღვა დიდხანს ბობოქრობდა და ბოლოს უზარმაზარმა ტალღამ ძმები უცნობ ნაპირზე გამორიყა.როცა გონს მოვიდნენ,დიკდონმა უფროს ძმას უთხრა:

-ჩვენ მშობლები დავტოვეთ და და საგანძურის საძებნელად წავედით.ასე ცარიელი როგორ დავბრუნდეთ?

-რატომ ცარიელი?მე ხომ ნატვრისთვალი მაქვს და უბიდან ცისფერი ქვა ამოიღო.

თავის საუბედურად გედონმა უმცროს ძმას ნატვრისთვალი აჩვენა.დიკდონმა დანახვისთანავე გაიფიქრა,რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა ნატვრისთვალი

დაესაკუთრებინა და საკუთარი ძმა დაეღუპა. „როცა მშობლები მკითხავენ გედონი სად არის, ვეტყვი, რომ ვაჭრებთან ერთად ზღვაში ჩაიძირა.“ გედონს კი უთხრა:

-ორივე დავიღალეთ,უნდა დავისვენოთ.ორივე ვერ დავიძინებთ,რათა ნატვრისთვალი არ მოგვპარონ.შენ უფროსი ხარ და ამიტომ ჯერ შენ დაიძინე,მე კი გიყარაულებ.

-კარგი,-დაეთანხმა გედონი,მიწაზე დაწვა და მაშინვე დაეძინა.

სანამ გედონს ეძინა,დიკდონი ტყეში ორ გრძელ ეკალს ეძებდა.უფროს ძმას ჩუმად მიეპარა, უბიდან ნატვრისთვალი ფრთხილად ამოუღო და მძინარეს ორივე თვალში შეარჭო.

გედონი აუტანელი ტკივილისაგან მიწაზე იკრუნჩხებოდა და მთელი ხმით ყვიროდა:

-დიკდონ! დიკდონ! მიშველე!

ბოროტი ძმის კვალიც კი გაქრა.ნატვრისთვალის ხელში ჩაგდებისთანავე ნაპირს სწრაფად მოშორდა.საწყალი გედონი კი ძმას დიდხანს ეძახდა, მაგრამ მხოლოდ ექო ეხმიანებოდა. უბეში ხელი ჩაიყო,უნდოდა ნატვრისთვალისთვის შველა ეთხოვა,მაგრამ იქ აღარ აღმოჩნდა და მაშინღა მიხვდა, ვინ იყო მისი უბედურების მიზეზი. ტკივილისა და მწუხარებისგან გრძნობა დაკარგა და ნაპირზე მკვდარივით იწვა.

იქვე შორიახლოს მწყემსი კამეჩებს აძოვებდა და გედონის ხმის გაგონებისთანავე მისკენ გაეშურა.მიუახლოვდა და დაინახა, რომ კაცი იწვა,ძლივს სუნთქავდა და თვალებში ეკლები შერჭობოდა.გედონს ტკივილისგან გრძნობა დაუბრუნდა.მწყემსმა აიყვანა, თავის ქოხში მიიყვანა და ჭრილობაზე მჭავე რძე წაუსვა და ტკივილიც ნელ-ნელა ჩაუცხრა. გედონი, სანამ ჭრილობები არ მოუშუშდა,მწყემსის ქოხში დარჩა. მწყემსმა სალამური გაუკეთა და ბედშავი ჭაბუკი მთელი დღეები ქოხის კარებთან იჯდა და სალამურს ნაღვლიანად უკრავდა.და აი, ჭრილობები შეუხორცდა და გედონმა მწყემსს სთხოვა ქალაქში წაეყვანა.

-აქ დარჩი, რძე, ხაჭო, ხმიადის ნატეხი შენთვის ყოველთვის მექნება,-უთხრა მწყემსმა.

მაგრამ გედონს არ უნდოდა ღარიბი მწყემსის შეწუხება და მანაც ჭაბუკი ქალაქში წაიყვანა.ეს ქალაქი კი ლისივარის სათავადოს დედაქალაქს წარმოადგენდა.ლისივარი დაკცორის სათავადოს მეზობლად მდებარეობდა. გედონი მწყემსთან ერთად ქუჩაში მიდიოდა და თან სალამურს უკრავდა. ადგილობრივი თავადის მებაღე უშვილძირო კაცი იყო,სალამურის ხმაზე გედონს მიუახლოვდა და უთხრა:

-ჭაბუკო,არ ისურვებდი ჩემთან ერთად ხეხილის ბაღში გეყარაულა?

-ბაღის დაცვას როგორ შევძლებ, განა ვერ ხედავ, რომ ბრმა ვარ?-მიუგო გედონმა.

-თუ ისურვებ, სიბრმავე ვერ დაგაბრკოლებს, მე ხეებს შორის თოკს გავჭიმავ და ზარებს დავკიდებ.როცა ჩიტები მოფრინდებიან და მწიფე ხილს წიწკნას დაუწყებენ, შენ მათ ხმას გაიგებ,თოკს შეარხევ,ზარების ხმაზე შეეშინდებათ და გაფრინდებიან.

მაშინ გედონი კეთილ მწყემსს დაემშვიდობა და მებაღესან ერთად წავიდა.

ამასობაში დიკდონი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. სასახლეში ჭუჭყიანი, ჩამოძონძილი მივიდა და აცრემლებული მშობლებს ფეხებში ჩაუვარდა.

-ერთი რატომ მოხვედი? შენი უფროსი ძმა სად არის?-ჰკითხა მამამ.

-აღარ არის ჩვენი გედონი! საშინელმა ქარმა ხომალდი ჩაძირა.გედონი და ყველა დანარჩენი დაიღუპა. მარტო მე გადავრჩი.-თქვა ბოროტმა დიკდონმა.

მეფემ თავი ჩაღუნა, ატირებული დედა უგრძნობლად დაეცა, პირისფარეშები აფაციფუცდნენ. დიკდონმა მამას უთხრა:

-გედონი ცოდოა, მაგრამ რას ვიზამთ! მისი ბედი ასეთი იყო.სამაგიეროდ ნატვრისთვალი მოვიპოვე. ნებისმიერ სურვილს აასრულებს და უბიდან ცისფერი ქვა ამოიღო. ქვას ელვარება დაკარგოდა.დიკდონმა არაერთი რამ სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. მამამ უმცროს შვილს შეხედა, თავი გადააქნია და მოსასვენებლად წავიდა.

სასახლეში მოთვინიერებული ბატი ყავდათ.ის ჯერ კიდევ ჭუჭული იყო, როცა გედონმა მელიის კბილებისგან იხსნა და ლაპარაკი ასწავლა. მეფე დაკცორმა გაიფიქრა: „ჩვენს ბატს გედონის საძებნელად გავგზავნი.“ წერილი დაწერა,ბატს კისერზე მიამაგრა და უთხრა:

-შენი პატრონი, ჩემი შვილი გედონი ზღვიდან არ დაბრუნდა.აამბობენ, რომ დაისრჩო. არ ვიცი,ასეა თუ არა.ყოველ მხარეს გაფრინდი,კარგად დაათვალიერე, იქნებ ჩვენი გედონი იპოვო.

ბატმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია,ფრთები აიქნია, ცაში აიჭრა და თვალს მიეფარა.

გედონი ამ დროს მეზობელ ქვეყანაში იმყოფებოდა, სასახლის ბაღში ცხოვრობდა და მებაღეს ჩიტებისაგან ხეხილის დაცვაში ეხმარებოდა.

ერთხელ, დილით, თავადის ასული ბაღში სეირნობდა და სალამურის ხმა მოესმა. „ჩვენს ბაღში ვინ უკრავს?“-გაუკვირდა და ხმას მიჰყვა.რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ქალიშვილმა მოხდენილი ჭაბუკი დაინახა, რომელიც ტოტებგაშლილი ხის ქვეშ იჯდა,სალამურს წყნარად უკრავდა და უსიცოცხლო თვალებით ცისკენ იყურებოდა.

-შენ ვინ ხარ?-ჰკითხა ქალიშვილმა.

-მებაღის ახალი თანაშემწე ვარ,- მიუგო გედონმა და ჰკითხა:

-შენ ქალიშვილო, ბაღში რას აკეთებ?

-ვსეირნობ, ეს მამაჩემის ბაღია.

გედონი მიხვდა, რომ თავადის ასულს ელაპარაკებოდა, უნდოდა ამდგარიყო და მოსცილებოდა, მაგრამ ქალიშვილმა შეაჩერა და გვერდით დაუჯდა:

-სადაური ხარ და სალამურის დაკვრა სად ისწავლე?

-მე ერთი ჩვეულებრივი ხეიბარი ვარ და სალამური ჩემი ერთადერთი გასართობია.

ქალიშვილს აღარ უნდოდა ჭკვიან და მოხდენილ თანამოსაუბრეს დაშორებოდა. მოშუადღევდა. მოახლეები ქალიშვილს სადილზე იწვევდნენ.

-აქ დამიცადე, საჭმელს მოგიტან- უთხრა გედონს.

ქალიშვილი რამდენიმე წუთის მერე დაბრუნდა, ხელში ლანგარი ეჭირა,რომელზეც ნაირ-ნაირი საჭმელები ელაგა.

-მე ბრმა ღატაკი ვარ და თავადის ასულთან სადილობა არ შემეფერება,-უთხრა გედონმა.

-მაშინ არც მე ვჭამ და ეს რამდენჯერმე გაიმეორა და გედონიც დათანხმდა, რომ მასთან ერთად ესადილა.

ახალგაზრდებმა ისადილეს და მერე საუბარი გააგრძელეს.

ქალიშვილს ვანმო ერქვა და მას მთელი გულით შეუყვარდა ბრმა ჭაბუკი.

-ჩემო ძვირფასო, მთელი სულით და გულით შემიყვარდი და შენს გარდა ცოლად არავის გვყვები,-უთხრა გედონს.

-სად გაგონილა, რომ თავადის ასულს ბრმა შეუყვარდეს.ნუ მეხუმრები, მე ისედაც უბედური ვარ.

-მე შენ როგორიც ხარ ისეთი მიყვარხარ და თუ მე ვტყუი,მაშინ სიმართლის ძალამ თუნდაც ერთი თვალი აგიხილოს,-წამოიძახა ვანმომ.

და წარმოთქვა თუ არა,მოხდა საოცრება და ჭაბუკს ერთი თვალი აეხილა. ვანმომ გედონს ისევ ჰკითხა:

-სიმართლე მითხარი, ვინ არიან შენი მშობლები და რა გქვია?

-რაიმე გსმენია მეფე დაკცორსა და მის ვაჟ გედონზე?-კითხვაზე კითხვით მიუგო გედონმა.

-რა თქმა უნდა.დაკცორი მეზობელი ქვეყნის მეფეა და გედონი მისი უფროსი ვაჟი.მაგრამ შენ რა შუაში ხარ?

-აი რა, მე დაკცორის უფროსი ვაჟი გედონი ვარ,-გაეღიმა მებაღის თანაშემწეს.

ვანმოს ისე გაუკვირდა, რომ აღარ იცოდა დაეჯერებინა თუ არა.

-თავს რა გადაგხდა?-ჰკითხა.

და გედონმა ქალიშვილს ზღვაზე მოგზაურობის ამბავი მოუყვა და უმცროსმა ძმამ როგორ დააბრმავა.

გედონის მონათხრობმა ვანმო შეაძრწუნა.

-ასეთი ბოროტებისთვის შენ ძმას როგორ დასჯი?

-მე შურს არ ვიძიებ და ჩემს გულში სიძულვილი არ არის.

-შეუძლებელია! არ მჯერა! განა შეიძლება ასეთი დანაშაულის პატიება,-შეეწინააღმდეგა ვანმო.

-არ გატყუებ და თუ ეს მართალია, მაშინ სიმართლის ძალამ მეორე თვალიც ამიხილოს!

გედონს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ კიდევ მოხდა საოცრება და მეორე თვალიც აეხილა.

ვანმოს სიხარული უსაზღვრო იყო,რადგან ბედმა ასეთ მართალ ჭაბუკს შეახვედრა.

-სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნდი,-აჩქარებდა ვანმო.

უცებ მათ სიახლოვეს ციდან დიდი თეთრი ფრინველი დაეშვა.ეს გედონის მოთვინიერებული ბატი იყო.ბატმა ბევრი შორეული ქვეყანა მოიარა და სახლისკენ დაბრუნებისას ბაღში თავისი პატრონი შემთხვევით შეამჩნია.

გედონი ბატს მოეხვია,თავზე ხელი გადაუსვა.ამ დროს მამის წერილი შენიშნა.წაიკითხა და უკან პასუხი დაწერა: „დიკდონმა დამაბრმავა და ნატვრისთვალი მომპარა,დღესდღეობით ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ და ლისივარის სათავადოში ვიმყოფები.“

ბატმა დაისვენა დასასიხარულო ცნობით დაკცორის სამფლობელოსკენ გაფრინდა.ვანმო და გედონი კი სასახლეში შევიდნენ.

ვანმოს მამა გედონის თავგადასავლის მოსმენისას დიდხანს ოხრავდა და მათ ქორწინებას სიხარულით დათანხმდა. მეფემ ქორწილის თარიღი ბრძანა.წაჩინებული სტუმრებისთვის მაგიდები სასახლეში გაშალეს, უბრალო ხალხს კისასმელ-საჭმელს ქალაქის მოედანზე ურიგენდნენ.

ქორწილი მრავალი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ლხინი ჯერ არ დამთავრებულიყო,რომ გედონის მამისგან ლისივარის თავადთან შიკრიკი მოვიდა, ცხენიდან ჩამოხტა და დაბეჭდილი წერილი გადასცა. ცისფერ ქაღალდზე ოქროს ასოებით ეწერა: „გავიგე, რომ ჩემი ბევრის გადამტანი და ბევრის მნახველი ვაჟი გედონი შენს ქვეყანაშია და შენი ბრალია რომ აქამდე არ გამაგებინე. დაუყონებლივ სამშობლოში გამოაცილე. თუ ასე არ მოიქცევი, ლაშქრით წამოვალ. დაკცორი.“

ლისივარის თავადს არ დაუყოვნებია.იმავე დღეს გედონი უამრავი ძვირფასეულობით დაასაჩუქრა და მეორე დღეს სამშობლოში გამგზავრების დღე

დანიშნა.

მეორე დღეს გედონი სიმამრს დაემშვიდობა.მწყემსს, რომელმაც გადაარჩინა, ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და ქარავანი გზას დაადგა.წინ მეომართა თანხლებით ახალდაქორწინებულები მიდიოდნენ, უკან კი ურიცხვი საჩუქრებით დატვირთული საპალნეაკიდებული ცხოველი მოჰყვებოდათ.

ქარავანი დაკცორის დედაქალაქს ნელა უახლოვდებოდა. ქალაქის შესასვლელთან მეფე-დედოფალი მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად ელოდებოდა და გედონის მისალმების ნიშნად მუსიკას უკრავდნენ.

მოახლოებისას გედონი ცხენიდან ჩამოხტა, მამას მოწიწებით მიესალმა, დედას გადაეხვია, ირგვლივ მიმოიხედა და იკითხა:

-ჩემი ძმა დიკდონი სად არის?

-თავისი ბოროტმოქმედების გამო ციხეში ჩავსვი-უთხრა მეფემ.

-ამ სასიხარულო დღის აღსანიშნავად, გაათავისუფლეთ,-თხოვა გედონმა.

-თავისუფლება კი არა, ეს ბოროტმოქმედი სასჯელს იმსახურებს, შენ გელოდებოდით, რათა მისთვის სასჯელი შენ დაგეწესებინა.

-ძვირფასო მამა,დაე დიკდონი საკუთარმა სინდისმა დასაჯოს. გაათავისუფლეთ და თუ არა, მაშინ მე ქალაქში არ შემოვალ. თან დაამატა,- ნატვრისთვალი მომიტანეთ.

მეფეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, დიკდონია მოსაყვანად მსახური გააგზავნა.დიკდონი უფროს ძმას თავჩაქინდრული მიუახლოვდა. გედონი ძველებურად გადაეხვია და ეამბორა. დიკდონის თვალებიდან ცრემლი ღვარად ჩამოედინა და გულში დაიფიცა, რომ ცუდს აღარაფერს გააკეთებდა.

ბოლოს, ნატვრისთვალი მოიტანეს, რომელსაც ოდინდელი ბრწყინვალება დაკარგოდა. მაგრამ გედონმა ხელში აიღო თუ არა, ისევ ცისფრად აელვარდა. გედონმა ნატვრისთვალი მაღლა ასწია და ხმამაღლა წარმოთქვა:

-თუ ნატვრისთვალი ხარ და ნებისმიერი სურვილის ასრულება შეგიძლია,მაშინ ისე გააკეთე, რომ ყველა ღარიბ-ღატაკს საჭმელ-სასმელი და კარგი ტანსაცმელი ჰქონდეს და ყველა უსახლკაროს საკუთარი ჭერი. ყველა ავადმყოფი და ხეიბარი განიკურნოს და ჩვენს ქვეყანაში უბედურები აღარ იყვნენ.

უცებ შეკრებილთა თავზე სიომ დაუბერა და ნატვრისთვალმა გედონის სურვილი აასრულა. სიომ ღარიბ-ღატაკებს საჭმელ-სასმელი და ტანსაცმელი მოუტანა, უსახლკაროებს ჭერი მისცა და ავადმყოფები და ხეიბრები განკურნა.

მას მერე ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა და კეთილ და გულად გედონს, რომელმაც უბრალო ხალხს ბედნიერება მოუტანა, ხმამაღლა ადიდებდნენ.

ქვის ლომი

დიდი ხნის წინათ სოფელ ნაგციუში ერთი ღარიბი გლეხი ცხოვრობდა, ცირენი ერქვა.არც მამული ებადა და არც საქონელი. ღამით ქოხს ეფარებოდა და თავს შეშის ჭრით ირჩენდა. მძიმე ცხოვრება ჰქონდა.დილით ადრე დგებოდა,ცზამბეს ნაჭერს და გამხმარ ყველს აიღებდა და ტყეში შეშაზე მიდიოდა.

შუაგულ ტყეში პატარა მდელოზე უხსოვარ დროს ვიღაცამ ქვისგან ლომი გამოაქანდაკა. ლომი ცოცხალივით იდგა და მარტოხელა ღარიბი ძალიან მიეჩვია.შეშას მოაგროვებდა თუ არა, დაბრუნებამდე იმ მდელოზე მიდიოდა, რათა დაესვენა და ცზამბე და ყველი ეჭამა. როცა სადილობდა ქვის ლომს ცოტაოდენს უწილადებდა და თან თავაზიანად ეტყოდა:- პატივცემულო ლომო, მიირთვი ჩემი ყველი და ცზამბე!

ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში.ერთხელ საოცარი რამ მოხდა. ცირენმა ლომს ცოტაოდენი საჭმელი დაულაგა და თვითონაც უნდა ეჭამა, რომ ლომი ადამიანის ხმით ალაპარაკდა:

-გმადლობ ძმაო! შენს მკერდში კეთილი გული ძგერს, შენ თვითონ ბევრი არაფერი გაქვს და ყოველდღე მე მიწილადებ.

ღარიბს ქვის ლომის ხმის გაგონებაზე გააჟრჟოლა, მაგრამ ალერსიანმა სიტყვებმა დააწყნარა და ლომს უთხრა:

-პატივცემულო ლომო, ვფიქრობ, რომ შენ ჩემსავით მარტოხელა ხარ და ამიტომ ცოტაოდენი ცზამბე გიწილადე. საწყენია, რომ ღარიბი ვარ და სხვა ვერაფერს შემოგთავაზებ.

-შენ ღირსეული კაცი, ხვალ გათენებამდე მოდი და მადლობას გადაგიხდი, ოღონდ ტომარა წამოიღე,-უთხრა ქვის ლომმა.

მეორე დღეს ჯერ ისევ ბნელოდა, როცა ცირენი ადგა,ტომარა აიღო და ქვის ლომისკენ გასწია.

-ეს შენ ხარ, მეგობარო?- ჰკითხა ქვის ლომმა.

-მე ვარ,-მიუგო ღარიბმა.

-ყურადღებით მომისმინე. მე პირს გავაღებ და შენ არ შეგეშინდეს, ხელი ხახაში ჩამიყავი და ოქროს იპოვი.რამდენიც გინდა აიღე, მაგრამ, დაიმახსოვრე, მზის პირველი სხივის გამოჩენისას ჩემი ხახა დაიხურება და ამ სიტყვებით ლომმა პირი დააღო.

ცირენმა ხელი ჩაყო და ოქროს ზოდი ამოიღო.ასე რამდენჯერმე-სანამ ტომარა არ გაავსო.ამის მერე ცირენმა ლომს უთხრა:

-პატივცემულო ლომო, მთელი გულით მადლობას გიხდი ასეთი სიკეთისათვის.

-ტომარა გაივსო? უფრო დიდი ტომარა რატომ არ მოიტანე?

-ესეც მეყოფა, აი ნახე და ცირენმა ტომარა აიღო. ამ დროს მზე ამოვიდა და ლომის ხახა დაიხურა.

მას მერე ცირენს ადრე ადგომა და ტყეში შეშაზე წასვლა აღარ სჭირდებოდა. ქვის ლომის ოქროთი ბევრი იაკი,ცხვარი და ცხენი იყიდა, დიდი სახლი აიშენა და უზრუნველად ცხოვრობდა.

ცირენის შორიახლოს ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა, დიოდენი ერქვა, რაც ტიბეტურ ენაზე „ძუნწს“ ნიშნავს. ცირენის სიმდიდრეს შურით უყურებდა და თავისთვის ფიქრობდა: „ამ ღატაკს ადრე ცხვარიც კი არ ჰყავდა, ახლა კი ცხენიც და იაკიც. იქნებ ტყეში ვინმე ვაჭარი გაძარცვა. უნდა ვესტუმრო და ყველაფერი ვათქმევინო.“

ასეც მოხდა. დიოდენი ცირენს ესტუმრა და გემრიელი საჭმელი ფარისევლურად შეუქო, მერე ჰკითხა ამდენი ფული საიდან იშოვა. ცირენი პატიოსანი, ალალ-მართალი კაცი იყო და არაფერი დაუმალა და მოუყვა როგორც გამდიდრდა.ამის გაგონებაზე დიოდენის გული შურით აივსო და ყელში ლუკმა აღარ გადასდიოდა. თავში მოხლოდ ის უტრიალებდა, ეს ამბავი რატომ მას არ შეემთხვა.

დიოდენი სახლში დაბრუნდა,მაგრამ ვერ დაიძინა, სულ ტრიალებდა, ფიქრობდა ქვის ლომისგან ოქრო როგორ მოეპოვებინა. დილით გადაწყვიტა შეშისმჭრელობა დაეწყო.

მდიდარი ყოველ დილით დახეულ ტანსაცმელს იცვამდა, ცულს აიღებდა და ტყეში თითქოს შეშის მოსაჭრელად მიდიოდა.ისიც ქვის ლომთან ახლოს ისვენებდა. ცოტა ცზამბეს შეჭამდა და ლომსაც უწილადებდა ხოლმე. და აი ერთხელ ქვის ლომი ალაპარაკდა:

-კრთილო კაცო! შენ ყოველდღიურად მიმასპინძლდები და მინდა შენი გულუხვობისათვის დაგაჯოლდოვო.

დიოდენს ისე გაუხარდა, რომ ხმამაღლა დაიყვირა:

-დიახ, ბატონო ლომო! დამაჯოლდოვე, მე ღარიბი ვარ!

-ნუ აჩქარდები, ხვალ გათენებამდე მოდი და ტომარა მოიტანე,-უთხრა ქვის ლომმა.

მეორე დღეს მდიდარი გათენებამდე ადგა, იაკის ტყავის დიდი ტომარა აიღო და ქვის ლომისაკენ გასწია. ქვის ლომთან მივიდა და ლომმა ხახა დააღო, თან გააფრთხილა:

-მზის ამოსვლამდე ხელი ამოიღე.

-კარგი, კარგი-მოუთმენლად უთხრა დიოდენმა და ლომს ხახაში ხელი ჩაუყო და ოქროს ზოდები ამოოიღო. იღებდა და ტომარაში აწყობდა. ცოტა ხანმა გაიარა და ლომმა ჰკითხა:

-არ გეყოფა? მალე მზე ამოვა!

-არა, ტომარა ნახევრად ცარიელია და ოქროს ზოდების ამოღება გააგრძელა.

ცოტა ხნის მერე ქვის ლომმა ისევ გააფრთხილა მდიდარი:

-გაფრთხილდი! მზე სადაცაა ამოვა!

-მესმის, ტომარა ჯერ არ ავსებულა,- და ზოდებს ისევ იღებდა და ტომარაში აწყობდა.

ამ დროს მზემ გამოანათა და მზის სხივი ლომის ხახას შეეხო და ქვის ყბა მჭიდროდ დაიკეტა.

-ჩემი ხელი! ხელი!- მთელი ხმით ყვიროდა დიოდენი.

ქვის ლომს მისი ხელი მაგრად ეჭირა. ბევრი ეცადა, მაგრამ ხელი ვერ გაითავისუფლა.

ასე დასაჯა ქვის ლომმა ძუნწი მდიდარი სიძუნწისთვის.

ნორსანი და მისი მეგობრები

ოდესღაც ერთ სოფელში მაღალი მთის ფერდობზე ერთი გლეხი ცხოვრობდა. სოდნამი ერქვა. მდიდარი არ იყო, მაგრამ არც ღარიბი ეთქმოდა.ცხვრის მცირე ფარა და ორი იაკი ჰყავდა. სოდნამი მთელი დღე მინდორში მუშაობდა, მის ცხვრებს კი ობოლი მწყემსი ნორსანი უვლიდა.

ადრიან დილით, მზის ამოსვლისას ნორსანი ცხვრებს საძოვარზე გარეკავდა,საღამოს კი ისევ უკან მირეკავდა.ა მიტომ სოდნამმა თავის სახლში ნორსანს სენაკი მოუწყო და ცოტაოდენ საკვებსაც აძლევდა: ცზამბეს, ქერის ხმიადებს და ხანდახან ფინჯან რძეს ან გამხმარ ყველს.

ნორსანს თავის სენაკში ლეკვი და კნუტი ჰყავდა, რომლებიც მშივრები მოიყვანა, აჭამა და მას მერე განიყრელი მეგობრები გახდნენ.ნორსანი ცხვრებს საძოვარზე გარეკავდა თუ არა, კნუტს უბეში ჩაისვამდა, ლეკვი კი გვერდით მისდევდა, თან ნორსანს შეჰყურებდა. თუ ცხვარი დაიკარგებოდა, მოძებნაში ეხმარებოდა. როცა სადილად დაჯდებოდა, თავის ლუკმას უყოფდა. ასე გადიოდა დღეები.

მოულოდნელად ნორსანს უბედურება დაატყდა. ერთხელ მთის საძოვარზე ცხვარი გარეკა და საღამოს სახლში რომ მობრუნდა, შეუძლოდ გახდა. მეორე დილით ტანზე მუწუკები გამოაყარა, ენა გაუსივდა, ხმა თითქმის დაეკარგა, თავის სენაკში იწვა და ვერ ლაპარაკობდა, სიცოცხლე მხოლოდ თვალებშიღა ეტყობოდა. სოდნამს ჩაი და ცზამბე მიჰქონდა, მაგრამ ნორსანს ჭამა-სმა არ შეეძლო. რამდენიმე დღის მერე უარესად შეიქნა, სიცხემ აუწია, თავი დაუმძიმდა დალოგინიდან ვეღარ დგებოდა. „ალბათ სიკვდილი მიახლოვდება“-გაიფიქრა ნორსანმა და უცებ მოესმა, თითქოს ორნი ლაპარაკობდნენ.

-ჩვენი ნორსანი ავადაა და არავინ იცის როგორ უმკურნალოს.

-ჩვენ კი შეგვეძლო განგვეკურნა, მაგრამ ჩვენი ლაპარაკი არ ესმის-უთხრა მეორემ.

„ვინ ლაპარაკობენ?“-გაუკვირდა ნორსანს და თვალები ძლივს გაახილა. გაიხედა და სენაკის კუთხეში ლეკვი და კნუტი დაინახა. კნუტი ლეკვს ეკითხებოდა:

-მითხარი, ჩვენი მეგობარი ავად რითია?

-საძოვარზე შხამიანი ეკალი შეერჭო და დაავადდა.

-არ იცის, როგორ განიკურნოს?- ისევ ჰკითხა კნუტმა.

-სულ ადვილია,შავი თხის სისხლი ვეფხვის ბალახის ნაყენს უნდა შეერიოს, მუწუკებზე წაესვას და თხის ღვიძლი უნდა შეჭამოს, მაგრამ ჩვენს მეგობარს როგორ გავაგებინოთ?

ნორსანს ლეკვისა და კნუტის ლაპარაკი ესმოდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო სიზმარში იყო თუ ცხადში.

მეორე დღეს სოდნამმა თავის მწყემსს საჭმელი მოუტანა. ნორსანმა ძალა მოიკრიფა და სოდნამს გუშინდელი ლაპარაკი მოუყვა.

-კარგი, ვცადოთ,-დაეთანხმა სოდნამი და მთებში წავიდა. ვეფხვის ბალახი მოკრიფა, ნაყენი მოამზადა, მუწუკებზე წაუსვა და თხის ღვიძლი აჭამა.ორ-სამ დღეში ნორსანი განიკურნა, ყელიც აღარ სტკიოდა,მუწუკებიც.

ამ ამბიდან ორი-სამი წლის მერე, დარე გაზაფხულზე სოდნამის გოგონა ავად გახდა. თავი ისე ძალიან სტკიოდა,რომ მთელი ხმით ყვიროდა. სოდნამი ყველაფერს

აკეთებდა, რათა თავისი ერთადერთი შვილისთვის ეშველა. მკურნალებიც მოიყვანა, ღმერთებს შესაწირი მიუტანა, მაგრამ ამაოდ. გოგონას მდგომარეობა უარესდებოდა.

დარდიანმა სოდნამმა მეურნეობა სულ მიატოვა, მხოლოდ ნორსანი ცხვარს ძველებურად საძოვარზე მიერეკებოდა, გული კი დამძიმებული ჰქონდა, გოგონა ძალიან ეცოდებოდა.

ერთხელ ნორსანს დიდხანს არ დაეძინა და თვალდახუჭული იწვა,რომ უცებ ლაპარაკი მოესმა:

-ხედავ, მკურნალები როგორ ცდილობენ? ულოცავენ, წამლებსაც ასმევენ, მაგრამ ვერაფერს შველიან.

ნორსანმა თვალები გაახილა და თავისი ლეკვი და კნუტი დაინახა. კნუტი ლეკვს ეკითხებოდა:

-გოგონას თავი რატომ სტკივა?

-ღამე ყურში ობობა ჩაუძვრა და ამიტომ სტკივა,-მიუგო ლეკვმა.

-ობობა როგორ მოიცილოს?

-უბრალოდ, ლურჯი მაუდის კარავი უნდა დადგან, შიგნით კოცონი დაანთონ და კოცონზე წყალი მიაშხეფონ, კარავში გოგონა დასვან და დოლზე აბრახუნონ. ობობას ეგონება, რომ ზაფხული დადგა, წვიმს და ჭექა-ქუხილია, ყურიდან გამოძვრება და წამალიც აღარ დაჭირდება.

ნორსანმა ლეკვის ლაპარაკი კარგად დაიმახსოვრა და მეორე დღეს სოდნამს უთხრა, რომ გოგონას განკურნებას შეეცდებოდა.

-ოღონდ შვილი მომირჩინე და საკუთარი შვილივით მიგიღებ და როცა გოგონა გაიზრდება,ცოლად მოგათხოვებ.

ნორსანმა ცისფერი კარავი, დოლი და მაყალი მოითხოვა. როცა მოუტანეს, კარავი დადგა, შიგ კოცონი დაანთო და დოლი ააბრახუნა. სოდნამმა დაინახა,რომ გოგონას ყურიდან დიდი ობობა გამოძვრა. ობობა მაშინვე ცეცხლში ჩააგდეს, გოგონა კი სწრაფად გამოჯანმრთელდა.

მას მერე ობოლი ნორსანი სოდნამის შვილობილი გახდა, როგორც საკუთარ შვილს ისე აჭმევდა და აცმევდა და როცა მისი გოგონა გაიზარდა, ცოლად მიათხოვა და თავისი მამული გადასცა.

როგორ დაიჭირა ღარიბმა ჭაბუკმა
მდიდარი ქურდი

ერთ სოფელში დედა-შვილი ცხოვრობდა, დედას ლოჩჟო ერქვა, ვაჟს კი სოდნამი.ღარიბად ცხოვრობდნენ, მაგრამ გაჭირვებას არ ეპუებოდნენ. ლოჩჟო მთელი დღე დიასახლისობდა: ძროხას უვლიდა, აჭმევდა, წველიდა, კარაქს დღვებდა, საჭმელს ამზადებდა და ქსოვდა.სონამი კი საშოვარზე დადიოდა:ზოგს შეშას მიუტანდა, ზოგს მინდორში მიეხმარებოდა. ის გამჭრიახი,ალალ-მართალი და შრომისმოყვარე იყო და ამიტომაც თანასოფლელები ხალისით ასაქმებდნენ.

მათთან ახლოს ერთი მდიდარი ცხოვრობდა, რომელმაც ქონება ხრიკებითა და თვალთმაქცობით დააგროვა, ალალ-მართალ ხალხს იახლოვებდა და მერე ძარცვავდა.ახლო და შორეული მეზობლები მის ავ საქმეებს ხვდებოდნენ, მაგრამ ისეთი ცბიერი და მოხერხებული იყო, რომ ვერავინ ამხელდა, მოპარულ ნივთს უცებ გადამალავდა ხოლმე.

ამ მდიდარმა სონამის სახლშიც რაღაცის აწაპნა მოინდომა. ერთხელ სონამს შეხვდა და ალერსიანად უთხრა:

-ყოჩაღი ბიჭი ხარ,ხვალ გესტუმრები. ერთმანეთი ახლოს გავიცნოთ, კარგი იქნება რომ ოჯახებით ვიმეგობროთ.

სონამი მაშინვე მიხვდა, რომ მდიდარი ტყუილუბრადოდ არ მივიდოდა.

-მობრძანდით, ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ფარშევანგი ტყის მშვენებაა, მეგობრობა კი ადამიანების.

სონამმა მოიფიქრა,რომ მდიდარი გაეცუცურაკებინა. კალათი აიღო, რკინებით გაავსო და განჯინაში შეინახა.

მეორე დღეს მდიდარი ესტუმრათ. მოკრძალებულად გაუმასპინძლდნენ. სანამ სტუმარი და სონამი მიირთმევდნენ, ლოჩჟო საკუჭნაოში შევიდა და რკინები ერთი კალლათიდან მეორეში გადაიტანა. რკინა ისეთ ხმას გამოსცემდა,რომ ფულის წკრიალი გეგონებოდათ.

-რა ხდება საკუჭნაოში?-გაიკვირვა მდიდარმა.

-დედაჩემს ფულის დათვლა უყვარს, ახლაც ფულს ითვლის და არ გვასვენებს,-მიუგო სონამმა.

-სულ არ მაწუხებს.

-არა,საკადრისი პატივი ვერ გეცით!

სონამი საკუჭნაოში შევიდა, ერთი ოქროს ფული აიღო,მდიდარს ისცა და თან უთხრა:

-თქვენ ჩემს სახლში პირველად იყავით და სინანულის ნიშნად ჩემგან საჩუქრად მიიღეთ.

ოქროს ფულის დანახვაზე მდიდარმა თვალები დააჭყიტა და გაიფიქრა: „ეს ხალხი თავს ღარიბად აჩვენებს, სინამდვილეში კი ბევრი ფული ჰქონიათ. საკუჭნაოში წკრიალი ტყუილად კი არ ისმოდა. მათი ოქრო ხელში როგორ ჩავიგდო?“ მდიდარს სიხარბემ სძლია და მოიფიქრა: „ამაღამვე შევიპარები და ფულით სავსე კალათას მოვიპარავ.“

სინამდვილეში სონამს ერთადერთი ოქროს ფული ჰქონდა, რომელიც მდიდარს მისცა. სტუმრის წასვლის მერე დედამ სონამს უსაყვედურა:

-უჭკუოდ მოიქეცი, უკანასკნელი ფული მიეცი, არაფერი გვაქვს, როგორღა ვიცხოვრებთ?

-დედა, არ იდარდო, ბატკანს დაკარგავ, ცხენს იპოვი, ერთ ოქროს ფულს დაკარგავ, ათს იპოვი.

ღამით მდიდარი სონამის სახლთან მივიდა, კედლის ძირას ფრთხილად გათხარა და შიგ ჩაძვრა. სონამს და დედამისს არ ეძინათ.როგორც კი ხარბი მდიდარი საკუჭნაოში შეძვრა, სონამი ყელში ეცა, იატაკზე დააგდო და ხმამაღლა დაიყვირა:

-დედა! დედა! სინათლე აანთე, ქურდი დავიჭირე!

ლოჩჟომ ზეთის სანთელი აანთო და მის შუქზე წუხანდელი სტუმარი დაინახეს. სონამმა გაოცებული სახით უთხრა:

-ეს რა ხუმრობაა! შენ ხარ? მე კი ვფიქრობდი, ნეტავ ვინ არის? რა მოიფიქრე? მე შენ ოქროს ფული გაჩუქე, შენ კი გასაძარცვად მოხვედი! ეს იმას ნიშნავს,რომ ღვინო წყლით გადამიხადე. შეგკრავ და ხვალ მოსამართლესთან წაგიყვან, დაე ის გაერკვიოს.

მდიდარს შეეშინდა და სონამს სთხოვა, რომ გაეშვა, სამაგიეროდ ფულის და საქონლის ჩუქებას დაპირდა, მაგრამ სონამი არ დაეთანხმა:

-მე კი დამასაჩუქრებ, მაგრამ სხვებს ათჯერ მეტს მოპარავ. ნაქურდალი არ მჭირდება.

მეორე დილით მთელმა სოფელმა დაინახა,რომ სონამს შეკრული მდიდარი მოსამართლესთან მიჰყავდა. ქურდმა თავი ვერ გაიმართლა, რადგან დანაშაულის ადგილას წაასწრეს.მოსამართლემ ნაქურდალი ქონება ჩამოართვა და დააპატიმრა, სონამი კი ათი ოქროთი დააჯილდოვა. გახარებულმა თანასოფლელებმაც სონამი ქურდისგან განთავისუფლების აღსანიშნავად დაასაჩუქრეს.

ცალთვალა იაკი

მრავალი წლის წინათ ტიბეტში ერთ მეფეს თევზი ძალიან უყვარდა. საუზმეზე, სადილად და ვახშმადაც თევზის კერძს აუცილებლად მიირთმევდა.

ერთ წელს იმ მხარეში წარმოუდგენელი გვალვა იყო და მდინარეები სულ ამოშრა და დიდი ტბები კი პატარა ტბორებად გადააქცია.თევზი ყოველი დღით სულ უფრო მცირდებოდა და ბოლოს სულ გაქრა.მეფეს თევზის კერძს ვეღარ მიართმევდნენ, ის კი მის გარეშე ვერაფერს ჭამდა. მაშინ მეფემ ბრძანება გასცა: „ვინც სასახლეში თევზს მოიტანს- დავაჯილდოვებ.“

ერთხელ ერთმა ღარიბმა გლეხმა პატარა ტბორის ახლოს გაიარა და შიგ დიდი თევზი შენიშნა. შემთხვევით გადარჩენილი ტბორი თითქმის ამომშრალიყო და გლეხმა თევზი ხელით დაიჭირა. გლეხი დაპირებული ჯილდოს მოლოდინში სახლში არ დაბრუნდა და პირდაპირ სასახლისკენ გაეშურა. მეფის სასახლის კარიბჭესთან ცალთვალა, მრისხანე, სასტიკი შეხედულების ყარაული გადაეღობა და დაუყვირა:

-ეი, ტეტია! გაჩერდი! რა გინდა?

-მეფის ნახვა მინდა,-მიუგო დაბნეულმა გლეხმა.

-მეფე რისთვის გინდა? - მკაცრად ჰკითხა ყარაულმა.

-საჩუქრად თევზი მოვუტანე.

„თევზი? მეფე მცირედით არ დააჯილდოვებს“ - გაიფიქრა ყარაულმა და უბრძანა:

-თევზი მომეცი და აქ დამიცადე! მე თვითონ გადავცემ და ჯილდოს გამოგიტანი.

-არა, ეს თევზი მე დავიჭირე და მევე გადავცემ,- უარი უთხრა გლეხმა.

-სჯობს თევზი მე მომყიდო, ხუთ ოქროს მოგცემ, განა ეს ცოტაა?-ურჩია ცალთვალა ყარაულმა.

მაგრამ გლეხმა თევზი ზურგს უკან დამალა და დაჟინებით ითხოვა სასახლეში შეეშვათ.

-კარგი,შეგიშვებ, მაგრამ ჯილდოს ნახევარი მე უნდა მომცე.

-კარგი, როგორც შენ გინდა, მეფე რასაც მომცემს შუაზე გაგიყოფ,-უთხრა გლეხმა.

-იცოდე, არ მომატყუო- და გლეხს მეფის პალატისკენ მიუთითა.

ღარიბმა გლეხმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე უკან მოტრიალდა და ყარაულს ჰკითხა:

-რა გქვია?ჯილდო ვის უნდა გავუყო?

-მე ცალთვალა იაკი ვარ და სასახლეში ყველა მიცნობს,-ამაყად მიუგო ყარაულმა.

მეფეს დიდი, ახალდაჭერილი თევზის დანახვა ძალიან გაუხარდა და მზად იყო გლეხისთვის ნებისმიერი ფასი გადაეხადა.მსახურს უბრძანა საჩუქარი მოეტანა, თვითონ კი ღარიბს ჰკითხა:

-საჩუქრად რას ისერვებდი?

-მე არც ოქრო და არც ვერცხლი მინდა.განკარგულება გაეცი ჯოხი ათასჯერ დამარტყან.

მეფემ თავის ყურებს არ დაუჯერა.-ეს კაცი სულელია,-გადაულაპარაკა თავის კარისკაცს და ხელები გაასავსავა.

-კარგი,ახლა ხუმრობის გარეშე მითხარი, საჩუქრად რას ისურვებ.

-მე არ ვხუმრობ,ჯოხი ათასჯერ დამარტყან,-წყნარად მიუგო ღარიბმა.

მეფე თითქმის გაბრაზდა, მაგრამ თევზი გაახსენდა და თავის მსახურებს უბრძანა:

-ამ სულელს ჯოხი ათასეჯერ დაარტყით, ოღონს მსუბუქად!

ერთი, ორი, სამი... ღარიბის შიშველ ზურგზე ჯოხის ხმა ისმოდა, როცა ხუთასამდე ავიდნენ, გლეხი უცებ წამოდგა და თქვა:

-კარგი, მე ჩემი წილი მივიღე.

მსახურებმა გაკვირვებისგან ერთმანეთს გადახედეს. მეფემ კი ჰკითხა:

-დანარჩენი ხუთასი ვის უნდა მიეღო?

-თქვენს ყარაულს ცალთვალა იაკს,რომელიც კარიბჭესთან დგას და თავისი პირობის შესახებ მოუყვა.

მეფემ პირველად გადაიხარხარა, მერე წარბები შეჭმუხნა და ყარაულის მოყვანა ბრძანა.ამ დროს ცალთვალა იაკი ოცნებობდა ჯილდოს ნახევარ როგორ და რაში დახარჯავდა. უცებ მასთან მსახური მივარდა და მეფესთან გამოცხადება უბრძანა. „ტეტიამ არ მომატყუა, ახლა მე ჩემს წილს მივიღებ, ოღონდ ამ დოყლაპიას იაფი არ დაეფასებინოს,“-გაუხარდა ყარაულს.

ცალთვალა იაკს სახეზე სიხარულის კვალიც კი აღარ ეტყობოდა,როცა მოღუშული მეფე და ჯოხიანი მსახურები დაინახა.

-გლეხს ჯოლდოს ნახევარი შენთვის უნდა მოეცა?-მკაცრად ჰკითხა მეფემ.

ცალთვალა იაკს შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა.პირველად უნდოდა უარი ეთქვა,მაგრამ მერე შეეშინდა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

-მაშინ ხალათი გაიხადე და ახლა შენს წილს მიიღებ,-უთხრა მეფემ და ყარაულს ჯოხი ხუთასჯერ დაარტყეს.

-ახლა გლეხს გულუხვობისთვის მადლობა გადაუხადე,-უბრძანა მეფემ, როცა ის გაჭირვებით ადგა.

-გმადლობ,-უთხრა აცრემლებულმა ცალთვალა იაკმა,ძუნწი ყოფილხარ, ასეთი პატარა თევზისთვის ასეთი დიდი ჯილდო რატომ მოითხოვე?

ამ დროს მეფემ გადაიხარხარა და თავის მოლარეთუხუცესს უბრძანა ორივესთვის ხუთას-ხუთასი ოქრო მიეცათ და შინ მშვიდობით გაუშვა.

ჩენსელი

ერთ სოფელში ერთი ღარიბი ახალგაზრდა ცხოვრობდა.ერთი პატარა ქოხმახი ედგა ბებერი ძროხა ჰყავდა. ღარიბი იყო,მაგრამ ნებისმიერ საქმეს ხელმარჯვედ და გულმოდგინედ აკეთებდა, ამიტომ თანასოფლელებმა ჩენსელი დაარქვეს, რაც „ნათელ გონებას“ ნიშნავს.

ამ ქვეყნის მეფესაც ჩენსელი ერქვა და ერთხელ ერთმა მსახურმა მეფეს მოახსენა:

-დიდო მეფეო, შენს ქვეშევრდომებში ერთს ჩენსელი ჰქვია.

ამპარტავან მეფეს ეს არ მოექონა და ღარიბი ახალგაზრდის სასახლეში მოყვანა ბრძანა.

-ხალხმა მიწოდა,-მშვიდად მიუგო ღარიბმა.

-რადგან ჩენსელი გქვია, ამიტომ ძალიან ჭკვიანი უნდა იყო, თუ არა, მაშინ შენ თვითონ განსაჯე რატომ უნდა გერქვას? მერე დიდ ფირუზზე მიუთითა, რომელიც მის მკერდს ამშვენებდა და გააგრძელა:- თუ შენ ამ ფირუზს სამი დღის განმავლობაში დაეუფლები, მაშინ ვაღიარებ,რომ ჩენსელს სამართლიანად გეძახიან და ჩემი ქონების ნახევარს მოგცე, თუ არა, მაშინ რაც გაბადია, იმასაც ჩამოგართმევ და თვალებსაც დავათხრევინებ.

ამის მერე ჩენსელი სახლში გაუშვა და სასახლის დაცვა გააძლიერა და აღარც ერთ კაცს სასახლეში არ უშვებდა. ოთხი მხედარი ყარაული დღე და ღამე ჭიშკარს იცავდა. სამზარეულოში ორ დიდ კერასთან ორი მზარეული შეუსვენებლად საქმიანობდა. ორი მოსამსახურე კი ჩაის ასადუღებლად ორ პატარა ღუმელში ცეცხლს ინარჩუნებდა. მეფის სიმყუდროვეზე უამრავი ერთგული პირისფარეში ზრუნავდა, ფირუზი კი გულზე ეკიდა. მეფე ამ ფირუზს თვალის ჩინივით უფრტხილდებოდა და არც უსაფუძვლოდ. ეს ფირუზი უბრალო კი არა, ჯადოსნური იყო. სანამ ის მთელი იყო, მეფის სიცოცხლეს არაფერი ემუქრებოდა.

პირველმა დღემ მშვიდად ჩაიარა, მეორე დღესაც არაფერი მომხდარა. ამ დროს მმეფის მცველებს არ ეძინათ. ისინი უძილობისაგან ისე დაიქანცნენ, რომ მესამე ღამეს ყველას თვალები ელულებოდათ.

ამასობაში ჩენსელმა თავისი ძროხა ერთ პატარა კასრ მაგარ ტკბილ ღვინოზე და ქალის ტანსაცმელზე გაცვალა.ორი დღე დაიცადა და მესამე დღეს ქალის ტანსაცმელში გამოეწყო,თმა ქალივით დაივარცხნა,მხარზე ღვინის კასრი გადაიკიდა და ღამით სასახლის ჭიშკარს მიადგა.იმ ღამეს ძალიან ციოდა და კარიბჭის მცველებს სიცივემ ძვალსა და რბილში გაუარა და რომ გამთბარიყვნენ,ერთ ყლუპ ღვინოზე ოვნებობდნენ.ქალურად ჩაცმულ ჩენსელს მცველებმა დაუყვირეს:

-ქალო!სად მიდიხარ?ღვინო ხომ არ გაქვს გასაყიდი?ხომ არ იცი ჩენსელი რას საქმიანობს?

ჩენსელს ეცინებოდა და ქალის ხმით უთხრა:-ჩენსელს არ ვიცნობ,ღვინოს თუ ინებებთ გავყიდი,იჩქარეთ თორემ სხვა მყიდველებიც მელოდებიან.

უძილობისგან დაღლილი მცველები რამდენიმე ჭიქა მაგარი ღვინის დალევის მერე მალე დათვრნენ და მიწაზე დაცვივდნენ.ჩენსელმა მძინარე მცველები სასახლის გალავანზე დასვა და თან მიაბა,იქვე ცხენებიც დააბა,თვითონ კი სასახლეში შევიდა.

მეფის სანთიობოს მცველებს ღრმად ეძინათ და ჩენსელმა მათ დოლებზე გადაჭიმული ტყავი დაჭრა.მზარეულებს და პირისფარეშებს ძილი

მორეოდათ.ჩენსელმა მზარეულებს ტანსაცმელში რიყის ქვები ჩაუყარა და შეკრა,პირისფარეშებს კი თავზე ჩალის ბულულები დაადგა.მეფის სანთიობოს კარისკაცებს ღრმად ეძინათ და ჩენსელმა ისინი ნაწნავებით ერთმანეთს გადააბა და საწოლს მიუახლოვდა,სადაც მეფეს ტკბილად ეძინა.ჩენსელმა ძვირფასი ფირუზი ყელიდან ფრთხილად მოხსნა და სანთიობოდან გამოვიდა.

,,ყველას უნდა გავაგებინო ,აქ რომ ვიყავი'',-გაიფიქრა და ხმამაღლა დაიძახა:-მე ჩენსელი ვარ!მეფის ფირუზს დავეუფლე!-და ამ სიტყვებით გამოიქცა.

მეფე ამის გაგონებაზე საწოლიდან წამოვარდა,გულზე ხელი იტაცა და აღრიალდა:-ძვირფასი ფირუზი მომპარეს!ქურდი დაიჭირეთ!

ამ ხმაზე კარისკაცები გამოფხიზლდნენ და უნდოდათ მეფეს მიშველებოდნენ,მაგრამ ნაწნავებით გადაბმული იყვნენ და ამიტომ ერთ ადგილას ფორთხავდნენ და თან ყვიროდნენ:-ნუ მიჭერ!გამიშვი!

ამ დროს ჩენსელის კვალიც გაქრა.

ხმაურმა პირისფარეშებიც გააღვიძა და ღუმელებს მივარდნენ,რათა ცეცხლი გაეფიცხებინათ.უცებ მათ თავებზე ჩალას ცეცხლი წაეკიდა,ხელებს იქნევდნენ,რათა ცეცხლი ჩაექროთ,მაგრამ სახელოებში რიყის კენჭები ეყარათ და პირისფარეშები სულ დაალურჯეს და კოპები დაასვეს.ერთი სიტყვით,დიდი ალიაქოთი ატყდა.

ჩენსელმა ამით ისარგებლა და სამზარეულოს გავლით გაიქცა.ყარაულებმა დოლებს დაჰკრეს,მაგრამ ამაოდ.სასახლის ხმაურმა ჭიშკრის მცველები გააღვიძა,მაგრამ ისინი გალავანზე მიბმული ისზდნენ და ცხენებს ამაოდ უხმობდნენ.

ამ დროს ცხენზე ამხედრებული ჩენსელი სასახლიდან ჩიტივით გაფრინდა.

მეორე დღეს ჩენსელი სასახლეში ძვირფასი ფირუზით გამოცხადდა და მეფეს თავი დაუკრა.

-მე თქვენი ბრძანება შევასრულე,თქვენ შეასრულებთ თქვენს პირობას?

ამაყი მეფე სირცხვილასა და ბრაზისაგან თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.იმის გარდა,რომ თავი გაისულელა,პირობის თანახმად,თავისი ქონების ნახევარი უნდა მიეცა.

,,ეს როგორ მოხდა,რომ სოფლელმა ბიჭმა მაჯობა,მკაცრად უნდა დავსაჯო",-ფიქრობდა მეფე და ჩენსელს ხმამაღლა უთხრა:

-მართალია,ძვირფასი ფირუზი მოიპარე,მაგრამ ასეთი ალიაქოთი როგორ მოაწყე?ამის გამო დაუყონებლივ თავს მოგკვეთენ!

წაიღე შენი ფირუზი!დაიყვირა ჩენსელმა და ფირუზი მთელი ძალით მიწაზე დაანარცხა.

ძვირფასი ფირუზი დაიმსხვრა და მეფე ტახტიდან უსულოდ გადმოვარდა.ყველაფერი აირ-დაირია.ირგვლივ მსახურები დარბოდნენ,ჩენსელი კი შინისკენ გამობრუნდა.

ძუნწი ლამა

ერთხელ ტყის პირას კურდღელი,მგელი,მელია და დათვი შეხვდნენ ერთმანეთს,წრიულად დასხდნენ და ერთმანეთს თავიაანთ ცხოვრებაზე შესჩივლებს.უცებ შორს,თავის მონასტრიდან მომავალი ლამა დაინახეს.კურდრელმა თქვა:

-მსმენია,რომ მონაზვნები და ბერები,ყველანი უანგარონი არიან და ბოროტებას არავის გაუკეთებენ,მაგრამ არ ვიცი,მართალია თუ არა?აი,ლამა მოდის და მისი ბერული კეთილშობილება შევამოწმოთ.

-უნდა შევამოწმოთ,მაგრამ როგორ?-დაუდასტურა დათვმა.

-აი როგორ!-წამოიძახა კურდღელმა და ცხოველებს თავისი ჩანაფიქრი გაანდო.მათ მოუსმინეს და სიხარულით დათანხმდნენ.

ამ დროს ლამა აუჩქარებლად მოდიოდა,თავი დაეხარა და ჩუმად ლოცულობდა.ზურგზე სხვადასხვა ნივთებით სავსე ტომარა ეკიდა,ხელში კი სალოცავი ხალიჩა ეჭირა.

მოულოდნელად ლამამ გზის სიგანეზე მწოლიარე მელია შენიშნა.მელიამ თავი მოიმკვდარუნა,მისი ფუმფულა კუდის ბოლო ოდნავ ინძრეოდა.ლამას გაუხარდა და გაიფიქრა:,,აი ნაპოვნი! ალბათ მონადირეებმა დაჭრეს,ვეღარ მოძრაობს,მოვკლავ,ბეწვს კი ძვირად გავყიდი.“

ხალიჩა გზის პირას დადო,თვითონ კი წითურ მატყუარას სწრაფად მიუახლოვდა.მელიამ ლამა ახლოს მიუშვა,მერე წამოხტა და უცებ გადაიკარგა.

,,ვერ გამექცევი“,-გაბრაზდა ლამა,მხრიდან ტომარა მოიხსნა,ძირს დააგდო და მელიას უკან გამოუდგა,მაგრამ ვერ დაეწია.მელია ბალახებში ჩაიკარგა,ცოტა გაირბინა და მიწაზე ძალაგამოცლილი წამოწვა.

ლამამირგვლივ მიმოიხედა და მწვანე ბალახზე მელიას წითური ბეწვი შენიშნა.,,ახლა კი ხელში ჩამივარდი“-გაიფიქრა ლამამ,ჩექმები გაიხადა,გზის პირას დატოვა,თვითონ კი ფეხშიშველა და სუნთქვაშეკრული მელიას მიუახლოვდა.ლამას ისღა დარჩენოდა,რომ მელიასათვის ხელი ეტაცა,მაგრამ მელია უცებ ,,გაცოცხლდა“ და ისარივით ტყისკენ გაიჭრა.ლამამ კი გაკვირვებისგან პირი დააღო და თვალები გადმოკარკლა,სიტყვა ვერ დაძრა და მხოლოდ ხელებს ასავსავებდა.მაგრამ რაღას იზამდა?გზისკენ გამობრუნდა,მაგრამ ჩექმები ვაღარ ნახა,არემარე დაათვალიერა,მაგრამ ჩექმები თითქოს მიწამ ჩაყლაპა.-,,ეს რა საცდურია!“-დაიყვირა ლამამ და აჩქარდა,რომ ტომარა და სალოცავი ხალიჩა მოეძებნა,მაგრამ ვეღარ იპოვა.ლამას სულ შეეშინდა.,,ალბათ ავი სული მელიად გადაიქცა და ჩემი ნივთები წაიღო,სანამ საღსალამათი ვარ,აქედან დროზე წავიდე“ და შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა.ლამა თავის მონასტერში დაბრუნდა.

სანამ ლამა მელიას დასდევდა,მგელმა და დათვმა მისი ნივთები წაიღეს.ტყის პირას სალოცავი ხალიჩა გაშალეს,ტომრიდან საჭმელი ამოალაგეს და გემრიელად გამოძღნენ,თან ძუნწ ლამაზე იცინოდნენ.

კურდღელმა შენიშნა:-ანდაზა მართალია-,,სპილენძისთვის დაიხარა და უბიდან ოქრო გადმოუვარდაო“.

სილა და მაიმუნები

ერთ სოფელში ორი მეგობარი ცხოვრობდა:გარსემი და ნაგსემი.გარსემი ალალი,კეთილი გულის პატრონი იყო,ნაგსემი კი ბავსვობიდან სიძუნწით და ცბიერებით გამოირჩეოდა.

ერთხელ მთებში ძირხვენის მოსაგროვებლად წავიდნენ.ერთ ადგილას გარსემმა ძირხვენის ამოთხრისას,თოხი რაღაც მაგარს მოახვედრა და სპილენძის ჭურჭელი დაინახა.ნაგსემს დაუძახა და ჭურჭელი ამოთხარეს.ჭურჭელში ოქროს ფულები აღმოჩნდა.

ნაგსემმა ოქროს დანახვაზე გაიფიქრა,რომ ოქრო სულ მას დარჩენოდა და გარსემს უთხრა:

-ძვირფასო მეგობარო,ოქროთი სავსე ჭურჭელი ჩემთან შევინახოთ.შენ გულუბრყვილო ხარ,უცებ ქურდი რომ შემოგეპაროს და მთელი ოქრო წაიღოს,ჩემთან უფრო დაცული იქნება.როცა ფული დაგჭირდება,მოდი და რამდენიც გინდა აიღე,კიდევ დაგჭირდება და კიდევ აიღე.

გავიდა ერთი თვე,ორი და გარსემმა სახლის შეკეთება გადაწყვიტა და ფულისთვის ნაგსემთან მივიდა.ნაგსემმა მეგობარი ფანჯრიდან შენიშნა,დანაღვლიანდა და თითქოს ეტირებოდა.

-რა მოხდა?რამ დაგაღონა?-თანაგრძნობით ჰკითხა გარსემმა.

-არ ვიცი როგორ გითხრა.გუშინ სახლთან მათხოვარმა გაიარა,მინდოდა ოქრო მეჩუქებინა,ჭურჭელი გავხსენი და ოქროს მაგივრად სილა დამხვდა.მთის სული ბოროტად გვეხუმრა-ამოიოხრა ნაგსემმა.

გარსემი თავისი გულუბრყვილობის მიუხედავად მიხვდა,რომ მის მეგობარს ოქრო უნდოდა მიეთვისებინა,მაგრამ არ შეიმჩნია და მხოლოდ ეს უთხრა:

-საოცრებებიც ხდება და მასზე უარესიც,-ამ სიტყვებით დაშორდა თავის ცბიერ მეგობარს და სახლში დაბრუნდა.

მეორე დღეს გარსემმა ბაზარში ორი მაიმუნი იყიდა.ადამიანის მსგავსად მაგიდასთან ჯდომა,ადამიანის ტანსაცმლის ჩაცმა და ნაგსემის ბიჭების სახელებზე გამოპასუხებაც ასწავლა.

ამის მერე გარსემი ნაგსემთან ისევ წავიდა და უთხრა:

-ძვირფასო მეგობარო,უშვილო ვარ და შენი შვილები რამდენიმე დღით ჩემთან სტუმრად გამოუშვი.

ნაგსემს გაუხარდა მეგობარმა ოქრო რომ არ ახსენა და შვილები გარსემს გაატანა.

ერთი კვირის მერე ნაგსემი გარსემთან შვილების წამოსაყვანად წავიდა.გარსემი სახლის ზღურბლზე შეხვდა და შეშინებული სიტყვას ვერ ძრავდა.

-რა გჭირს?-ჰკითხა ნაგსემმა.

-ოხ,არ მკითხო,ისეთი უბედურება დამატყდა,რომ ენა ვერ გამოთქვამს.

-რაშია საქმე?შენი ჭირ-ვარამი გამაგებინე,ჩვენ ხომ ბავშვობიდან ვმეგობრობთ.

-შენი ბიჭები ჩვენთან მხიარულიბდნენ,მაგრამ დღეს მინდვრიდან რომ დავბრუნდი,სახლში შევედი და შენი ბიჭების ნაცვლად ორი მაიმუნი დამხვდა.შენს ბიჭებს ვეძახდი და მაიმუნები ჩემსკენ მორბოდნენ.ალბათ მთის სულმა შენი შვილები მაიმუნებად აქცია.

ნაგსემი სახლში შევარდა და იქ თავის იჭების ტანსაცმელში ჩაცმული ორი მაიმუნი დაინახა,რომლებიც მაგიდასთან ისხდნენ და კაკალს აკნატუნებდნენ.ნაგსემს,დაინახეს თუ არა,მაშინვე მივარდნენ:ეგონათ რაიმე სასუსნავი მოუტანათ.

-ხომ მართალი ვარ?-უთხრა გარსემმა.

-არ მჯერა,ადამიანები მაიმუნებად ვერ გადაიქცევიან,-დაიყვირა ნაგსემმა.

-რატომაც არა?ოქროს ფული სილად ხომ გადაიქცა,-მიუგო გარსემმა.

ნაგსემი მიხვდა,რომ მეგობარმა სამაგიერო გადაუხადა და გაწითლებულმა აღიარა:

-მაპატიე,სიმართლეს ვიტყვი,ოქროს ფული სილად არ გადაქცეულა,დავმალე,მოდი და შენი წილი წაიღე.

სიმართლეს ვიტყვი და არც შენი ბიჭები გადაქცეულან მაიმუნებად.ტყეში კენკრისთვის გავგზავნე-ღიმილით უთხრა გარსემმა.

გარსემმა თავის მეგობარს აპატია და მის მიმართ გულში ბოროტი არ გაუვლია.მას მერე როცა ნაგსემი რაიმე სისულელეს ჩაიფიქრებდა,ეტყოდნენ ხოლმე:ფრთხილად იყავი,შენი ბიჭები მაიმუნებად ისევ არ გადაიქცნენ.

ჩატატუტუ და ფასკუნჯი

ერთხელ პატარა ჩიტმა ჩატატუტუმ ბალახებში ბუდე გაიკეთა და შიგ სამი კვერვხი დადო.ეს იქვე სოროში მცხოვრებმა ხვლიკმა პიკამ შეიტყო.მას ფრინველის კვერცხი ძალიან უყვარდა და სადაც მოახელთებდა იპარავდა.ჩატატუტუ საკვებისთვის გაფრინდა,ხვლიკმა პიკამ კი ერთ კვერცხს პირი სტაცა და თავის სოროში წაიღო და გემრიელად შეექცა.

ჩატატუტუმ უკან მოფრენისას დაინახა,რომ ხვლიკი პიკა მის კვერცხს შეექცეოდა და ატირდა,ავაზაკი ხვლიკი შეაჩვენა,ხვლიკმა კი კუდი მოიწყვიტა და სოროში დაიმალა.

მეორე დღეს პიკამ მეორე კვერცხიც მოიტაცა.

პატარა ჩატატუტუ სულ გაბრაზდა და ფასკუნჯთან,ფრინველთა დედოფალთან მფარველობის სათხოვნელად მიფრინდა.

-ფასკუნჯო!ჩვენო იმედო,ხედავ,რა უბედური ვარ!ავაზაკმა პიკამ ბუდიდან ორი კვერცხი მომტაცა,ორი ბარტყი დავკარგე,გთხოვ დასაჯო.

მუხაზე გაკეთებულ ბუდეში მჯდარმა ფასკუნჯმა პატარა,უსუსურ ჩატატუტუს გაღიზიანებულმა უპასუხა:

-ვერ ხედავ,როგორი მოუცლელი ვარ!როგორ ბედავ ასეთი უბრალო საქმისთვის შემაწუხო.ყველა დედამ თავის ბარტყებზე თვითონ უნდა იზრუნოს და არა სხვები შეაწუხოს.

ჩატატუტუ დანაღვლიანდა,რადგან დაინახა,რომ ფასკუნჯი გასაჭირში არ ეხმარებოდა და ნაწყენმა მიუგო:

-შენ ფასკუნჯო,ფრინველთა დედოფალი ხარ და ამიტომ თხოვნით მოგმართე.ჩემი ჭირი შენთვის არაფერია,მაგრამ ანდაზა სამართლიანად აღნიშნავს,რომ ,,პატარა ცეცხლს თუ დროზე არ ააქრობ,დიდ უბედურებად შემოგიბრუნდება“,იქნებ ისე მოხდეს,რომ მერე მე დამაბრალო.

-წადი,წადი,ნუ მაწუხებ!-მიუგო ფასკუნჯმა.

განაწყწნებული და დარდიანი დაბრუნდა ჩატატუტუ თავის ბუდეში.,,რისთვის ვთხოვე დედოფალს,განა არ ვიცოდი,რომ ძლიერი და მდიდარი სუსტსა და ღარიბთან საქმეს არ დაიჭერს.ჩემი ბუდე მე თვითონ უნდა დავიცვა“.

ჩატატუტუმ პატარა წკნელისგან მშვილდი გააკეთა,ბალახის ღეროსგან ისარი და ახლოს ხის ტოტებში დამალა და პიკას დაელოდა.

ცოტა ხანმა გაიარა და დაინახა,რომ პიკა მის ბუდეს ეპარებოდა,უკანა ფეხებზე აიწია და უკანასკნელი კვერცხის აღებას შეეცადა.ამ დროს ჩატატუტუმ მშვილდი მოზიდა და ისარი ავაზაკს პირდაპირ თვალში ესროლა.პიკა ტკივილისგან დაიკრუნჩხა,მერე მდინარეში გადახტა,რათა ცივი წყლით ტკივილი დაეამებინა.მდინარის პირას ნასადილევი ლომი თვლემდა.ნახევრადბრმა პიკა ლომს პირდაპირ ცხვირპირში ეტაკა,ლომს ძალიან შეეშინდა და ჯერ არ გამოფხიზლებულიყო,რომ მდინარეში გადახტა.მდინარეში კი ტალღებზე დრაკონი ნებივრობდა.დრაკონი ლომის დანახვაზე მოულოდნელად ცაში აიჭრა.შემთხვევით იმ მუხას წამოედო,რომელზეც ფასკუნჯს ბუდე ჰქონდა გაკეთებული და მისი ერთადერთი კვერცხი გატეხა.განრისხებული ფასკუნჯი დრაკონს ეცა და გალანძღა.

-შენ დრაკონი ხარ,მე კი ფასკუნჯი.შენ წყალში ცხოვრობ,მე-მიწაზე.ჩემი კვერცხი რატომ გატეხე?ჩვენ,ფასკუნჯები წელიწადში ერთხელ ერთ კვერცხს ვდებთ და ერთი ბარტყი გვყავს.შენი წყლის საცხოვრისიდან როგორ ამოფრინდი და ბუდე როგორ დამინგრიე და შთამომავალი რატომ დამიკარგე?

-კეთილშობილო ფასკუნჯო!მდინარეში ჩემთვის წყნარად ვტივტივებდი,უცებ ლომი გადმოხტა და თავს დამესხა,ამიტომ ცაში ავფრინდი,ჭირს თავი დავაღწიე,შემთხვევით ხეს წამოვედე და უნებლიედ ბუდე დაგინგრიე.ჩემი კი არა ლომის ბრალია,მას უსაყვედურე,-მიუგო დრაკონმა.

გამწარებული ფასკუნჯი ლომის ბუნაგისკენ გაფრინდა.

-ბრძენო ფასკუნჯო-უთხრა ლომმა,-ნაპირზე წყნარად მეძინა და ამ დროს ვიღაც გაგიჟებული ხვლიკი პირდაპირ ცხვირპირში დამეტაკა.სიშისა და მოულოდნელობისგან მდინარეში გადავხტი და დრაკონი შევაშინე,ჩემი ბრალი არ არის,ხვლიკი პიკა გაკიცხე.

ფასკუნჯმა ხვლიკი მოძებნა,მან კი აუხსნა:

-მშვენიერო ფასკუნჯო!დამნაშავე არ ვარ!ბალახებში მივსეირნიბდი და ჩატატუტუმ ისარი მესროლა.ტკივილისაგან მდინარისკენ გავიქეცი და გზააბნეული ლომს ცხვირ-პირში დავეტაკე,შეშინებული ლომი კი მდინარეში გადახტა და დრაკონი შეაშინა.სწორედ მან დაგინგრია ბუდე.ბრალი ჩატატუტუს მიუძღვის,ის დასაჯე.

და ფასკუნჯი პატარა ჩატატუტუს ბუდესთან მიფრინდა.ის იყო განრისხებული თავს დააწყდა,რომ ჩატატუტუმ სიტყვა გააწყვეტინა;

-ფასკუნჯო!მე შენ დახმარება გთხოვე,შენ კი მითხარი,რომ ყველა დედემ თავისი შვილები თვითონ უნდა დაიცვას და სხვა არ უნდა შეაწუხოს.ამიტომ ბოროტი ხვლიკი მოვიგერიე.თუ შენს კვერცხს არ გაუფრთხილდი,სხვას ნუ დააბრალებ.განა არ გაგაფრთხილე,რომ თუ წვრილმან ჭირს არ აიცილებ,დიდ უბედურებას გამოიწვევს!

პატარა ჩატატუტუს ფასკუნჯი ვერ შეეპასუხა და უკან გაფრინდა.

რატომ აქვს კურდღელს ტუჩი ორად გაყოფილი

მზისქვეშეთში ერთი ოინბაზი კურდღელი ცხოვრობდა.ერთხელ უფსკრულში ცხენის მძორი დაინახა,საძოვარზე მწყემსთან გაიქცა და დაუძახა:

-მწყემსო!მწყემსო!გაგიმართლა!მთის ძირში მკვდარი ცხენი გდია,გაიქეცი და ტყავი გააძრე.

-არა,ჩემს იაკებს საპალნისგან ზურგი აქვთ გახეხილი,როგორც კი წავალ,მაშინვე ყორანი მოფრინდება და იარებს დაუკორტნის,-მიუგო მწყემსმა.

-იაკებს არაფერი მოუვათ,-არწმუნებდა კურდღელი მწყემსს და თან გულზე ხელს იბრაგუნებდა,-შენ ჩქარა გაიქეცი,აქ ფარას მე ვუპატრონებ.

მწყემსმა კურდღელს დაუჯერა და ცხენის ტყავის გასაძრობად წავიდა,კურდღელი კი ყორანს მიეჭრა და უთხრა:

-ეი,ყორანო!ბედნიერება გეწვია.მწყემსმა საძოვარი მიატოვა.იაკებს ზურგი გადახეხილი აქვთ,ჩქარა გაფრინდი და იარები დაუკორტნე!

ყორანმა თავი დაუქნია და დაიყრანტალა:

-არსად არ გავფრინდები,ვერ ხედავ,ჩემს ბუდეში რამდენი კვერცხია?გავფრინდები თუ არა,ბიჭები მაშინვე დაიტაცებენ.

-ნუ გეშინია,-უთხრა ყორანს კურდღელმა,-ბუდეს მე ვუყარაულებ და შენს კვერცხებს ვერავინ წაიღებს.

ყორანმა დაუჯერა,ფრთები აიქნია და საშოვარზე გაფრინდა.

ამ დროს კი კურდღელმა ბიჭთან მიირბინა და უთხრა:

-ეი,ბიჭო!ყორანი გაფრინდა,ჩქარა ხეზე აძვერი და ბუდიდან კვერცხები ამოიღე.

ბიჭმა კურდღელს შეხედა და უთხრა:

-არ შემიძლია.დედამ სახლი ჩამაბარა.მე რომ წავიდე,ქურდი შემოძვრება და ყველაფერს მოიპარავს.

-ეხ,შე შტერო,სახლს მე ვუყარაულებ,-უთხრა კურდღელმა.

ბიჭი მაშინვე ბუდისკენ გაიქცა.კურდღელმა კი ქურდთან მიირბინა და უთხრა:

-მისმინე ბიჭო!შენ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულხარ,ბიჭი ყორნის კვერცხებისათვის გაიქცა და სახლში არავინ დარჩა,წადი და სახლი გააცარიელე!

-მართლა?-ჰკითხა ქურდმა და მაშინვე საქურდლად გაიქცა.

ამ დროს მწყემსმა მკვდარ ცხენს ტყავი გააძრო და საძოვარზე დაბრუნდა.ხედავს,რომ ყორანი იაკებს ზურგს უკორტნის.მწყემსმა დაიყვირა,ქვას ხელი დასტაცა და ყორანს ესროლა.ყორანი ცაში აიჭრა და თავის ბუდისკენ გაფრინდა.იქ ბიჭი უკვე ხეზე ასულიყო და ყორნის კვერცხებს უბეში იდებდა.ყორანი განრისხდა,ფრთები გაშალა და ბიჭს დააცხრა.ბიჭს შეეშინდა და სახლისკენ გამოიქცა.შინ მიირბინა და დაინახა,რომ ქურდს ნივთები მოეგროვებინა და უნდა წაეღო.

-ქურდი დაიჭირე!ქურდი დაიჭირე-დაიყვირა ბიჭმა.

ქურდს შეეშინდა და მოჰკურცხლა.

მწყემსმა ყორანს ეჩხუბა,ყორანმა ბიჭს,ბიჭი კი ქურდს მისდევდა,ქურდი ბიჭისგან თავს იცავდა.არნახული ალიაქოთი იდგა.ამ დროს კი კურდღელი მთაზე ასულიყო

და აურზაურს იქიდან აკვირდებოდა.დაინახა,რომ ყველა მისი ნების მორჩილი აღმოჩნდა,გადაიხარხარა და ზედა ტუჩი შუაზე გაუსკდა.

მას მერე კურდღელს ორად გაყოფილი ტუჩი აქვს.

დღესაც ტიბეტში,როცა ვინმე ოინბაზობას მოინდომებს ეტყვიან ხოლმე:,,შენს ტუჩს გაუფრთხილდი.“

ბაყაყი და ყორანი

ერთხელ ყორანმა მსუქანი ბაყაყი დაიჭირა და მეზობელი სახლის სახურავზე აფრინდა,რათა ნანადირევი მშვიდად შეეჭამა,მაგრამ სახურავზე დააგდო თუ არა,ბაყაყმა მხიარულად დაიყიყინა.

-დაო ბაყაყო რას იცინი?-ჰკითხა ყორანმა.

-არაფერი,ძმაო ყორანო!ამ სახურავში ჩემი ძმა ცხოვრობს,შენ არც კი იცი,რა ძლიერი და დაუნდობელია,ჩემს წყენას არავინ შეარჩენს.

ბაყაყის ნათქვამი ყორანს არ მოეწონა.ბაყაყი ნისკარტით აიღო და რუს გადაურინა.ის კი უფრო აყიყინდა.

-შენ ისევ იცინი?-ჰკითხა ყორანმა.

-არ ვიცი,ღირს კი ამ წვრილმანის შეხსენება?ბიძაჩემი სწორედ ამ რუში ცხოვრობს,ჩემს ძმაზე ძლიერი და დაუნდობელია.

ყორანს შეეშინდა და გადაწყვიტა ამ სახურავიდან საერთოდ გაფრენილიყო,სადაც ბაყაყის ძლიერი და დაუნდობელი ნათესავები ცხოვრობდნენ.

ბაყაყი ნისკარტით აიღო და ქვემოთ გაფრინდა და შორიახლოს დაჯდა.ბაყაყი მიწაზე დადო და ჰკითხა:

-აქ შენი ნათესავები ხომ არ არიან?

-არა,აქ ჩემი ნათესავები არ ცხოვრობენ,-საწყალი ხმით მიუგო ბაყაყმა.

და ბაყაყისთვის ის იყო უნდა ეკბინა,რომ:

-ძმაო ყორანო!რა ჭუჭყიანი ნისკარტი გაქვს?არ ჯობდა ჭამის წინ გაგეწმინდა და გაგელესა?აქვე ბრტყელი ქვა დევს და გამოგადგება.

,,ნამდვილად,ნისკარტი უნდა გავილესო“,ქვას ეცა და ნისკარტის ლესვას შეუდგა.

მაგრამ ყორანი როგორც კი ქვისკენ მიტრიალდა,სასოწარკვეთილმა ბაყაყმა ისკუპა და ჭაში გაუჩინარდა.ყორანმა ნისკარტი გაილესა,ბაყაყისკენ მოტრიალდა და ...

ყორანი ჭაზე აფრინდა,აქეთ-იქით იყურებოდა,ბოლოს ქვემოთ ჭაში ჩაიხედა და ბაყაყი შეამჩნია.

-დაო ბაყაყო,აქა ხარ?-ალერსიანად ჰკითხა ყორანმა,-შემეშინდა,მეგონა სულ დაგკარგე.აქ ამოდი,ჩემი ნისკარტი სუფთა და გალესილია.

-ძმაო ყორანო!მოხარული ვიქნებოდი,მაგრამ ამოსვლა არ შემიძლია.სჯობს შენ ჩამოხვიდე და აქ შემჭამო,-გადაიხარხარა ბაყაყმა და ჭის ფსკერზე გაუჩინარდა.

კურდღელი და ლომები

მთის კალთაზე მდებარე ფართო მღვიმეში ლომების ოჯახი ცხოვრობდა.იმ არემარეზე ყველაზე ძლიერი მხეცები იყვნენ და მათ მომაკვდინებელ კლანჭებს ვერც ერთი ოთხფეხი გადაურჩებოდა და ამიტომ მეზობლად მცხოვრები ცხოველები მათი შიშით სულ კანკალებდნენ.ლომების,ყველაზე მეტად პატარა კურდღელს ეშინოდა.მას თავისი სორო მთის ძირში ჰქონდა და ერთხელ,ლომი ბუჩქის ძირას მძინარე კურდღელს თავს დაადგა,საწყალს ტორი მოსდო და ხახა დააღო,რომ გადაეყლაპა.

-ბიძია ლომო,დაიცადე,ჩემი შეჭმა ნუ გეჩქარება,განა მე თვითონ არ გეძებდი?დავიღალე და ჩამეძინა,მაპატიე გეთაყვა.

-რატომ მეძებდი,-დაიღრინა გაკვირვებულმა ლომმა და კურდღელს კლანჭებიდან არ უშვებდა.

-ჩვენს ხეობაში შენი მსგავსი არსება გამოჩნდა,მაგრამ შენზე ძლიერი.დამიჭირა და შენთან გამომგზავნა და დამაბარა:,,ლომი ამ ადგილებიდან გადაიკარგოს,თუი არა სულ დავგლეჯ“.

ლომს მრისხანებისგან ფაფარი ყალყზე დაუდგა.

-განა ჩვენს მხარეში ვინმე ოთხფეხი ჩემზე ძლიერია?-დაიღრიალა ლომმა,-ეხლავ წამიყვანე ამ მომხდურთან და თვითონ ნახავ როგორც მოვექცევი!

-ბიძია ლომო,გთხოვ მასთან ფრთხილად იყო,მისი ძალა შენ არც კი იცი,სჯობს მე შემჭამო,ვიდრე მას შეებრძოლო,შენთვის უარესი იქნება.

კურდღლის სიტყვებმა ლომი სულ გააცოფა.

-მორჩი ლაყბობას,-დაიღრიალა ლომმა,-დაუყონებლივ წამიყვანე იმ თავხედთან ან არადა,ტყავს გაგაძრობ!

კურდღელი ლომის ბრჭყალებისგან განთავისუფლდა და წინ გაიჭრა,ლომი კი უკან მიჰყვა.ასე მიიყვანა ცბიერმა კურდღელმა ლომი დიდ,ღრმა,ნახევრად სავსე ჭასთან და უთხრა:

-ბიძია ლომო,ქმემოთ ჩაიხედე და შენზე არანაკლებ ბრჭყალებიან და ეშვებიან ურჩხულს დაინახავ.

ლომი ჭასთან მივიდა და შიგ ჩაიხედა.წყლის ზედაპირი დამოსახულებას სარკესავით ირეკლავდა და ლომმა თავისი ანარეკლი დაინახა.

-ბიძია ლომო,ის იქაა,მეც კარგად ვხედავ,ხედავ როგორ მოგაშტერდა?ფრთხილად იყავი!-დაიყვირა კურდღელმა.

კურდღლის სიტყვებმა ლომი განარისხა,ჭას ირგვლივ უვლიდა და იღრინებოდა,მისი ანარეკლი მის ღრენას იმეორებდა და ექოსავით გამოსცემდა.

-ბიძია ლომო,კბილებს კი აკრაჭუნებ,მაგრამ ამ ურჩხულს ვერ დაიჭერ!

კურდღლის ამ სიტყვებმა ლომი სულ გააცოფა და თავისი მტრის დასაგლეჯად ჭაში ჩახტა.ჭის კედლები რიყის ქვით იყო ნაშენი და ლომი უკან ვეღარ ამოვიდოდა.ლომი მიხვდა რომ ხაფანგში გაება,მაგრამ გვიანი იყო.კურდღელს კი უხაროდა,რომ ერთი მტრით ნაკლები დარჩა.

ლომების ბუნაგის სიახლოვეს ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები იყო.მისგან მხოლოდ სქელი კედელიღა დარჩენილიყო.ქარმა და წვიმამ ეს კედელიც დააზიანა და სადაცაა დაინგრეოდა.კედლის საძირკველთან ქვები გადმოყრილიყო და ერთ მხარეს

განიერი ნაპრალი გაჩენილიყო,რომელიც მეორე მხარეს ვიწროვდებოდა.კურდღელს ამ ნაპრალის საშუალებით მხეცებისგან თავი ბევრჯერ დაეხსნა და აი,ძველი კედლის ნანგრევის გახსენებისას კურდღელმა მოიფიქრა ძუ ლომს როგორ გასწორებოდა.

მეორე დღეს,უთენია,კურდღელმა ლომების ბუნაგთან მიირბინა.ძუ ლომს არ ეძინა,მღვიმის შესასვლელთან წინ და უკან დადიოდა და ქმარზე დარდობდა.კურდღელი შორიახლოს გაჩერდა და უთხრა:

-დეიდა ლომო,გამარჯობა!რატომ აღელვებულხართ?

ძუ ლომმა ერთი შეხედა და წინ და უკან სიარული გააგრძელა.

-შენ ალბათ შენ ქმარს ელოდები?ალბათ ვეღარც ნახავ.გუშინ რაღაც წვრილმანზე შევკამათდით,ორივე ფიცხები ვართ და წავიჩხუბეთ.შენი ქმარი ისე მივბეგვე,რომ უკვე მოკვდებოდა.

ძუ ლომს მრისხანებისგან თავში სისხლი აუვარდა და კურდღელს საშინელი ღრიალით ეცა,მაგრამ კურდღელი ფხიზლად იყო,განზე გახტა და ციხის ნანგრევებისკენ ისარივით გაფრინდა.განრისხებული ძუ ლომი უკან გამოუდგა.კურდღელი ნაპრალში სწრაფად შეძვრა და მეორე ვიწრო მხრიდან გამოძვრა.ძუ ლომიც უკან მიჰყვა და ნაპრალში გაიჭედა.კურდღელიც ამას იმედოვნებდა.ლომი მთელი ძალით ცდილობდა თავი დაეხსნა,მაგრამ ამაოდ.ძლიერი ბიძგებისგან კედელი შეზანზარდა,ჩამოინგრა და ძუ ლომი ნანგრევებში ჩაიმარხა.

აი ასე,სუსტმა,მაგრამ გამჭრიახმა კურდღელმა მთელი ის მხარე საშინელი მხეცებისგან გაანთავისუფლა.

ტიბეტელები ჭკუასა და საზრიანობას ტყუილად არ აფასებენ.

ვინც თავს ძალ-ღონით მოიწონებს,ეტყვიან ხოლმე:,,ლომს დიდი ძალა ჰქონდა,მაგრამ ჭკვიანი კურდღლისგან კი დაიღუპა,“

ამბე და რამბე

ერთ დიდ, გლეხურ სახლში ერთი რუხი კატა ცხოვრობდა.პატრონები კატას არ აჭმევდნენ და ამის საჭიროება არც იყო, რადგან სახლში ბევრი თაგვი დაძვრებოდა და კატა თავის საკვებს იოლად მოიპოვებდა.აი ასე უდარდელად ცხოვრობდა კატა, სანამ არ დაბერდა და თაგვების დაჭერა არ გაუჭირდა. სიმარჯვეც გაუქრა და სანამ თაგვს შეამჩნევდა და საჭმელად მოემზადებოდა, ის უკვე გაქრებოდა ხოლმე. რუხ კატას შიმშილის დღეები დაუდგა, იშვიათად თუ დაიჭერდა თაგვს და ამიტომ შეფიქრიანდა თუ როგორ უნდა ეცხოვრა. ცოტა იფიქრა თუ ბევრი იფიქრა, ბოლოს, აი, რა მოიფიქრა:

კატა საკუჭნაოში შევიდა, სადაც თაგვები ბინადრობდნენ.მის დანახვაზე თაგვები დაიმალნენ, კატა კი ალერსიანად მიელაქუცა:-თაგვებო, დაიცადეთ, ნუ დაიფანტებით, მისმინეთ რას გეტყვით.

თაგვებმა ყურები აცქვიტეს და კატამ მათ ასე მიუმღერა:

-თაგვებო, მე თქვენს წინაშე დამნაშავე ვარ, ბევრი ბოროტი და ავი საქმეები გამიკეთებია, ბევრი თაგვი დამიჭერია.მაგრამ ახლა დავბერდი და ცოდვები მოვინანიე.გპირდებით ხელს ერთ თაგვსაც კი არ ვახლებ. სადაც გინდათ და როგორც გინდათ ისე ირბინეთ, ჩემი ნუ შეგეშინდებათ, ოღონდ ერთი პირობით: დღეში ორჯერ, დილა-საღამო ჩემს თვალწინ გაივლით და ჩემს სიკეთეზე მადლიერების ნიშნად, თავს დამიკრავთ.

თქვა ეს კატამ და თითქოს და მეტი საქმე არ ჰქონდათ, თაგვებს ზურგი შეაქცია.

თაგვებს ეს ძალიან გაუხარდათ და დაიჯერეს.ყველგან დარბოდნენ, კატას ირგვლივ გაბედულად უვლიდნენ, ის კი თვალებმილულული თავისთვის იწვა.

მოსაღამოვდა. კატა საკუჭნაოში ხალიჩაზე წამოწვა, თაგვები დამწკრივდნენ და თავის დაკვრით წინ გაუარეს.კატა მშვიდად იჯდა და არც კი ინძრეოდა, მაგრამ როგორც კი უკანასკნელი თაგვი წარუდგა და თავი დაუკრა, ცბიერმა ფისომ კლანჭები გამოჰკრა.საცოდავმა თაგვმა დაწრუწუნებაც კი ვერ მოასწრო და დანარჩენებმა ვერც კი შეამჩნიეს.

აი ასე,დილა-საღამოს თაგვები კატის წინ გაივლიდნენ და თავს დაუკრავდნენ, კატა კი უკანასკნელ თაგვს იჭერდა. რუხი კატა ისევ გამხიარულდა.

თაგვებს შორის ორი ჭკვიანი და მოხერხებული იყო. ერთს ამბე ერქვა, მეორეს-რამბე.ეს ორი თაგვი მეგობრობდნენ და მიხვდნენ, რომ კატა თაგვებს თითქოს არ იჭერდა, მაგრამ მათი რაოდენობა კი კლებულობდა. „აქ რაღაცაშია საქმე, კატა ასეთ პირობას არ მოგვცემდა“.-გაიფიქრეს მეგობრებმა და გადაწყვიტეს რუხი კატა გაეცუცურაკებინათ.

საღამოს თაგვები ისევ დამწკრივდნენ, ამჯერად მწკრივის თავში რამბე დადგა, ბოლოში კი ამბე.როცა თაგვების მწკრივი კატის წინ გადიოდა, რამბემ დაიძახა:

-ამბე, სადა ხარ?

-აქა ვარ რამბე!

ერთმანეთს ასე გადასძახებდნენ, სანამ ყველა თაგვმა კატის წინ არ გაიარა.კატა გაბრაზებული იჯდა და უკანასკნელ თაგვის-ამბეს შეჭმა ვეღარ გაბედა.მიხვდა, რომ მისი ეშმაკობა გამოჩნდებოდა.

იმ ღამეს კატა მშიერი დაწვა და გაიფიქრა:-„დილით ვისაუზმებ, იქნებ ორი თაგვი შეუმჩნევლად დავიჭირო“.

მაგრამ დილითაც იგივე განმეორდა.მეგობრები ერთმანეთშ გადასძახებდნენ და კატამ კიდევ ვერაფერი მოახერხა და სულ გაბრაზდა: „აი დაღამდება და მე მათ ვაჩვენებ სეირს.“

მაგრამ ამბე და რამბე კატას ყურადღებით აკვირდებოდნენ და ხედავდნენ, რომ მოუთმენლობისგან კუდს აქიცინებდა და ულვაშებს არხევდა. მეგობრებმა დანარჩენი თაგვები გააფრთხილეს:-საღამოს ფრთხილად იყავით, კატას ყურადღება მიაქციეთ!

კატა შიმშილმა ძალიან შეაწუხა და საღამომდე ძლივს დაიცადა. როცა თაგვები მის წინ გადიოდნენ, ისევ მოესმა:

-ამბე სადა ხარ?

-აქა ვარ რამბე!

კატამ ვეღარ მოითმინა და თაგვების შუაში გადახტა,მაგრამ გაფრთხილებული თაგვები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ და კატამ ვერც ერთი ვერ დაიჭირა, რადგან ძველებურად ვეღარ ხტოდა.

კატა მიხვდა, რომ ამ სახლში ვეღარ გაიხარებდა და თაგვებს უკვე სხვაგან ეძებდა. ამის მერე თაგვები გალაღდნენ და ამბეს და რამბეს ჭკუასა და საზრიანობას ემადლიერებოდნენ

როგორ გადაარჩინა კურდღელმა კულანი

ერთხელ ადრიან გაზაფხულზე მსჰიერი მგელი საშოვარზე ყველგან დაწანწალებდა. უცებ, ახალგაზრდა გარეული სახედარი-კულანი შენიშნა და ჩუმად მიეპარა. „აი სადილი“ -გაიფიქრა მგელმა. კულინი კი ნორჩ ბალახს ძოვდა და საფრტხეს ვერც კი გრძნობდა. უცებ ქარმა მგლის სუნი მოიტანა. კულანმა თავი ასწია, უნდოდა თავს ეშველა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, რუხი მგელი თითქმის მიახლოვდა. მაშინ კულანმა მგელს უთხრა:

-ბიძია მგელო, რას მოიგებ ახლა თუ შემჭამ? ზამთარში სულ გამოვიფიტე, ცარიელი ძვალი და ტყავი დავრჩი. შემოდგომამდე დაიცადე, ხორცს მოვიკრავ, ორჯერ გავსუქდები და მაშინ შემჭამე.

-კარგი, ექვსი თვის მერე ამ ადგილის მოდი და დამელოდე,-კულანის აზრი მგელს მოეწონა და სანადიროდ სხვა მხარეს გაიქცა.

ექვსმა თვემ გაიარა, დადგა შემოდგომა. მგელმა ადრე გაიღვიძა და დათქმული ადგილისაკენ გაიქვა. სერზე მელია შემოხვდა.

-დილა მშვიდობისა! ძმაო მგელო,ასე ადრიანად საით მირბიხარ?-ჰკითხა მელიამ.

-ხეობაში მივრბივარ, იქ ახალგაზრდა კულანი მელოდება და უნდა შევჭამო.

-ძალიან კარგი, ძმაო მგელო, მაგრამ კულანი ხომ ძალიან დიდია და შენ ერთი მისი შეჭმას როგორ შეძლებ? ნება მომეცი, მეც შენთან წამოვიდე და ერთი ნაჭერი მეც შევჭამო.

-რა თქმა უნდა, ერთად წავიდეთ,-დაეტანხმა მგელი.

მირბიან და გზაზე კურდღელი შემოხვდათ.

-დილა მშვიდობისა,ძმებო, ასეთ მშვენიერ დილას საით მიგეჩქარებათ?
-თავაზიანად მიესალმა კურდღელი.

-დილა მშვიდობისა, ძმაო კურდღელო,-მიესალმა მგელი,-ხეობაში ვიჩქაროთ, იქ მსუქანი კულანი მელოდება და უნდა შევჭამო, მელიაც ჩემთან ერთად მოდის და ერთი ნაჭერი მას უნდა ვუწილადო.

-ძვირფასო ძმაო მგელო, ნება მომეცი შენთან ერთად მეც წამოვიდე, კულანი ხომ ძალიან დიდი ცხოველია და ცოტაოდენი მეც მარგუნე,-სთხოვა კურდგელმა.

-შენც ჩვენთან წამოდი, გაგვიხარდება თუ შემოგვიერთდები,-დაეთანხმა მგელი.

გზა უკვე სამმა გააგრძელა. ხეობაში მიირბინეს და ახალგაზრდა კულანი დაინახეს,რომელიც მგელს ელოდებოდა.

კულანმა გაზაფხულზე წვნიანი, ნოყიერი ბალახი ბლომად მიირთვა, გასუქდა და გაიზარდა.მგელსა და მელიას გემრიელი საუზმის დანახვაზე პირში ნერწყვი მოუვიდათ. მგელი კულანს მიუახლოვდა და უთხრა:

-ძმაო კულანო, შენი დანახვა ძალიან გამიხარდა, მსუქანი და ჯანმრთელი რომ ხარ.ახლა მოგკლავ და შეგჭამ. ალბატ, გახსოვს ჩვენი შეთანხმება? ჩემთან ერთად მელია და კურდღელია და ისინი თავიანთ წილს მიიღებენ.

ამ სიტყვების თქმისთანავე მგელი ნახტომისთვის მოემზადა, მაგრამ ამ დროს კურდღელი ჩაერია:

-ძმაო მგელო, ერთი წუთით დაიცადე. თავში კარგი აზრი მომივიდა. ცოდოა მსუქანი კულანი ჩვეულებრივ მოკლა და სისხლი ტყუილუბრაოდ დაიღვაროს. სჯობს კულანი დაახრჩო, მაშინ მთელი სისხლი სხეულში დარჩება.

მგელმა იფიქრა, იფიქრა და კურდღელს უთხრა:

-ძმაო კურდღელო, გეთანხმები, მაგრამ ეს როგორ გავაკეთო? ჰკითხა მგელმა.

-სულ უბრალოდ, აქვე ახლოს მწყემსების ქოხი დგას, თოკი სთხოვე, თოკს ბოლოში ყულფს გავუკეთებთ, კულანს კისერზე ჩამოვაცმევთ, გამოვწევთ და კულანიც დაიხრჩობა,-მიუგო კურდღელმა.

ასეც მოიქცნენ. მელია მწყემსებთან სწრაფად გაიქცა და თოკი მოიტანა. კურდღელმა თოკი აიღო, ერთ ბოლოში ყულფი გააკეთა, მეორე ბოლოში კი ორი პატარა ყულფი.

კურდღელი მელიასა და მგელს მოუბრუნდა და უთხრა:

-ახლა დიდი ყულფი კულანს კისერზე ჩამოვაცვათ.კულანი დიდი ცხოველია და მისი დახრჩობა არც ისე ადვილია. ჩვენ თოკი მთელი ძალით უნდა გამოვწიოთ. მოსახერხებელი რომ იყოს, ერთ ყულფში შენ მგელო, თავი გაყავი, მეორეში მელიამ, მე კი ჩემი მაგარი კბილებით თოკს გამოვქაჩავ. თქვა და კულანს დიდი ყულფი კისერზე ჩამოაცვა. მგელი და მელია ცოტა შეფიქრიანდნენ, მერე ორივემ თოკის მეორე ბოლოში პატარა ყულფებში გაყვეს.

-აბა,მზად ხართ?- იკითხა კურდღელმა.

-მზად ვართ,-მიუგეს მგელმა და მელიამ.

-მაშინ გამოქაჩეთ,-ბრძანა ცბიერმა კურდღელმა.

მგელმა და მელიამ თოკი ერთ მხარეს გაქაჩეს, კულანმა კი მეორე მხარეს. კულანი უფრო მძიმე და ძლიერი იყო და მგელი და მელია თავისკენ წაათრია.

-შენ რატომ არ ექაჩები?-ჰკითხა მგელმა მელიას.

-შენ თვითონ გამოსწიე,-უთხრა მელიამ და ყულფიდან განთ‍ავისუფლებას ცდილობდა.

-ორივემ გაქაჩეთ!-ხმამაღლა დაუყვირა კურდღელმა და კულანს თვალით ანიშნა.

ალალ-მართალი კულანი ბოლოს და ბოლოს მიხვდა რასაც მიანიშნებდა კურდღელი და გაიქცა, თან მგელს და მელიას მიათრევდა. მგელი და მელია ხეებსა და ქვებს ეხეთქებოდნენ, კულანმა დიდ წრეზე შემოუარა და უკან კურდღელთან დაბრუნდა. მგელსა და მელიას სული ამოხდათ. კურდღელმა კულანი ყულფიდან გაათავისუფლა და უთხრა:

-საბალახოდ გაიქეცი, წინ იყურე და ყურადღებით იყავი, მგელს ხახაში არ ჩაუვარდე!

თვითონ კი კმაყოფილი სოროსკენ გაიქცა და თან ფიქრობდა: „დღეს ერთი კარგი საქმე გავაკეთე, ეს მხარე ორი ავაზაკისგან გავანთავისუფლე.“

როგორ მეფობდა მელია

მზისქვეშეთში ერთი ცბიერი მელია ცხოვრობდა და ერთხელ ღამით სოფლისკენ ქათმის მოსაპარად გასწია და მოულოდნელად საქათმის ნაცვლად მღებავის სახელოსნოში ცისფერსაღებავიან როფში ჩავარდა. მელია როფიდან გაჭირვებით ამოძვრა და თავს უშველა.

დილამდე საღებავი გაშრა და მელიას ბეწვი მზეზე ცისფრად აელვარდა. სხვა მელიები ამ უცხო არსების დანახვაზე განცვიფრდნენ და შეღებილ მელიას გაკვირვებბული ეკითხებოდნენ:-ვინ ხარ?

ცბიერი მელია მიხვდა, რომ ამ უბედურებიდან შეიძლებოდა ხეირი ენახა და ამაყად ამბობდა:- მე მინო ვარ და ცის იმპერატორმა ოთხფეხების იმპერატორად გამომგზავნა.

ახალი ამბავი მთელს ტყეში ელვის სისწრაფით გავრცელდა. ამ ამბავს ყორნები, ციყვები, დათვები,მგლები და ტყის სხვა ბინადარნი ერთმანეთს გადასცემდნენ. ცის იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ოთხფეხთა მეფის შესახხებ ლომებმაც და სპილოებმაც გაიგეს და საოცარი ცისფერი არსების დანახვაზე ეს მონაჩმახი დაიჯერეს.

ამის მერე უძლიერესი სპილო ცისფერ მელიას ზურგით ატარებდა და ლომებს კი ღირსებად მიაჩნდათ მისი მცველები ყოფილიყვნენ. ცისფერი მელია ისე გაამაყდა, რომ ვეფხვებს და დათვებს ხარკი დაადო.

ერთხელ დედა გაახსენდა და მის წინ თავის მოწონება მოუნდა. მელიამ დედასთან შიკრიკი გააგზავნა და ასე დააბარა:- „შენი ვაჟი მეფე გახდა და სანახავად წამოდი.“

-ჩემი ვაჟი ხომ არ გაამაყდა?- ჰკითხა შიკრიკს დედა მელიამ.

-მას თავი ყოველთვის მაღლა უჭირავს, მხოლოდ ლომებს და სპილოებს სცნობს, ჩვენ, მელიებს კი ახლოს არ გვიკარებს.

დედა მელიას თავისი შვილის საქციელი ძალიან ეწყინა და შიკრიკს უთხრა:

-ამპარტავნებას კარგი არაფერი მოაქვს, მაგრამ შვილთან მაინც წამოვალ.

ცისფერი მელია შიკრიკის მოტანილ პასუხზე განრისხდა და შიკრიკი გააძევა. ის თავის ჯოგში დაბრუნდა და მეგობრებს უთხრა:

-ჩვენი მეფე ჩვეულებრივი მელიაა, მე მისი დედა ვნახე, ისი ისეთია, როგორც ჩვენ.

მელიებმა არ იცოდნენ დაეჯერებინათ თუ არა. მაშინ ერთმა მელიამ ასეთი რამ მოიფიქრა:

-მოდი საღამოს ერთად შევიკრიბოთ და ერთხმად ავყმუვლდეთ. თუ ჩვენი მეფე ჩვეულებრივი მელიაა, აუცილებლად გამოგვეხმაურება, სიმართლეს მაშინ გავიგებთ.

საღამოს სპილოზე დამჯდარი ცისფერი მელია სასეირნოდ გამობრძანდა. დანარჩენი მელიები ტყის პირას მოგროვდნენ და ერთხმად აყმუვლდნენ. ცისფერმა მელიამ როგორც კი თავისი თანამოძმეების ხმა გაიგონა, თავისიჩვეულებით ბანი მისცა.

-ეს ხომ ჩვეულებრივი მელიაა,- გაიფიქრა სპილომ თავისი მხედრის ხმის გაგონებაზე.

-ოხ, შე თავხედო მატყუარა!- დაიღრიალა სპილომ, ხორთუმი ასწია და მეფე ზურგიდან გადმოაგდო.

ცისფერი მელია სპილოს ფეხებს ძლივს გაექცა და თანამოძმეების ხროვისკენ გაიქცა, მაგრამ ნაწყენმა მელიებმა ამპარტავნების გამო, ცისფერი მელია დაკბინეს და გააძევეს.

ამიერიდან მატყუარა მელია მარტოდმარტო დაწანწალებდა და არავინ იამხანაგებდა.

თაგვი და სამი წრუწუნა

მრავალი წლის წინათ ტიბეტის სამხრეთში ერთ სათავადოში პატარა თაგვი ცხოვრობდა,რომლის მყუდრო სახლი თავადის სასახლის შორიახლოს ტყის პირას იდგა.

ერთხელ თაგვმა იგრძნო, რომ მალე წრუწუნა ეყოლებოდა. „კარგი იქნება ვაჟი გამიჩნდეს და დედამიწის ზურგზე მასზე ძლიერი არავინ იყოს,“- ფიქრობდა თაგვი და ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა და თან შესთხოვდა:

-დიადო ღმერთო! ისეთი ძლიერი ვაჟი მაჩუქე, რომ მასზე ძლიერი დედამიწის ზურგზე არავინ იყოს!

ღმერთებმა თაგვის ვედრება შეისმინეს და თაგვს ვაჟი გაუჩნდა, მაგრამ წრუწუნა კი არა- ვეფხვის პაწაწინა ბოკვერი, რომელიც დღეებით კი არა, საათობით იზრდებოდა და მალე ახალგაზრდა ღონიერი ვეფხვი დადგა.

ერთხელ ვეფხვმა დედას უთხრა:

-დედი, მე ჩემს თანამოძმე ვეფხვებთან უნდა წავიდე, თუ შენ დახმარება დაგჭირდება ტყეში შედი და ჩემი ბალანის რამდენიმე ღერი ჰაერში აისროლე და მე მაშინვე შენთან გავჩნდები. თ□გვს ბეწვის ბღუჯა მისცა და ტყისკენ გასწია.

რამდენიმე ხნის მერე თაგვი მიხვდა, რომ შვილი ისევ ეყოლებოდა და ისევ ვაჟი ისურვა. ამჯერად- ყველაზე ლამაზი. ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა და ულამაზეს ვაჟს შესთხოვდა.

და თაგვს წრუწუნის ნაცვლა ფარშევანგის ბარტყი ეყოლა. ბარტყი სწრაფად იზრდებოდა და მალე ახალგაზრდა უმშვენიერეს ფარშევანგად იქცა, რომლის ბუმბულები ცისარტყელას ფერებით ელვარებდა.

ერთხელ ფარშევანგმა თაგვს უთხრა:

-დედი, დროა ჩემი თანამოძმე ფარშევანგები მოვძებნო.თუ ჩემი დახმარება დაგჭირდება, მთის მწვერვალზე ადი,ჰაერში ჩემი რამდენიმე ბუმბული აისროლე და სამჯერ დამიძახე. მეც მაშინვე მოვფრინდები. ტაგვს რამდენიმე ბუმბული მისცა, ცაში აიჭრა და თვალს მიეფარა.

გავიდა დრო და თაგვმა ისევ იგრძნო, რომ შვილი ეყოლებოდა. ახლაც გაიფიქრა: „კარგია ძალა და სილამაზე, მაგრამ ჭკუა და სიმდიდრე უკეთესია“ და ღმერთებს შესთხოვა:

-ყოვლისშემძლე ღმერთრბო! გთხოვთ მდიდარი და ჭკვიანი ვაჟი მაჩუქოთ.

და თაგვს პატარა ბიჭი გაუჩნდა, რომელსაც ხლაცინი დაარქვა.

თაგვს თავისი პატყარა ბიჭი ძალაინ უყვარდა და უფროს ვაჟებთან შედარებით უფრო ანებივრებდა. იმისიც ეშინოდა ხლაცინი მისგან არ წასულიყო და თავის უფროს ძმებზე უყვებოდა, რომლებმაც დედა დატოვეს. და თაგვი ხლაცინს თავის საცხოვრებლიდან შორს წასვლას უკრძალავდა.

„წავა და აღარ დაბრუნდება“,-ფიქრობდა დედა თაგვი. ხლაცინი დამჯერი ბავშვი იზრდებოდა და როგორც დედა არიგებდა თავისი სახლკის შორიახლოს თამაშობდა და როცა დავაჟკაცდა, მაშინაც სახლს არ შორდებოდა.

ერთხელ, თავადის კარის დალაქმა დაინახა და მხრებამდე თმაგრძელი ვაჟკაცისთვის თმის შეჭრა მოუნდა. ხლაცინს მიუახლოვდა და ჰკითხა:

-ვაჟკაცო, რა გქვია?

-ხლაცინი მქვია.

-ვისთან ცხოვრობ?

-დედასთან ერთად ამ პატარა სახლში ვცხოვრობ. დედაჩემი თაგვია.

დალაქს გაუკვირდა და უთხრა:

-რა გრძელი თმა გაქვს, მოდი შეგაჭრი.

-კარგი, -დაეთანხმა ხლაცინი.

დალაქი თმებს ჭრიდა და თვალებს არ უჯერებდა. შეჭრილი თმა მიწაზე ჩამოცვივდებოდა თუ არა, ძვირფას თვლად იქცეოდა, ფრჩხილები მოაჭრა და ფრჩხილის წანაჭრები მიწაზე დაცემისას ფირუზად გადაიქცა.

განცვიფრებულმა დალაქმა იმავე დღეს პატარა თაგვის საოცარი ვაჟკაცის შესახებ თავადს მოახსენა.თავადი ძუნწი და დაუნდობელი ადამიანი იყო და გადაწყვიტა, რომ ხლაცინი დაემონებინა და სასახლეში ჰყოლოდა. „როცა ვაჟკაცს თმა და ფრჩხილები გაეზრდება მოჭრას ვუბრძანებ და ძვირფას თვლებს შევინახავ“,- გაიფიქრა თავადმა.

თავადმა მსახურებს ხლაცინის მოყვანა უბრძანა და როცა მოიყვანეს მკაცრად ჰკითხა:

-შენ ჩემს ნაკრძალ ტყეში რატომ დადიხარ?ამის გამო დედაშენს დავსჯი, შენ კი დაგიმონებ.

-მე თქვენს ტყეში არ შევსულვარ, გთხოვ დედაჩემს ხელს ნუ ახლებთ, მე კი სახლში გამიშვით, -უთხრა შეშინებულმა ხლაცინმა.

-სტყუი!-უხეშად გააწყვეტინა თავადმა.-კარგი, გაპატიებ თუ შენ ჩემი სახლის ოთხი შესასვლელის დასაცავად ოთხ ძლიერ ვფხვს მომიყვან. ტუ ვერ მოიყვანმ მაშინ შენს თავს დააბრალე.

ხლაცინმა უგულო თავადს ბევრი ეხვეწა და თავის უდანაშაულობაში არწმუნებდა, მაგრამ მას ამის გაგონება კი არ სურდა.მან ხომ ეს თვითონ მოიფიქრა, რათა ბიჭი დაემონებინა.

აფორიაქებული ხლაცინი სახლში დაბრუნდა.

-შვილო, რამ შეგაძრწუნა?-ჰკითხა დედა თაგვმა.

ხლაცინმა დედას თავადის დავალების შესახებ მოუყვა.

-ჩემო ბიჭო, არ იდარდო, შენი უფროსი ძმა დაგეხმარება და დედა თაგვმა ხლაცინს ვეფხვის ბალანი მისცა და დაარიგა როგორ მოქცეულიყო.

ხლაცინი ტყეში შევიდა,ვეფხვის ბალანი ჰაერში აისროლა და ხმამაღლა დაიყვირა:

-ძმაო ვეფხვო! ძმაო ვეფხვო! ძმაო ვეფხვო!

და მაშინვე უღრანი ტყიდან უზარმაზარი ზოლებიანი მხეცი გამოვიდა და დაუძახა:

-აქ ვარ, ძმაო ხლაცინ! რა მოხდა?

-ძმაო ვეფხვო, თავადმა მიბრძანა თავისი სასახლის დასაცავად ტყიდან ოთხო ძლიერი ვეფხვი მივუყვანო. თუ ამას არ შევასრულებ, დედას დასჯის, მე დამიმონებს.

-მხოლოდ ეს არის? თუ გინდა, ას ვეფხვს მოგიყვან,-გაიცინა უზარმაზარმა ვეფხვმა.

ვეფხვმა ხახა დააღო და გამაყრუებელი ხმით დაიღრიალა. ყოველი მხრიდან ვეფხვებმა მოირბინეს.მალე ასამდე მოგროვდა.

-აბა,გეყოფა?-ზურგზე დამაჯექი და სასახლეში წავიდეთ,-ჩაიცინა ხლაცინის ძმამ.

და სასახლისკენ დაიძრნენ.ხლაცინი უზარმაზარ ვეფხვზე იჯდა, დანარჩენი ვეფხვები კი უკან მოჰყვებოდნენ.სასახლის მსახურებს ამდენი ვეფხვის დანახვაზე შეეშინდათ და ყვირილით თავს უშველეს.

-მხეცები! მხეცები! იარაღი აისხით!

მცველებსაც შეეშინდათ და ცდილობდნენ სადმე დამალულიყვნენ.ვეფხვებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და პირდაპირ თავადის დარბაზისკენ გასწიეს.

-თავადო, სად ხარ? მე თქვენ ვეფხვები მოგიყვანეთ,- ხმამაღლა დაიყვირა ხლაცინმა.

შეშინებულმა თავადმა გული გაიმაგრა და დარბაზში შევიდა.

-აი,თქვენი ტყის საუკეთესო ვეფხვები, ამოირჩიეთ ნებისმიერი ოთხი.-უთხრა ხლაცინმა.

განცვიფრებულმა თავადმა ვერაფერი ვეღარ თქვა, ოთხი ვეფხვი ამოირჩია და ხლაცინი დანარჩენ ვეფხვებთან ერთად გაუშვა, მაგრამ ძუნწ თავადს ძვირფასეულობაზე ფიქრი არ ასვენებდა.

რამდენიმე დღის მერე ხლაცინი ისევ დაიბარა და უთხრა:

-შენ ერთი დავალება შეასრულე.ახლა მეორეც შემისრულე.ჩემი სასახლის ოთხო ოქროს კოშკის მოსართავად ოთხი საუკეთესო ფარშევანგი მომიყვანე, მაშინ ჩემს ქალიშვილს ცოლად მოგათხოვებ და ნახევარ ჩემს სათავადოს მზითვად გაგატან. თუ ამ დავალებას არ შეასრულებ, დედაშენს დავსჯი, შენ კი დაგიმონებ.შენ ხომ ჩემს ნაკრძალ ტყეში მაინც შედიოდი.

დანაღვლიანებული ბიჭი სახლში დაბრუნდა და დედას თავისი ახალი დავალების შესახებ მოუყვა.

-შვილო, არ იდარდო, ყველაფერი რიგზე იქნება, -დააწყნარა დედა თაგვმა,- შენი ფარშევანგი ძმა გიშველის და ფარშევანგის ბუმბულები მისცა და დაარიგა როგორ უნდა მოქცეულიყო.

ხლაცინი მთის მწვერვალზე ავიდა, ფარშევანგის ბუმბულები ჰაერში აისროლა და სამჯერ დაიყვირა:

-ძმაო ფარშევანგო!ძმაო ფარშევანგო! ძმაო ფარშევანგო!

მაშინვე ფრთხიალი მოესმა და ბალახზე მშვენიერი ფარშევანგი დაეშვა.

-აქა ვარ, ძმაო ხლაცინ! რა გჭირდება?

-ძმაო ფარშევანგო, თავადმა მიბრძანა ტყეში ოთხი ულამაზესი ფარშევანგი მოვძებნო, რათა ისინი მისი სასახლის ოთხ კოშკზე დასხდნენ. თუ ვერ მივუყვან დედაჩემს დასჯის, მე კი დამიმონებს.

- არ იდარდო, მე ახლა ყველა ფარშევანგს აქ მოვაგროვებ და თავადთან გავფრინდებით. მაღალ ხეზე აფრინდა და ფარშევანგებს თავისებურად მოუხმო.

ამ ხმის გაგონებაზე ჰაერში ფრთხიალი გაისმა და უამრავი ფარშევანგი მოფრინდა.

-ზურგზე დამაჯექი და სასახლისკენ გავფრინდეთ,-უთხრა ხლაცინს ფარშევანგმა ძმამ.

ხლაცინი ფარშევანგმა ძმამ ზურგზე დაისვა და ფარშევანგების გუნდი ჰაერში აიჭრა.

-აი, თქვენი ტყის საუკეთესო ფარშევანგები,-უთხრა თავადს ხლაცინმა, როცა დარბაზში შევიდა,-აირჩიეთ ოთხი საუკეთესო.

თავადი უსიამოვნოდ განცვიფრდა. ეს ვაჟკაცი არა მარტო ხელიდან უსხლტებოდა, მას მისი ქალიშვილი შეეძლო ეთხოვა და მზითვად ნახევარი სათავადო მიეღო. თავადმა ოთხი ფარშევანგი აირჩია და დარბაზიდან გადიოდა, რომ ხლაცინმა შეაჩერა:

-თავადო, დაპირებას როდის შეასრულებთ?

-წადი, წადი! მოვიფიქრებ,-უკმაყოფილოდ მიუგო თავადმა.

რამდენიმე დღის მერე თავადმა ხლაცინი სასახლეში მიიწვია და უთხრა:

-ვაჟკაცო, ჩემი მოდგმა ცნობილი და ძლიერია. შენი მოდგმა კი თავს რითი მოიწონებს? შენ ვიღაც თაგვის შვილი ხარ. დაე, მან თავისი მოდგმის ძალადაამტკიცოს. თუ დედაშენი ჩემს სპილოსთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვებს, ჩემს ქალიშვილს მოგათხოვებ და მზითვად ნახევარ სათავადოს მოგცემ, თუ არა, სამუდამოდ ჩემი მონა გახდები.

-პატარა თაგვი უზარმაზარ სპილოს როგორ აჯობებს, არც თქვენი ქალიშვილი მინდა და არც თქვენი ქვეყნის ნახევარი, დედაჩემს თავი დაანებეთ,-აღშფოთდა ხლაცინი.

მაგრამ უგულო თავადმა დაუყვირა:

-გეყოფა ლაყბობა! შენ თაგვს გაჰყევი! და მსახურებმა ხლაცინი სასახლიდან გამოაგდეს.

„ახლა უკვე აღარაფერი მიშველის“,-წუხდა ხლაცინი.

-თავადმა რა გითხრა?-ჰკითხა დედა თაგვმა.

-დედი, თავადმა ბრძანა, რომ მის უზარმაზარ სპილოს შეებრძოლო. უნდა, რომ დაგღუპოს და მე სამუდამოდ დამიმონოს.

დედა თაგვი დაფიქრდა, მერე კი უთხრა:

-ჩემო შვილო, ნუ შეშფოთდები, თავადს ამჯერადაც გავუმკლავდებით. იმ ქილიდან შხამი ამოიღე, ტანზე წამისვი, კუდზე კი გრძელი ბაწარი მომაბი.

ხლაცინმა ისე გააკეთა,როგორც დედა თაგვმა ურჩია, მერე სახელოში შეისვა და სასახლის მოედნისკენ გასწია.

იქ კი ყველაფერი მზად იყო. მოედანს მესერი აკრავდა. მის უკან ფიცარნაგი ეკიდა, რომელზეც თავადის ტახტი და ვეზირთა სკამები იდგა. ირგვლი ხალხი მოგროვილიყო. მოედნის ერთ მხარეს უზარმაზარი სპილო იდგა, მას უკანა ფეხზე მძიმე მორი ჰქონდა მობმული. ხლაცინი მოედნის საპირისპირო მხარეს დადგა.

-დაიწყეთ!-ბრძანა თავადმა, რომელიც ტახტზე იჯდა.

მსახურებმა სპილოს ჯაჭვები მოხსნეს. გოლიათმა სპილომ ხორთუმი ასწია და ღრიალით ხლაცინისკენ გაიქცა. ხლაცინმა დედა თაგვი სახელოდან გამოუშვა და ისიც სპილოსკენ გაიქცა. სპილომ თაგვი დაინახა თუ არა, წინა ფეხი ასწია, რათა გაესრისა, მაგრამ თაგვი მეორე ფეხზე სწრაფად ააცოცდა. მაშინ სპილომ ხორთუმი დაუშვა, რათა პატარა ცხოველი დაეჭირა, მაგრამ თაგვმა ხერხი იხმარა და ხორთუმის ნესტოში შეძვრა, ზევით აცოცდა და მალე თავამდე მიაღწია.

შხამი, რომელიც თაგვს ჰქონდა წასმული სპილოს სისხლში მოხვდა და აუტანელი ტკივილის გამო დაიღრიალა. სპილო გაცოფდა, მესერი გაანგრია და ფიცარნაკს ეცა. ხალხმა და წარჩინებულმა დარბაისლებმა ყოველ მხარეს მოკურცხლეს.

-გვიშველეთ!-დაიყვირა შეშინებულმა თავადმა და გრძელ ტანსაცმელში გაიხლართა.

ამ დროს შხამმა იმოქმედა და სპილო უსულოდ დაეცა. ხლაცინი სპილოსთან მივიდა, ბაწარი გამოსწია და დედა თაგვი უკან გამოიაძვრინა.

თავადს აღარა დარჩენოდა რა, რომ თავისი პირობა შეესრულებინა და ქორწილის სამზადიდი ბრძანა.

და როცა ბოროტი თავადი მოკვდა, ხლაცინმა მისი ტახტი დაიკავა და დედა თაგვთან ერთად თავადის სასახლეში დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდა.

გამჭრიახი რინჩენი

დიდი ხნის წინათ ტიბეტში ერთი მოხუცი ლამა ცხოვრობდა. მისი პატარა სახლი სოფლის განაპირას ლამაზი გორაკის თავზე იდგა.

მოხუცს ნათესავები არ ჰყავდა და პატარა ობოლი ბიჭი, რინჩენი ემსახურებოდა. ლამა მთელი დღე წმინდა წიგნებს კითხულობდა, მისი მსახური კი მეურნეობას უძღვებოდა, მდინარეზე წყლისთვის მიდიოდა, საჭმელს ამზადებდა და ტანსაცმელს რეცხავდა.

ლამა ცოტას ჭამდა და ხორცს პირში არასოდეს იდებდა. სხვა ბერებისგან განსხვავებით, აღთქმას არ არღვევდა და სულიერ არსებას სიცოცხლეს არ უსპობდა, ამიტომ მოხუცი ლამა მხოლოდ ცზამბით, რძით და კარაქით იკვებებოდა, მაგრამ ასეთი საკვები ლამას ახალგაზრდა, ძლიერ და მადიან ჭაბუკს არ აკმაყოფილებდა. ის უხორცობას ძალიან წუხდა და ლამას ხშირად სთხოვდა ცხვრის დაკვლის უფლება მიეცა, მაგრამ მოხუცი ლამა არ თანხმდებოდა და ამასთანავე ეუბნებოდა:-დაიმახსოვრე, ცოდვაა სულიერს სიცოცხლე მოუსპო!

ერთხელ, ერთი მსუქანი ცხვარი ფარას ჩამორჩენოდა და ლამას სახლის შორიახლოს ბალახს ძოვდა. რინჩენს ცხვრის დანახვაზე მოუნდა ყელი ხორცით ჩაეკოკლოზინებინა. საზრიანმა ახალგაზრდამ მაშინვე მოიფიქრა ცხვარი ქვაბში როგორ მოეთავსებინა და მოხუც ლამას როგორ გახუმრებოდა.რინჩენი ცხვარს მიეპარა, ხელი სტაცა და სახლის ქვედა სართულზე შეიყვანა. მერე ზემო სართულზე ავიდა, თოკი აიღო და თოკის ერთი ბოლო იატაკის ნახვრეტით ქვემოთ ჩაუშვა, ყულფი გააკეთა, ცხვარს კისერზე ჩამოაცვა, თვითონ ლამასთან ავიდა და უთხრა:

-წმინდაო ლამა, გორაკის თავზე ფარას ჩამორჩენილი ცხვარი დაეხეტებოდა. მგლებს რომ არ შეეჭამათ, მოვიყვანე და ქვემოთ დავაბი. ცხვარი გაქცევას ცდილობს და თოკს ხელს ვერ ვუშვებ. მომეხმარეთ. სანამ მწყემსებთან გავიქცევი, თოკი დაიჭირეთ.

მოხუც ლამას არც კი უფიქრია, თუ ცხვარი დაბმული იყო და თოკი რატომ უნდა დაეჭირა.

-თუ ცხვარი გაქაჩავს, თოკი უფრო ძლიერ გამოსწიეთ და გაქცევის საშუალება არ მისცეთ,-უთხრა რინჩენმა და ქვემოთ გაიქცა, ვითომ მწყემსთან მიდიოდა.

რინჩენს მწყემსის მოძებნა არც უფიქრია. ბასრი ჯოხი აიღო და ცხვარს გვერდში ურჭობდა. ცხვარი ფეხებს აფართხალებდა, მოხუცი ლამა კი თოკს ძლიერ ქაჩავდა და ცხვარი დაახრჩო.

კარგა ხნის მერე რინჩენი ლამასთან დაბრუნდა და უთხრა:

-წმინდაო ლამა! მწყემსი ვერსად ვნახე, ცხვარი თოკში გაიხლართა და დაიხჩო. ყველაზე უკეთესი იქნება ცხვარი დავჭრათ და შევჭამოთ.

ლამა არაფერზე დაეჭვებულა და მსახურს უფლება მისცა ხორცი ეჭამა, თან სთხოვა:

-ხორცი შენ ჭამე, მე კი ჩვეულებრივ მხოლოდ ცზამბე და რძე მომიტანე.

გახარებულმა რინჩენმა ცხვარი სწრაფად გაატყავა და ცხვრის მოხარშული გემრიელი ხორცით დიდი ხნის მერე პირველად გაძღა. „დანარჩენს მზეზე გავახმობ და კიდევ დიდხანს მეყოფა“,-თავისთვის გაიფიქრა რინჩენმა.

მაგრამ ისე არ მოხდა, როგორც მსახური იმედოვნებდა. მწყემსი ჩამორჩენილი ცხვრის ძებნაში ლამას სახლს მიადგა, შემთხვევით ფანჯარაში შეიხედა და დაინახა რინჩენი ცხვარს როგორ უსწორდებოდა. მწყემსს ლამასთან მისვლის შეეშინდა და საღამოს მშობლებს ყველაფერი მოუყვა.

მეორე დღეს ცხვრის პატრონი ლამასთან საჩივლელად მივიდა და მოხუცს მოუყვა თუ ცხვარი როგორ მოახრჩეს. ლამა საშინლად განრისხდა და რინჩენს გამოუცხადა:

-მე შენი მიზეზით საშინელი ცოდვა ჩავიდინე. ჩემი ხელით სულიერ არსებას სიცოცხლე მოვუსპე. ამ სახლში შენი ფეხი აღარ იყოს! ახლავე აქედან გადაიკარგე!

რინჩენმა თავისი ბარგი-ბარხანა მოაგროვა, ტომარაში ჩაალაგა, მხარზე გადაიკიდა და მოხუცი ლამას სახლი დატოვა. ახალგაზრდამ პირველად ძალიან იდარდა თავშესაფრის გარეშე რომ დარჩა, მაგრამ რინჩენი ხალისიანი და მიზანდასახული იყო, მწუხარება და დარდი მალე გადაავიწყდა და ბედის საძიებლად მხიარულად გზას დაადგა. როცა სოფელს დაშორდა უკნიდან ფეხის ხმა მოესმა. რინჩენი შემოტრიალდა და ახალგაზრდა კაცი დაინახა, რომელიც კვალში ჩადგომოდა.

-დაიცადე! ერთად ვიაროთ, უფრო მხიარულად ვიქნებით!-დაუძახა უცნობმა.

ახალგაზრდები ერთმანეთს გაესაუბრნენ და რინჩენმა მოხუც ლამასთან მსახურებისა და ცხვრის ამბავი მოუყვა, რის გამოც თავშესაფრის გარეშე დარჩა.

-ახლა ვფიქრობ სარჩო როგორ მოვიპოვო,-დაასრულა თავისი ამბავი რინჩენმა.

-შესანიშნავია! -წამოიძახა უცნობმა. მე ის კაცი ვარ, რომელიც დაგეხმარება. იცი, მე ქურდი ვარ და ჩემს ხელობაში ფრიად დახელოვნებული. მალე ხელში კარგი საქმე ჩაგვივარდება და მაშინ ფული აღარ მოგვაკლდება.

მიდიოდნენ და თან ლაყბობდნენ.საღამოს გზის პირას დიდი სახლი დაინახეს.

-შენ აქ დარჩი, მე კი წავალ და გავიგებ რამეს გამოვრჩებით თუ არა,-უთხრა რინჩენს თანამგზავრმა.

ქურდი მაშინ დაბრუნდა, როცა ბნელდებოდა.

-გიხაროდეს მეგობარო, ბევრი ფული გველოდება. ამ სახლის პატრონი ძალიან მდიდარია და გუშინ გარდაიცვალა. ნათესავები არა ჰყავს, მხოლოდ ერთი ქალიშვილი დარჩა. მდიდარს ერთი ვაჟი ჰყავდა, რომელიც დიდი ხნის წინათ სახლიდან გაიქცა და მას მერე მასზე არავის არაფერი სმენია. აი, რა მოვიფიქრე: შენ ფანჯრიდან იმ ოთახში გადაძვერი, სადაც მიცვალებული ასვენია და დაიმალე. მე პირდაპირ მიცვალებულის ქალიშვილთან მივალ და ძმად გავეცნობი, თითქოს მრავალი წლის ხეტიალის მერე სახლში დავბრუნდი. ის, რა თქმა უნდა არ დაიჯერებს. მაშინ მე ვეტყვი:-დაე, მიცვალებულმა განსაჯოს და ჩვენ იმ ოთახში შემოვალთ, სადაც მიცვალებული ასვენია და თხოვნით მოგმართავ:- განა მე შენი დაკარგული ვაჟი არა ვარ? შენ კი მაშინვე გვიპასუხე:-დიახ, ჩემი ვაჟი ხარ. ქალი ვეღარ შეგვეწინააღმდეგება და გარდაცვლილის ქონების ნახევარს მომცემს, მე კი შენ გაგიყოფ.მაგრამ იცოდე, დილამდე ოთახში დარჩი, ღამით კი ავ ძაღლებს უშვებენ და შეიძლება დაგგლიჯონ. თუ დაგიჭერენ გეგმა ჩაგვეშლება.

რინჩენი ქურდს დაეთანხმა, მიცვალებულის ოთახში გადაიპარა და დაიმალა.

ამ დროს ქურდი სადარბაზო კარებს გაბედულად მიადგა და ხმამაღლა დააკაკუნა. მსახურმა შეუშვა და პირდაპირ ახალგაზრდა ქალბატონის ოთახში შევიდა.

-ვინ ხართ და რა გნებავთ?-ჰკითხა ქურდს.

-დაო! მე შენი დაკარგული ძმა ვარ, ნუთუ ვერ მიცანი?-წამოიძახა ქურდმა.

-არა, ვერ გიცნობ, რადგან როცა ძმა სახლიდან გაიქცა, მაშინ მე ძუძუთა ბავშვი ვიყავი. მას მარტო მამა შეიცნობდა, მაგრამ ის გუშინ გარდაიცვალა- უთხრა გაკვირვებულმა ქალიშვილმა.

-როგორ! მამაჩემი მოკვდა!- წამოიძახა ქურდმა. ახლა ვინღა დამიჯერებს, რომ ღვიძლი და უარმყოფს. იმ ოთახში შევიდეთ, სადაც მამას ცხედარი ასვენია და ვკითხოთ,მისი ვაჟი ვარ თუ არა.

ქალიშვილი დაეთანხმა და მიცვალებულის ოთახში ორივე ერთად შევიდა.

-მამა! თქვენ აქ ხართ?-ჰკითხა ქურდმა.

-დიახ!-ჩუმად მიუგო რინჩენმა.

-მინდა გკითხოთ: განა თქვენი ვაჟი არა ვარ?

-ჩემი ვაჟი ხარ,-ძლივს უპასუხა რინჩენმა.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ქურდი ოთახიდან სწრაფად გამოვიდა და თან შეშინებული და განცვიფრებული ქალიშვილი გაიყოლია. როცა ქალიშვილი გაოგნებისგან გამოერკვა ქურდმა უთხრა:

-ახლა, ჩემო დაო, ამ სიტყვების სისწორეში ალბათ ეჭვი აღარ გეპარება, მაგრამ არ შემიძლია მამა უკანასკნელ გზაზე გავაცილო. ამაღამ აუცილებლად უნდა წავიდე. მამის მთელ ქონებას შენ გიტოვებ, ოღონდ რაც სახლში ოქროა, ის მე მომეცი.

ქალიშვილი დათანხმდა და სკივრიდან ოქროს ზოდებით სავსე ტომარა ამოიღო. ქურდმა ტომარა ზურგზე მოიგდო, ქალიშვილს დაემშვიდობა და სახლიდან გამოვიდა.

რინჩენი დილაუთენია ფანჯრიდან გადაძვრა და ქურდს დაელოდა, მაგრამ მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, რომ ქურდი არ გამოჩენილა. მაშინ რინჩენი სახლს მიუახლოვდა და მსახურს ჰკითხა დიასახლისი როგორ ენახა. მან კი სამგლოვიარო ტანსაცმელში ჩაცმულ ახალგაზრდა ლამაზ ქალიშვილზე მიუთითა.

-თქვენი ძმა სად არის?-ჰკითხა რინჩენმა.

-ჩემი ძმა წუხელ წავიდა და მამისეული ოქრო თან წაიღო.

რინჩენი მიხვდა, რომ ქურდმა მოატყუა, რათა ნადავლი მას დარჩენოდა. ქალიშვილის კეთილი სახის დანახვაზე თავისი საქციელის გამო შერცხვა და გადაწყვიტა ქურდისთვის ოქრო წაერთმია და პატტონისთვის დაებრუნებინა. რინჩენმა ქალიშვილს მიმართა:

-გთხოვთ, ცხენი მათხოვოთ, თქვენს ძმასთან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს და შევეცდები დავეწიო.

ქალიშვილი რინჩენს დაეთანხმა და მსახურს შეკაზმული ცხენის მოყვანა დაავალა. რინჩენი ცხენზე ამხედრდა და ქურდს უკან გამოუდგა. შუადღისას თავისი ფლიდი ამხანაგი გაბარჯღული ხის ქვეშ წამოწოლილი დაინახა. რინჩენმა მოიფიქრა,რომ ქურდი ნადავლს იოლად არ დათმობდა, თვითონ კი შეუიარაღებელი იყო. ქურდს ქამარზე გრძელი ხანჯალი ეკიდა.

რინჩენმა ხრიკს მიმართა და ცხენს კისერზე შემოეჭდო და ისე გააჭენა, თითქოს ქურდი არც კი შეუნიშნავს.მერე ტომრიდან ახალი ჩემა ამოიღო და გზაზე დააგდო. ცოტა ხნის მერე მეორე ჩექმაც დააგდო, თვი/ტონ კი იქვე შორიახლოს დაიმალა. ქურდმა გაჭენებულ რინჩენს დამცინავი ღიმილით გახედა, ცოტა დაიცადა და ტომრის სიმძიმისგან წელში მოხრილმა გზა გააგრძელა. უცებ შუა გზაზე დაგდებული ახალი ჩექმა შენიშნა და გაიფიქრა: „ეს სულელი ისე მიაჭენებდა, რომ ტომრიდან ახალი ჩექმა გადმოვარდნია, მაგრამ წყვილის გარეშე ახალიც კი გამოუსადეგარია.“ ქურდმა ცოტა კიდევ გაიარა და მეორე ჩექმაც შენიშნა. „აი, წყვილი, რატომ პირველი ჩექმა არ ავიღე?“ და ჩექმის ასაღებად უკან დაბრუნდა.

ოქროთი სავსე ტომარა გზის პირას ხშირ ბალახში დამალა. რინჩენმა დაიცადა, სანამ ქურდი ამ ადგილს არ დაშორდა, მერე ბუჩქნარიდან სწრაფად გამოვიდა, ოქროს ზოდებით სავსე ტომარა აიღო და უკან გამოაჭენა და გაოცებულ თაღლითს კინაღამ არ დაეჯახა.

რინჩენი ქალიშვილთან საღამოს, დაკრძალვის მერე დაბრუნდა.

-აი, თქვენი ოქრო,- და ტომარა სკივრზე დააგდო.

-ძმამ თავისი წილი რატომ დამიბრუნა?-გაუკვირდა ქალიშვილს.

-ის თქვენი ძმა არ არის,-მიუგო რინჩენმა და ქურდის თაღლითობის ამბავი დაწვრილებით მოუყვა,-მე უთვისტომო ვარ და ნება მომეცით თქვენთან დავრჩე,- სთხოვა რინჩენმა.

ქალისვილს მარ“თალი და მიზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა მოეწონა და დათანხმდა:

-კარგი,დარჩით, მეურნეობის გაძღოლაში მომეხმარებით.

რინჩენმა თავშესაფარი იპოვა და მალე ქორწილიც კი გადაიხადეს.

მოჯადოებული პატარა ბაყაყი

დიდი ხნის წინათ ერთი მეფის სასახლეში ერთი მოხუცი მსახური ქალი ჰყავდა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეფის სამზარეულოსთვის წყალი მოჰქონდა. მისი ქმარიც სამზარეულოში მუშაობდა: შეშას ჭრიდა, ღუმელებს ახურებდა, ნახერხიც გამოჰქონდა. მოხუცები დილიდან დაღამებამდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, მაგრამ ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ, სხვისი ძონძები ეცვათ და მაძღრისად მხოლოდ დღესასწაულებზე ჭამდნენ. მოხუცები სიღარიბეზე მეტად უშვილობაზე წუხდნენ.ამბობდნენ:-სიბერეში ვერავინ დაგვამშვიდებს და უკანასკნელ გზაზე ვინ გავგვაცილებს?

ერთხელ დედაბერს მუხლზე მუწუკი გაუჩნდა. მუწუკი დღითი დღე იზრდებოდა და მეფის სამზარეულოსთვის წყლის მიტანა კი არა, ვეღარ დადიოდა, სენაკში იწვა და ოხრავდა.

ერთი თვის მერე მუწუკი გასკდა და პატარა ბაყაყი გადმოხტა. ამის დანახვაზე მოხუც ქმარს შეეშინდა და დედაბერს უთხრა:

-ეს ბაყაყი, სხვა არაფერია თუ არა ბოროტი მაქცია, მოვკლათ სანამ გვიანი არ არის!

დედაბერს ბაყაყი შეეცოდა, ატირდა და ქმარს შეეკამათა:

-ბოროტია თუ კეთილი, ვინ იცის? ჩვენ უბედურები ვართ, შვილი არ გვყავს, არც ცეცხლის დამთები, არც წყლის მომტანი, იქნებ, ღმერთმა ბაყაყი შვილის მაგივრად გამოგვიგზავნა. განა შეიძლება მოვკლათ?

ბერიკაცს თავისი ცოლი უყვარდა და არ უნდოდა მის წინააღმდეგ წასულიყო და ბაყაყისთვის ხელი არ უხლია. მაგრამ ეს თვალებდაჭყეტილი და პირდაფჩენილი არსება ისე ეზიზღებოდა, რომ საცხოვრებლად სხვაგან წავიდა.

დედაბერი სულ მარტო დარჩა და ბაყაყს უფრო მიეჯაჭვა. როგორც ღვიძლ შვილს, ისე უვლიდა და ასეირნებდა, უკანასკნელ ლუკმას უყოფდა. ერთხელ დედაბერმა თავისი ბაყაყი უბეში ჩაისვა და სასეირნოდ გაეშურა. ბაყაყი სახტუნაოდ მდელოზე გაუშვა და გაეხუმრა:

-ეჰ, ბაყაყო, კარგი იქნებოდა ლაპარაკი გცოდნოდა.

ბაყაყი გაიბერა და ადამიანის ხმით დაელაპარაკა:

-დედილო, დედი! არ ინაღვლო, გავიზრდები ცოლს შევირთავ და მაშინ ცხოვრება შეგიმსუბუქდება.

დედაბერმა გაკვირვებისა და სიხარულისგან ხმა ვერ ამოიღო და მას მერე თავისი ბაყაყი უფრო შეუყვარდა.დიდი ხანი გავიდა თუ ცოტა ხანი, ერთხელ ბაყაყმა დედაბერს უთხრა:

-დედილო, ჩემი ცოლის შერთვის დროა, წადი და სარძლო დანიშნე.

-ვისთან წავიდე? პატარა ბაყაყს ვინ დაგენათესავება?თანაც უღარიბესი ოჯახი გვაქვს.

-დედი, პირდაპირ მეფესთან მიდი და უთხარი: „მეფეო, შენ სამი ასული გყავს და ერთი მათგანი ჩემს ვაჟს მიათხოვე,“-უთხრა ბაყაყმა.

-ეხ შვილო, განა მეფე შენ ქალიშვილს მოგათხოვებს?-ამოიოხრა დედაბერმა.

-არაფერია დედი, რადგან გგზავნი, გაბედულად წადი.

რა გაეწყობოდა, დედაბერი მოემზადა და მეფის სასახლისკენ გზას დაადგა.სასახლეში მივიდა და მეფეს თავის დაკვრით მიესალმა:

-დიდო მეფეო, ნება მიბოძეთ თხოვნით მოგმართოთ.

-რისთვის მოხვედი?-ზერელედ იკითხა მეფემ.

-არც საღმელი მინდა და არც ტანსაცმელი. სამი ქალიშვილი გყავს და ერთი

მათგანი ჩემს ძვირფას ვაჟს მიათხოვე.

-დედაბერო, შენ ჭკუაზე ხარ? როგორ თუ ჩემი ქალიშვილი შენს ვაჟს ცოლად გაჰყვეს! ამის გაფიქრებაც კი როგორ გაბედე?-გაუკვირდა მეფეს და თან განრისხდა:-მსახურნო! ეს უტვინო დედაბერი სასახლიდან გააძევეთ!

მსახურებმა მაშინვე მოირბინეს და დედაბერი გამოაგდეს. დედაბერი სახლში დასევდიანებული დაბრუნდა და თავის ბაყაყს ეჩხუბა:

-სულელი ბავშვი ხარ! სულელი! ძველი ანდაზა ამბობს: „ფარშევანგი ყორანთან ვერ იმეგობრებს და სპილო ძროხასთან ვერ დაქორწინდება“. განა ეს ასე არ არის? შენი ოცნება თავიდან ამოიგდე.

ბაყაყი მეფის უარზე ძალიან გაბრაზდა და დაიმუქრა:-კარგი, ახლა მე თვითონ წავალ და თუ მეფე თავის ქალიშვილს ნებით არ მომათხოვებს, ძალით წამოვიყვან. დედილო შენ აქ იჯეი და დამელოდე.

დედაბერმა ხმის ამმოღება ვერ მოასწრო, რომ ბაყაყი სამჯერ ახტა, დახტა და უცებ მეფის სასახლის ჭიშკართან გაჩნდა.

-მეფეო! მეფის ვეზირებო და მსახურნო! მეფის ასულის დასანიშნად მოვედი და ჭიშკარი გამიღეთ, -ქუხილის მსგავსი ხმით დაიყვირა ბაყაყმა.

მეფემ და მისმა ამალამ ამ ხმის გაგონებაზე გაიფიქრეს: „ნუთუ თვით დრაკონთა მბრძანებელი გვეახლა?“ ისინი ფანჯარას მივარდნენ და ქვემოთ პატარა მწვანე ბაყაყი დაინახეს.

-შენ აქ რა გინდა? ყვირილს როგორ ბედავ?-მკაცრად ჰკითხა მეფემ.

მე წყლის მზიდავი მსახურის ვაჟი ვარ. დედაჩემი შენი ასულის დასანიშნად მოვიდა და შენ კი გააგდე. ახლა მე თვითონ მოვედი. შენს ასულს მომათხოვებ?

მეფემ გადაიხარხარა და თავის ამალას მიუბრუნდა:

-ხედავთ, რა პატარა ბაყაყია და როგორი მაღალი ხმა აქვს. ასეთი საოცრება ვინმეს გინახავთ?

მერე ბაყაყს პირქუშად შეხედა და მედიდურად უთხრა:

-ჩემი ასულები გაზაფხულის ყვავილებივით ლამაზებია, შენ კი რას გავხარ? ახლა მე რომ ვუბრძანო მონადირე ძაღლები გამოუშვან,ცოცხლად დაგგლეჯენ.

-თუ არ გინდა შენი ასული მომათხოვო, მაშინ მე გავიცინებ,-უთხრა ბაყაყმა.

-იცინე სანამ არ გასკდები, რა ჩემი საქმეა?-გაბრაზდა მეფე.

-ხა ხა ხო ხო-უღრუბლო ცის ფონზე მეხივით დაიქუხა ბაყაყმა და მისი სიცილის გრუხუნისგან მეფის სასახლის კოშკები შეზანზარდა და კრამიტები გადმოცვივდა. მეფე და მისი ამალა ფეხზე ძლივს იდგნენ და აქეთ-იქით ქანაობდნენ.

-ეი შენ, ნუღარ იცინი, მე ახლა უფროს ქალიშვილს შევეკითხები ცოლად გამოგყვება თუ არა.

მეფე სასახლეში შევიდა და უფროს ქალიშვილს დაელაპარაკა, ის კი ატირდა:

-ძვირფასო მამა, რითი გაგარისხე? შენ რომ გიყვარდე, პატარა ბაყაყის ცოლობას არ შემომთავაზებდი. ჯობს მოვკვდე და ასეთ მახინჯს ცოლად არ გავყვები.

მეფე დაბრუნდა და ბაყაყს უთხრა:

-მინდოდა უფროსი ასული მომეთხოვებინა, მაგრამ ის უარზეა,არ მოსწონხარ, რადგან პატარა და უსახური ხარ.

-მაშინ ვიტირებ-მიუგო ბაყაყმა.

-თუ გინდა, იტირო, ჩემი ქალიშვილის წინააღმდეგ ვერ წავალ. თუ იაკს არ წყურია,ვერ დააძალებ,-უთხრა მეფემ.

მაშინ ბაყაყმა პირი ფართედ გააღო და ატირდა. თვალებიდან ცრემლი ნაკადულებივით წამოუვიდა, მალე სასახლის კედლებამდე მიაღწია. წყლის დონე უფრო და უფრო მაღლა იწევდა და ისე ადიდდა, რომ თითქმის ფანჯრებამდე მიაღწია.ცოტაც და, მთელ სასახლეს დატბორავდა.

მეფე ადრინდელზე მეტად შეშინდა და დაიყვირა:

-ბაყაყო, ნუ ტირიხარ! შუათანა ასულს ვთხოვ, იქნებ ცოლად გამოგყვეს. მეფე ქალიშვილებთან შევიდა და შუათანა ასულს ჰკითხა, ბაყაყს ცოლად გაჰყვებოდა თუ არა?

-განა მე ყველაზე გადასაგდები ვარ?ღარიბი მსახურის შვილს ცოლად რატომ უნდა გავყვე?

მეფემ ბაყაყს ასულის დანაბარები გადასცა.

მაშინ ბაყაყი ახტა და დახტა, ახტა და დახტა, უფრო მაღლა და მაღლა ხტებოდა, მისი ხტუნვისგან დედამიწა შეზანზარდა, მეფის სასახლე ყანყალებდა და სადაცაა დაინგრეოდა.

მეფე სულ შეშინდა, შიშისგან გამწვანდა და დაიყვირა:

-შეცერდი, ნუ ხტუნავ, შევალ და უმცროს ასულს შევეკითხები, ცოლად გამოგყვება თუ არა.

მეფე სასახლეში შევიდა და უმცროს ასულს სთხოვა ბაყაყს ცოლად გაჰყოლოდა.

-რადგან ბაყაყი ასეთ საოცარ ძალას ფლობს, მაშინ ცოლად გავყვები, მიუხედავად იმისა, რომ ღატაკი მსახურის შვილია,-მიუგო უმცროსმა ასულმა.

მეფეს გაუხარდა, ბაყაყთან დაბრუნდა და უთხრა:

-კარგი, უმცროს ასულს მოგათხოვებ.

ქალიშვილი მორთეს და მოკაზმეს, საქორწინო კაბა ჩააცვეს, სამკაულები გაუკეთეს, სასახლის ჭიშკარში გამოიყვანეს და ბაყაყთან ერთად გაუშვეს.უფროსმა დებმა უმცროსს დასცინეს კიდეც:

-ქმართან ერთად ბედნიერებას გისურვებთ, მაგრამ მასთან ერთად ცხოვრებას რომელ ჭაობში აპირებ?

მეფის უმცროსი ასული თავისი დებისგან განსხვავებით ჭკვიანი, კეთილი და შრომისმოყვარე იყო. პირველსავე დღეს დიასახლისობას შეუდგა: წყალს ეზიდებოდა, კერას ანთებდა, საჭმელს ამზადებდა. დედაბერი რძლით კმაყოფილი იყო, მაგრამ ერთი რამ აწუხებდა: „ჩვენ ღარიბ-ღატაკნი ვართ და ქოხმახში ვცხოვრობთ, შემოსავალიც არა გვაქვს, ასეთი ფუფუნებას მიჩვეული მზეთუნახავი ჩვენთან როგორ იცხოვრებს?“

და აი, ერთხელ, გაიღვიძეს და ქალებმა თვალებს არ დაუჯერეს. მათი ღარიბული ქოხმახი მრავალ კარგად მოწყობილ ოთახიან სახლად გადაქცეულიყო. ყველგან სავსე სკივრები იდგა, კედლებზე ძვირფასი ხალიჩები ეკიდა, ოქროს თასები ძვირფასი თვლებით იყო სავსე: მარჯანით, მარგალიტით და ფირუზით.

რძალ-დედამთილი განცვიფრებისგან ჯერ აზრზე არ მოსულიყო, რომ კარი გაიღო და ოთახში მწვანე ხალათში და მწვანე ჩექმებში ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟკაცი შემოვიდა, რომელსაც ქამარზე მახვილი ეკიდა.

-შენ ვინ ხარ?-ჰკითხეს ქალებმა.

-ვერ მიცანით?-გაიღიმა ახალგაზრდამ. რა გასაკვირია, თქვენ ხომ პატარა ბაყაყის სახით მიცნობდით. სინამდვილეში დრაკონთა მბრძანებლის შვილი ვარ! ერთმა ბოროტმა ჯადოქარმა ბაყაყად მაქცია და ადამიანის სახეს მაშინ მივიღებდი, როცა მიწიერი ქალიშვილი ჩემს ცოლობას დათანხმდებოდა.

მეფის უმცროს ასულს ძალიან გაუხარდა, რომ ბაყაყი დრაკონთა მბრძანებლის შვილი აღმოჩნდა და გადაწყვიტა თავისი დები სტუმრად მოეპატიჟებინა და თავი მოეწონებინა. ქმარს მიუბრუნდა და უთხრა:

-მოდი, ჩემი დები სტუმრად დავპატიჟოთ, ახლობლები არ უნდა დავივიწყოთ.

-რათქმა უნდა, ახლობლები არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ შენს დებს შავი, შურიანი გულები აქვთ და მათთან შეხვედრა სიკეთეს არ მოგვიტანს.

მაგრამ, თავისდა საუბედუროდ, მეფის უმცროსმა ასულმა ქმრის რჩევას არ დაუჯერა, თავისიანებს ეწვია და თავისი დები სტუმრად დაპატიჟა.

დები ესტუმრნენ და უმცროსი დის საუცხოო სახლისა და აურაცხელი სიმდიდრის დანახვაზე განცვიფრდნენ, გაიგეს რა, თუ პატარა ბაყაყი სინამდვილეში ვინ იყო, შურისგან კინაღამ გულები გაუსკდათ.უმცროსი და ნაირ-ნაირი ნუგბარით უმასპინძლდებოდა, ისინი კი არაფერს მიირთმევდნენ და ამბობდნენ, რომ დახუთულობისგან თავი სტკიოდათ. უმცროსმა დამ შესთავაზა, რომ მდინარეზე გაესეირნათ და თან ყვავილები დაეკრიფათ. მათაც ეს უნდოდათ, ერთმანეთს გადახედეს და მაშინვე დათანხმდნენ. უფროსმა დებმა უმცროსის დაღუპვა განიზრახეს.

დები მდინარისკენ გაეშურნენ. დედაბერს გულმა რეჩხი უყო. მას უფროსი დების გადაჩურჩულება არ მოეწონა, მსახურს დაუძახა და უბრძანა დებს უკან გაჰყოლოდა და რძალი უბედურებისგან დაეცვა.

ამ დროს დებმა მდინარეს მიაღწიეს, ნაპირზე იდგნენ და მდინარის დინებას ჩასცქეროდნენ, თან უმცროს დას ქარაფისკენ უბიძგებდნენ.ის აზრზე ვერ მოვიდა, ციცაბო, ფრიალო კლდიდან მდინარეში ისე გადავარდა. მთის სწრაფი მდინარე ბედშავს აქეთ-იქით ატრიალებდა და ქვებზე ახეთქებდა, თან ფსკერისკენ ითრევდა.

უფროსმა დებმა თავისი შავი საქმე რომ გააკეთეს, ტირილით სახლისკენ გამოიქცნენ.გზაზე სიძე შეხვდათ და ცოლი მოიკითხა.

-ჩვენი საყვარელი და მდინარეში ჩავარდა, ქვაზე დაეცა და დაიხრჩო,-უთხრეს ბოროტმოქმედებმა და ვითომ მწუხარებისგან ცრემლად იღვრებოდნენ.

-თქვენს უკან ვინ მოდის?-მკაცრად იკითხა „ბაყაყმა“.

დებმა მოიხედეს და შიშისგან გაქვავდნენ.მათ უკან უმცროსი და მსახურთან ერთად მოდიოდა. სულ დასველებული ქმარს კისერზე მოეხვია და გოდებდა:- არ დაგიჯერე და დები მოვიპატიჟე, მათ ჩემი დახრჩობა უნდოდათ. ჩვენი მსახური ახლოს აღმოჩნდა, მდინარეში გადმოხტა და ჩქერიდან გამომიყვანა.

უფროსი დები ხმას ვერ იღებდნენ. განრისხებულმა სიძემ კი უთხრა:

-თქვენ უსახურ ბაყაყს და მათხოვრის ვაჟს მიწოდებდით. შურის გამო დის დაღუპვა გინდოდათ. თქვენ გარეგნულად ლამაზები, მაგრამ სულით მახინჯები ხართ. დაე, ამის მერე თქვენმა გარეგნობამ ვერავინ შეაცდინოს. ისეთები იყავით, როგორიც სინამდვილეში ხართ.

ამ სიტყვების წარმოტქმისთანავე ორი ბოროტი ქალიშვილის ადგილას ორი უსახური გომბეშო გაჩნდა და ხმამაღალი ყიყინით შორს ხტუნვა-ხტუნვით წავიდნენ. მას მერე ისინი აღარავის უნახავს.

ბანორი და ჯადოქარი

ოდესღაც ტიბეტში ძლევამოსილი მეფე გამპო ცხოვრობდა.მის ცხენთა რემას,იაკთა ფარას და საგანძურს ვერ დაითვლიდით.მეზობელი ქვეყნებისის მეფეებს მეფე გამპოს სიმდიდრე შურდათ,მაგრამ თვით მეფეს თავი დედამიწის ზურგზე ყველაზე უბედურ ადამიანად მიაჩნდა. დიდი ხანია მზეთუნახავ ცირენზე იყო დაქორწინებული, მაგრამ შვილი არ ჰყავდათ,.- ჩემს სიმდიდრეს ვის გადავცემ? სიბერეში ვინ დაგვამშვიდებს?- ეტყოდა ხოლმე მეფე თავის მზეთუნახავ ცოლს.

ცირენი ღმერთებს და წმინდა ლამებსაც დახ,არებას სთხოვდა, რომ შვილი მიეცათ, მაგრამ ამაოდ. წლები გადიოდა და შვილი არა და არ უჩნდებოდათ.

მეზობელ ქვეყანაში ერთი ბოროტი ჯადოქარი ცხოვრობდა. ბევრი ავი საქმე გააკეთა და ბევრი კეთილი ადამიანი გაამწარა.ამ ჯაოქარმა მეფე გამპოს გასაჭირი რომ გაიგო, ახალი ბოროტება განიზრახა. წმინდა ლამას სახე მიიღო და მეფეს სასახლეში ეხლა.

-მეფეო!-მოწიწებით მიმართა ცრუ ლამამ,-გავიგე, რომ ვაჟი გინდა გყავდეს. თუ ეს ასეა თქვენს მწუხარებას იოლად მოევლება. დიდი ხნის განმავლობაში ცემს ხელობას მთის მღვიმეში დავეუფლე და ახლა ამ საქმეში ბადალი არა მყავს. ჩემი ჯადოსნური ძალა ერთს კი არა, სამ ვაჟს მოგცემს, თუ შენ ჩემს ერთ პირობას დათანხმდები.

-რა პირობას?-უნდობლად ჰკითხა მეფემ,-თუ შვილი მეყოლება, შეგიძლია საგანძურის ნახევარი წაიღო.

-მე შენი სიმდიდრე არ მჭირდება, ჩემთვის საკმარისი იქნება, თუ შენი ერთი ვაჟი ჩემს სამსახურში ჩადგება,-მიუგო ჯადოქარმა.

-ჩემი შვილი რისთვის გჭირდება? სიმდიდრე წაიღე და თუ გინდა ათასი მსახური დაიყენე,-იკითხა განრისხებულმა მეფემ.

მაგრამ ჯადოქარი თავის სიტყვაზე იდგა.მეფემ გული გაიმაგრა და მის მოთხოვნას დაეთანხმა.

-აი სამი აბი, შენმა ცოლმა ერთი მეორის მიყოლებით მიიღოს. ერთი თვის მერე პირველი ვაჟი დაიბადება, კიდევ ერთი თვის მერე,-მეორე და კიდევ ერთი თვის მერე-მესამე.ესენი არაჩვეულებრივი ბავშვები იქნებიან, სამ წელიწადში გაიზრდებიან და მაშინ დავბრუნდები და ერთ მათგანს წავიყვან. ეს თქვა, მეფეს აბები მისცა და სწრაფად გაშორდა.

ჯადოქარს არ მოუტყეებია. სამი თვის მერე დედოფალს ვაჟი გაუჩნდა, ერთი თვის მერე მეორე ვაჟი, კიდევ ერთი თვის მერე მესამე ვაჟი. ბავშვები დღეებით კი არა საათობით იზრდებოდნენ. ერთი წლის თავზე უბელო შეუკაზმავ ცხენს აჭენებდნენ და მშვილდ-ისარს მარჯვედ ხმარობდნენ. ორი წლის ასაკში ბიჭებმა წერა-კითხვა ისწავლეს და მრავალ მეცნიერებას დაეუფლნენ. სამი წლის ასაკში ოცი წლის ახალგაზრდებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ.

მაშინ ბოროტმა ჯადოქარმა წმინდა ლამას სახე ისევ მიიღო და მეფეს სასახლეში ისევ ეწვია, თაყვანი სცა და:

-მეფეო, მე დაპირებულ ჯილდოს ველოდები.

გამპოს და ცირენს თავიანთი შვილები ძალიან უყვარდათ,მაგრამ რადგან დაპირებული იყვნენ, ვაჟი უნდა მიეცათ. ცოლ-ქმარი მეზობელ პალატაში განმარტოვდნენ და ფიქრობდნენ, თუ რომელი ვაჟი დაეთმოთ. „უფროსი ვაჟის მიცემა არ შეიძლება, რადგან ტახტის მემკვიდრეა.მეორე ვაჟის მიცემა არ შეიძლება

რადგან ის საჭიროების შემთხვევაში უფროსს შეცვლის და გადაწყვიტეს უმცროსი ვაჟი, რომელსაც ბანორი ერქვა, უცხოტომელი ლამასთვის მსახურად გაეტანებინათ. -ვერაფერს გააწყობ, ჩემო ბიჭო, შენ ამ წმინდა ლამასთან ერთად უნდა გაემგზავრო და მას გულითადად ემსახურო,-ოხვრით უთხრა მეფემ უმცროს ვაჟს.

დედამ კი გამოთხოვებისას შვილი გულში ჩაიკრა და ცხარე ცრემლებით ატირდა.

ჯადოქარმა ბიჭი სასახლიდან წამოიყვანა და უბრძანა უკან გაჰყოლოდა. დიდხანს იარეს, მთები და ტყეები გადაიარეს და მწვანე ხეობას მიაღწიეს, სადაც უზარმაზარი კოშკი ეკიდა.

-ეს, ჩემი სახლია.გზა მარტომ გააგრძელე, მე კი საქმეებზე წავალ.კოშკთან ბოძზე მიბმულ თხას დაინახავ, იქვე ჩალის ძნა იდება. ძნა გახსენი და თხას დაუყარე. ამის მერე საქონლის ბაკი გააღე, იქ ქათმებს და იხვებს ვინახავ, იქვე მარცვლით სავსე თიხის ქოთანს დაინახავ. ამ საკენკით ფრინველი დააპურე. ეს არის შენი დღევანდელი დავალება. საქმეს როცა მორჩები, ეზოში დამელოდე, იცოდე, კოშკში შესვლა არც კი გაბედო.

ბანორმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო,რომ ჯადოქარი გაქრა. ვაჟს გაუკვირდა და კოშკისკენ გაემართა. კოშკის სიახლოვეს დაბმული თხა დაინახა, იქვე ჩალის ძნა იდგა. ბანორმა ძნა გახსნა და თხას დაუყარა. ჩალა მიწას შეეხო თუ არა, სამ უზარმაზარ მგლად გადაიქცა. მგლები თხას ეცნენ, თვალისდახამხამებაში დაგლიჯეს და მთებისკენ გაიქცნენ. ახალგაზრდას არ შეეშინდა და გაიფიქრა: „ალბათ წმინდა ლამა მცდის“.ბანორმა ხომ არ იცოდა, რომ მისი პატრონი წმინდა ლამა კი არა, ბოროტი ჯადოქარი იყო.

ბანორმა საქონლის ბაკი გააღო, იქ ქათმები კრიახებდნენ და იხვები ყიყინებდნენ. კუთხეში, სადგამზე თიხის ქოთანი იდგა. ბანორმა ქოთანი აიღო და ქერის მარცვალი ფრინველს დაუყარა. როგორც კი მარცვალი მიწაზე დაცვივდა, მაშინვე სამ ველურ კატად გადაიქცა. კატები ფრინველს დაერიენ, დაგლიჯეს და ისინიც მთისკენ გაიქცნენ. ბანორს ამჟამადაც არ შეშინებია და გაიფიქრა:-„ეს უცნაური კოშკი უნდა დავათვალიერო“ და მიუხედავად ჯადოქრის აკრძალვისა, კოშკის ჭიშკარი გაბედულად შეაღო.

ბანორი კოშკში დიდხანს დადიოდა, ერათი ოთახიდან მეორეში გადადიოდა. კედლებზე ძვირფასი ხალიჩები და იარაღი ეკიდა, გაგიდებზე ბროლის ლარნაკები და ოქროს თასები ელაგა, მაგრამ ძე-ხორციელი არსად ჭაჭანებდა. ბოლოს შუშისკედლებიან ოთახში აღმოჩნდა. ოთახში ოქროს საწოლში მზეთუნახავი იწვა. ქალიშვილის თავთან ვერცხლის ლარნაკში არნახული სილამაზის ყვავილი იდო. ჭაბუკს ძალიან გაუხარდა იმ იდუმალ კოშკში ადამიანი რომ დაინახა, ქალიშვილს მიუახლოვდა და მის გაღვიძებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. უცებ ბანორი ყვავილიან ლარნაკს წამოედო და ადგილი მოუნაცვლა. ამ დროს მზეთუნახავი ძილიდან გამოერკვა, თვალები გაახილა და ბანორის დანახვაზე გაოცდა.

-შენ ვინ ხარ? ამ კოშკში როგორ მოხვდი?

-მე წმინდა ლამას მსახური ვარ და თავისი ამბავი მოუყვა.

-ის წმინდა ლამა სულაც არაა! საშინელი ბოროტი ჯადოქარია და მისი საყვარელი საჭმელი ადამიანთა ცოცხალი გულებია. ჯადოქრობითა და გაიძვერობით მსახურები მოჰყავს და მერე ხოცავს. მეც მოტყუებით მომიყვანა, ჩემი გულიც უნდა შეეჭამა, მაგრამ გადაიფიქრა და ჩემი ცოლად შერთვა გადაწყვიტა. კოშკიდან არსად მიშვებს და როცა სადმე მიდის, თავთან ჯადოსნურ ყვავილს მიდგამს და მაშინვე ღრმად მეძინება, უთხრა ქალიშვილმა.

ბანორს, სიმამაცის მიუხედავად, ქალიშვილის მონაყოლზე ძარღვებში სისხლი გაეყინა და დაიზაფრა, „აქედან ვერ გავიქცევი, დედ-მამის სურვილით ჯადოქრის მსახურად ვიქეცი. სიკვდილს რომ გადავურჩე, ჯადოქარს უნდა გავუსწორდე“,- გაიფიქრა ბანორმა და ქალიშვილს უთხრა:

-არ იცი, ამ ურჩხულს ბოლო როგორ მოვუღოთ? მაშინ ჩვენ ორივე გადავრჩებით.

-ჯადოქრის დამარცხება არც ისე იოლია, მისი თილისმა უნდა განადგურდეს, რათა ისევ არ გაციცხლდეს,-უთხრა დადარდიანებულმა ქალიშვილმა.

-ეს ჩემთვის არაფერია,იარაღს კარგად ვფლობ, შემიძლია მახვილის ერთი მოქნევით ეს ურჩხული ძირს დავცე, მაგრამ არ ვიცი მისი თილისმა სად ვიპოვო.

-ეხ!- ამოიოხრა მზეთუნახავმა, -მისთვის წინიდან ყველაზე ძლიერი დარტყმაც კი უსაფრთხოა, მაგრამ მისი დამარცხება მხოლოდ უკანა მხრიდან შეიძლება, მაგრამ ის ზურგს არავის აქცევს. იცოდე, სანამ მის დავალებებს ასრულებ,შენი მოკვლა მხოლოდ წელში დარტყმით შეუძლია.

-მზეთუნახავო! გმადლობ, გაფრთხილებისთვის.

-ყურადღებით მომისმინე და ნუ შემაწყვეტინებ. როცა ჯადოქარი დაბრუნდება,ის ალბათ დაგავალებს კოშკის სამზარეულოში ღუმელს სამჯერ შემოუარო, თუ მის ბრძანებას არ დაემორჩილები, მაშინ მას რაც მოესურვება, იმას გაგიკეთებს. თუ ღუმელს ირგვლივ შემოუვლი, ის უკან გამოგყვება და ზურგში დაგარტყამს.

-როგორ მოვიქცე?-შეშფოთდა ბანორი.

-როცა ჯადოქარი გეტყვის: „ღუმელს სამჯერ შემოუარე“, შენ მაშინვე უთხარი: „სამზარეულოში ბნელა და როგორ შევიდე? წინ გამიძეხით და მე უკან მოგყვებით“. ამ დროს მახვილი ხელში გეჭიროს და თუ ჯადოქრის ძირს დანარცხებას შეძლებ, მაშინვე ჩემსკენ გამოიქეცი და მაშინ გეტყვი თილისმა სად უნდა იპოვო.

ბანორმა მზეთუნახავს რჩევისთვის მადლობა გადაუხადა და წასასვლელად მოემზადა.

-მოიცადე! ყვავილი ისევ თავის ადგილზე დადგი. მე დამეძინება, შენ კი კოშკის ეზოში იყავი და ჯადოქრის დაბრუნებას დაელოდე.

ბანორი ასეც მოიქცა.

მზე მთებს მიეფარა თუ არა, ძლიერი ქარი ამოვარდა, ჭიშკარი გრუხუნით გაიღო და ბანორის წინ მისი ახალი პატრონი თავისი ნამდვილი სახით წარუდგა. მის დანახვაზე ჭაბუკს შეეშინდა კიდეც. ჯადოქარს გრძელი, მშრალი თმები მაჩვზღარბას ეკლებივით ყოველ მხარეს ჩამოშლოდა. მისი ცეცხლოვანი თვალები ალს აფრქვევდა და პირიდან ეშვები გამოჩროდა, ქამარზე წვივის ძვლის ტარიანი გრძელი ხანჯალი ეკიდა.

-ჩემი განკარგულება თუ შეასრულე?-დაიჭექა ჯადოქარმა.

-ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მიბრძანეთ.

ჯადოქარმა ჭაბუკს უნდობლად შეხედა და კოშკისკენ წაიყვანა, სამზარეულოს შესასვლელთან დიდი ღუმელი დაანახვა, რომელიც სიბნელეში ძლივს ჩანდა და უთხრა:

-ამ ღუმელს ირგვლივ სამჯერ შემოუარე!

-ძალიან ბნელა, გთხოვთ, წინ გამიძღვეთ და გზა მიჩვენოთ.-მორიდებით შეეწინააღმდეგა ბანორი.

ჯადოქარმა ბანორს ღვარძლიანად შეხედა, მაგრამ არაფერი უთხრა და წინ ისე სწრაფად წავიდა და ღუმელს ისე სწრაფად შემოუარა, რომ ბანორმა მისთვის მახვილის დარტყმა ვერ მოახერხა.

-აქ დარჩი და დამიცადე,-ჩაიბუტბუტა ჯადოქარმა და კოშკის დარბაზებში გაუჩინარდა.

მეორე დღეს ჯადოქარი თავის საქმეებზე წავიდა. ჭიშკარს მიეფარა თუ არა, ბანორი შუშისკედლებიან დარბაზისკენ გაემართა, მძინარე მძეთუნახავის თავთან მდგარი ჯადოსნური ყვავილი გადადგა და გააღვიძა.

-გუშინ ჯადოქარს ვერაფერი მოუხერხე? ეცადე, თორე ის მოგკლავს.

-კარგი იქნებოდა მცოდნოდა ჯადოქარი დღეს რას აპირებს,-სთხოვა ბანორმა.

-ნუ გეშინია, მე ყველაფერი გამოვკითხე. საღამოს დიდ დარბაზში შეგიყვანს, შუაში მდგარ სავარძელში ჩაჯდება და გიბრძანებს, რომ თავი სამჯერ დაუკრა. როცა დაიხრები, თავს გაგაგდებინებს.

-მაშინ დავღუპულვარ, რადგან უფლება არ მაქვს ბრძანებაზე უარი ვუთხრა.

-უარს ვერ ეტყვი,მაგრამ შეგიძლია ჯადოქარი მოატყუო. როცა გეტყვის:- „თავი სამჯერ დამიკარ!“ შენ ეტყვი:- „მე თაყვანი არავისთვის მიცია და არ ვიცი ეს როგორ გავაკეთო. მაჩვენე გეთაყვა.“ ჯადოქარი შეიძლება გაბრაზდეს, მაგრამ შენს თხოვნას შეასრულებს. მაშინ შენ თვითონ იფიქრე, თუ როგორ უნდა მოიქცე.

და ბანორმა მზეთუნახავის თავთან ჯადოსნური ყვავილი ისევ დადგა და მას მაშინვე ჩაეძინა, თვითონ კი სამზარეულოში დაბრუნდა და ჯადოქარს დაელოდა.

ბიჭმა გამხმარი ყველის შეჭმა ვერ მოასწრო, რომ ჩამობნელდა, გაიელვა, კარებმა გაიჯახუნა და ჯადოქარიც წარმოსდგა.

-ჩემთან წამოდი,-უთხრა ჯადოქარმა და ბანორი უზარმაზარ დარბაზში შეიყვანა, რომლის შუაში ერთი დიდი სავარძელი იდგა. ჯადოქარი შიგ ჩაჯდა, ბანორი ხელით მოიხმო და სამჯერ თაყვანისცემა უბრძანა.

მე ხომ უფლისწული ვარ და არავისთვის თავი დამიხრია და არ ვიცი ეეს როგორ გავაკეთო, მაჩვენე გეთაყვა.

ჯადოქარმა სიბრაზისგან კბილები გააკრაჭუნა.

-უმაქნისი მსახური ხარ! ასეთი უბრალო საქმის კეთებაც კი არ შეგიძლია! სავარძელში ჩაჯექი და მიყურე.

ბანორი სავარძელში სწრაფად ჩაჯდა, ჯადოქარი კი მის წინ იდგა, მერე მუხლებზე დაიჩოქა, წელში მოიხარა და შუბლი იატაკს შეახო. როცა ჯადოქარი პირველად დაიხარა, ბანორმა მახვილი ქარქაშიდან ამოიღო, მეორეჯერ რომ დაიხარა, მახვილი მის თავს ზემოთ აღმართა, მესამედ როცა დაიხარა, მახვილი ჯადოქრის თავზე დაუშვა და თავი გააგდებინა.

ამის მერე ბანორი მძინარე მზეთუნახავისკენ სწრაფად გაიქცა, გააღვიძა და სთხოვა ჯადოქრის თილისმის მოძებნაში დახმარებოდა.

-სამზარეულოს გვერდით, კოშკის მიწისქვეშეთში ჩასასვლელია, ცხრა ბნელ ოთახს გაივლი,ქვემოთ საფეხურებით ჩახვალ და გლუვ კედელს მიადგები, მახვილის ვადით კედელზე სამჯერ დააკაკუნე და ხმამაღლა დაიძახე:- „კედელო გაიწიე!“ და როცა სამჯერ დაიძახებ, კედელი გვერდზე გაიწევა და შენ პატარა სენაკში აღმოჩნდები. შუაში, ამაღლებულ ადგილზე ყველა ბოროტი ჯადოქრისა და გრძნეულის მბრძანებლის-საშინელი სულის თიხის ქანდაკება დგას, რომელსაც ხელში ბროლის ჭიქა უჭირავს. ჭიქაში გამჭირვალე სითხე ასხია.ქანდაკება შენსკენ თავს მოატრიალებს, ხახას დააღებს და დაიყვირებს: „-ადამიანო! არ მომიახლოვდე, თორემ ადგილზევე მოკვდები!“ არ შეგეშინდეს. თუ შეჩერდები-დაიღუპები.თიხის ურჩხულს გაბედულად მიუახლოვდი, ხელიდან ბროლის ჭიქა გამოართვი, ქანდაკება კი დაამტვრიე. ამის მერე უკან გამობრუნდი, მაგრამ გაფრთხილდი: ჭიქიდან სითხის ერთი წვეთიც კი არ დაგეღვაროს!

ჭაბუკმა მიწისქვეშეთის ჩასასვლელი იოლად იპოვა, ცხრავე ბნელი ოთახი გაიარა და გლუვ კედელს მიადგა. მახვილი აღმართა და კედელს ვადა სამჯერ დაარტყა და თან სამჯერ უბრძანა: „-კედელო გაიწიე! კედელო გაიწიე! კედელო გაიწიე!“ როგორც კი ეს სიტყვები მესამედ წარმოთქვა, კედელი ღრჭიალით გვერდზე გაიწია და პატარა სენაკი გამოჩნდა, რომელიც ციმციმით ნათდებოდა და ეს სინათლე მალე ჭიქაში ჩასხმული გამჭირვალე სითხისგან კრთებოდა, რომელიც თიხის ურჩხულს ხელში ეჭირა. ურჩხულმა თავი მოატრიალა, ხახა დააღო და დაიჭექა:- ნაბიჯი არ გადმოდგა, თუ არა, ადგილზევე მოკვდები!

მაგრამ ბანორი გაბედულად მიუახლოვდა, თიხის ხელიდან ბროლის ჭიქა გამოართვა და მახვილის რამდენიმე დარტყმით თიხის ქანდაკება დაამტვრია. მერე ფრთხილად უკან გამობრუნდა და ნადავლი მზეთუნახავს გადასცა.

-ახლა ჯადოქრის თილისმა განადგურებულია და სააქაოში ვეღარ დაბრუნდება,- გაუხარდა ქალიშვილს.

-ეს ჭიქა რისთვის გინდა?

-გამჭირვალე სითხის თითოეულ წვეთს ჯადოქრის ერთი მსხვერპლის გაცოცხლება შეუძლია. წავიდეთ, მათ გაჩვენებ.

ბანორმა და მძინარე მზეთუნახავმა მრავალი დერეფანი გაიარეს და უზარმაზარ რკინის კართან აღმოჩნდნენ. ქალიშვილმა ბროლის ჭიქა კარის ურდულს შეახო და ისიც ღრჭიალით გაიღო.

ახალგაზრდების თვალწინ უსასრულოდ გრძელი და ბნელი ოთახი გამოჩნდა, რომელიც ერთი ვიწრო ფანჯრით ნათდებოდა.ამ ოთახში ყველგან ქალთა და კაცთა, მოხუცთა და ბავშვთა ჩაცმული სხეულები იწვა. მათი გულები ჯადოქარმა შეჭამა, დანარჩენი კი ხელუხლებლად დატოვა. ამ სითხის თითო წვეთი სხეულებს დაეცა და ისინი გაცოცხლდნენ.

მალე კოშკის მდუმარება ჯადოქრის თილისმიდან გამოხსნილი ხალხის ხმაურმა დაარღვია. ისინი ბანორისთვის მადლობის გადახდას ერთმანეთს არ აცდიდნენ.

-ამ კოშკში რაც მოგწონთ, აიღეთ და თქვენს სახლებში დაბრუნდით, -უთხრა გამომშვიდობებისას ბანორმა.

ბანორს და მზეთუნახავს ჯადოქრის კოშკში დარჩენა არ უნდოდათ. ჯადოქრის ურიცხვი საგანძური ცხენებს და იაკებს აჰკიდეს, ბანორის მშობლებთან დაბრუნდნენ და იქ დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ქალიშვილი და დემონი ძმები

უხსოვარ დროს დათოვლილ მთებს შორის ერთ ხეობაში დედა და ქალიშვილი ცხოვრობდა.ქალიშვილი იმ არემარეზე სილამაზითა და შრომისმოყვარეობით იყო განთქმული.მთელი დღე ფუსფუსებდა და ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა.შორიახლო სოფლებიდან ბევრი ახალგაზრდა ცოლობას სთხოვდა,მაგრამ დედამისს სიბერეში მარტოდ დარჩენა არ უნდოდა და სხვადასხვა მიზეზით საქმროებს უარით ისტუმრებდა.

დათოვლილი მთების იქით,უსიერ ტყეში სამი დემონი ძმა ცხოვრობდა.ქალიშვილის სილამაზის ამბავი მათ ყურსაც მისწვდა და უფროსმა ძმამ გადაწყვიტა დაენიშნა.

დემონი ძმები სამ ძლიერ მეომრად გადაიქცნენ,სამი შავი ცხენი შეკაზმეს და თვალისდახამხამებაში ქალიშვილის სახლთან გაჩნდნენ.სახლში შევიდნენ,დედამისს თავი დაუკრეს და ქალიშვილს მიმართეს:

-ძვირფასო მზეთუნახავო!ჩვენ სამი ძლევამოსილი ძმა ვართ.ურიცხვი სიმდიდრე,უთვალავი ცხენი და იაკი გვყავს,ჩვენს ხაროებში მარცვლეული ვერ აიწონება.ჩვენს უფროს ძმას ცოლად გაჰყევი და უფროსი დიასახლისი იქნები.

დედაბერმა უცნობებს მაშინვე უარი ვერ უთხრა,ძმებს თავი დაუკრა და ასეთი სიტყვებით გაისტუმრა:

-გმადლობთ დაფასებისთვის,მაგრამ ჩემს ქალიშვილს,ჩემს ერთადერთ სიხარულს,უცხო ოჯახში ასე იოლად ვერ გავუშვებ.თქვენ ხომ ჩემი ქალიშვილის სახელიც კი არ იცით.გამოიცანით და მაშინ უფროსს ძმას ცოლად მივათხოვებ.

დემონებმა ქალის მრავალი სახელი გაიხსენეს,მაგრამ ვერ გამოიცნეს და სახლში ხელმოცარულები დაბრუნდნენ.გზაში ტყისკენ გაქცეული კურდღელი შემოხვდათ.

-ეი,კურდღელო! საით მიგეჩქარება?

-საჭმელს ვეძებ.

-აქეთ-იქით სირბილით ვერაფერს იშოვი,სჯობს ჩვენ დაგვეხმარო და მწვანილსა და სხვადასხვა ძირხვენებს მოგცემთ.

-რა საქმე გაქვთ?რით შემიძლია დაგეხმაროთ?

-მეზობელ ხეობაში დედაბერი და მისი მზეთუნახავი ქალიშვილი ცხოვრობენ,გაიგე ქალიშვილს რა ჰქვია და გვითხარი,-აუხსნეს დემონებმა.

კერდღელი დედაბრის სახლთან მივიდა,ფანჯრის ქვეშ დაიმალა,ყურები დაცქვიტა და მიაყურადა.ცოტა ხნის მერე დედაბერმა ქალიშვილს დაუძახა:

-სამოთხის ყვავილო!სამოთხის ყვავილო!მალე გაწვიმდება და სახურავიდან მარცვლეული აიღე. ,,ესე იგი ქალიშვილს სამოთხის ყვავილი ჰქვია“-გაიფიქრა კურდღელმა და დემონი ძმებისკენ გაიქცა.

მირბის კურდღელი ტყეში და უცებ ვაშლის ხიდან რამდენიმე ვაშლი ჩამოვარდა.კურდღელს შეეშინდა,გადახტა,ირგვლივ მიმოიხედა და ვაშლები დაინახა.ვაშლების ჭამით ისე გაერთო,რომ ქალიშვილის სახელის პირველი ნახევარი სულ დაავიწყდა.,,ყვავილი“-უტრიალებდა თავში,მაგრამ როგორი ყვავილი,ვეღარ იხსენებდა.,,ვაშლის ყვავილი“-გაიფიქრა კურდღელმა და დემონებთან გაიქცა.

დემონებს ძალიან გაუხარდათ ქალიშვილის სახელი რომ გაიგეს და მის დასანიშნად ისევ წავიდნენ.სახლს მიუახლოვდნენ და დედაბერს უთხრეს:

-შენს ქალიშვილს ვაშლის ყვავილი ჰქვია,პირობა შეასრულე და შენი ქალიშვილი უფროს ძმას მიათხოვე!

-ტყუილია!ტყუილი!ეს არ ჰქვია,გაბრუნდით!-მიუგო დედაბერმა.

დემონი ძმები ისევ ხელმოცარულები დაბრუნდნენ.გზაში მელია შემოხვდათ.

-მელია!გაჩერდი,ნუ გარბიხარ!ერთ საქმეში დაგვეხმარე და იმდენ ხორცს მოგცემთ,რამდენსაც ისურვებ.

-ჩემი დახმარება რაში გჭირდებათ?

მეზობელ ხეობაში წადი.იქ დედაბერი მზეთუნახავ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს.ქალიშვილის სახელი გაიგე და გვითხარი.

მელიამ დედაბრის სახლი მალე მოძებნა და კარებთან დაიმალა.მალე დედაბრის ხმა მოესმა:

-სამოთხის ყვავილო!სამოთხის ყვავილო!უკვე ღამდება და ვახშამი მოამზადე.

,,ესე იგი ქალიშვილს სამოთხის ყვავილი ჰქვია“,-გაიფიქრა მელიამ და დემონებისგან გასწია.გზაში თან იმეორებდა:,,სამოთხის ყვავილი,სამოთხის ყვავილი.“გზაზე პატარა მდინარეს მიადგა.მდინარე უნდა გადაელახა,რომ თევზების გუნდი შენიშნა.თევზების დანახვაზე პირში ნერწყვი მოუვიდა.ამასობაში მელიას ქალიშვილის სახელის მეორე ნახევარი დაავიწყდა და თავში მარტო,,სამოთხის,სამოთხის“ უტრიალებდა.,,ალბათ სამოთხის თევზი“,-გაიფიქრა მელიამ და დემონ ძმებთან მიირბინა.

დემონი ძმები ქალიშვილის დასანიშნად დედაბერთან ისევ მივიდნენ და ერთხმად უთხრეს:

-შენს ქალიშვილს სამოთხის თევზი ჰქვია.

-სიცრუეა!სიცრუეა!უკან გაბრუნდით!-გაუხარდა დედაბერს.

დემონმა ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და ხელმოცარულები სახლისკენ გამობრუნდნენ.გზაზე ყვავი შენიშნეს.

-დაო ყვავო!დაო ყვავო!მეზობელ ხეობისკენ გაფრინდი.იქ პატარა სახლი დგას,სადაც დედაბერი მზეთუნახავ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს.მისი სახელი გაიგე და გვითხარი.გულუხვად დაგასაჩუქრებთ.

ყვავს საჩუქრები ძალიან უყვარდა სწრაფად გაფრინდა და დედაბრის სახლთან ტარშინგის თავზე დაჯდა.მალე ყვავს დედაბრის ხმა მოესმა,რომელიც ქალიშვილს უხმობდა:

სამოთხის ყვავილო!სამოთხის ყვავილო!კარგა ხანია დაბნელდა,ქსოვას თავი დაანებე,სანთელი ჩააქრე და დაიძინე.,,აჰა!ქალიშვილს სამოთხის ყვავილიჰქვია“,-გაუხარდა ყვავს,დაიმახსოვრა და დემონი ძმებისკენ გაფრინდა.

-იმ ქალიშვილს სამოთხის ყვავილი ჰქვია,-უთხრა დემონ ძმებს.

მათ კი გაიფიქრეს:,,კურდღელმა თქვა,რომ ქალიშვილს ვაშლის ყვავილი ჰქვია,მელიამ თქვა-სამოთხის თევზი,მაგრამ ორივე შეცდა.ახლა კი ყვავი ამბობს,რომ სამოთხის ყვავილი ჰქვია.ალბათ ის მართალია.“და ქალიშვილის დასანიშნად მეოთხედ წავიდნენ.

-შენს ქალიშვილს სამოთხის ყვავილი ჰქვია,-უთხრეს დედაბერს.

-ტიბეტური ანდაზა გვამცნობს,რომ მშვილდით გასროლილი ისარი მიმართულებას არ შეიცვლის და ასევე მიცემული პირობა უნდა შესრულდეს და დედაბერმა თავისი მზეთუნახავი ქალიშვილი უფროს ძმას მიათხოვა.თავლიდან თეთრი ცხენი გამოიყვანა,ქალიშვილი შესვა და დამშვიდობებისას ჩაუჩურჩულა:-შვილო,ამ ცხენს გაუფრთხილდი,ის კარგ სამსახურს გაგიწევს!

დედაბერი გზას დიდხანს გაჰყურებდა და ქალიშვილს ცრემლებით აცილებდა.

სამოთხის ყვავილს შავი დღეები დაუდგა.ბოროტი ძმები მსახურზე უარესად ექცეოდნენ. დილიდან შუაღამემდე მოსვენება არ ჰქონდა.ემუქრებოდნენ,სცემდნენ.როცა საცოდავმა ქალმა ქმარს თავისი ყოფა მოუყვა,მან მხოლოდ გამოლანძღა და უბრძანა ძმებისთვის წინააღმდეგობა არ გაეწია და დამორჩილებოდა.

ერთხელ დემონმა ძმებმა სამოთხის ყვავილს უთხრეს:-ჩვენ შორს მივდივართ და დიდხანს არ დავბრუნდებით.სახლში იყავი და საქონელს კარგად მოუარე.სახლის მინაშენის პატარა კარების გაღება არც კი გაბედო!

მაგრამ სამოთხის ყვავილს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა და ფიქრობდა:-,,რა მოხდება,რომ შიგ შევიხედო?“ბოლოს და ბოლოს სამოთხის ყვავილმა ცდუნებას ვერ გაუძლო,იმ კარებს ფრთხილად მიუახლოვდა და ცოტათი შეაღო და რა დაინახა?პატარა სენაკი ადამიანთა ძვლებით იყო სავსე,სენაკის კედლებზე კი ადამიანთა ტანსაცმელი ეკიდა და მათ შორის ქალიშვილმა დედამისის ახალი წინსაფარი შენიშნა,უცებ გარინდდა და საბოლოოდ მიხვდა,რომ ქმარი და მისი ძმები სინამდვილეში ბოროტი რაკშასები იყვნენ.სამოთხის ყვავილი დედის წინსაფრის წინ მუხლებზე დაეცა და მწარედ ატირდა.უცებ წინსაფარი დედის ხმით დაელაპარაკა:-შვილო ნუ ტირიხარ,აქედან სწრაფად გაიქეცი!ბოროტი რაკშასები ახალი მსხვერპლის საძებნელად წავიდნენ,როცა დაბრუნდებიან,შეგჭამენ.თეთრ ცხენზე შეჯექი და აქედან წადი,ოღონდ ეს წინსაფარი ჩამოიცვი,ის რაკშასებისგან დაგიფარავს.

ქალიშვილმა ძალა მოიკრიბა,დედის წინსაფარი ჩამოიცვა და მაშინვე ჩამოძონძილ და დაჩაჩანაკებულ დედაბრად გადაიქცა.თავლიდან თეთრი ცხენი გამოიყვანა და ბოროტი რაკშასების საცხოვრებელი დატოვა.

სამოთხის ყვავილმა დიდხანს იარა და,ბოლოს,უცხო მხარეში აღმოჩნდა,იმ ქვეყნის მეფის სასახლეში მსახურად მიიღეს.წყალი მოჰქონდა და ტყეში ფიჩხის შესაგროვებლად დადიოდა.დედის წინსაფარს არასოდეს იხსნიდა,ეშინოდა რაკშასებს არ ეპოვათ და ყველას დედაბერი ეგონა.

ყოველ დილით სამოთხის ყვავილი მდინარეზე წყლის მოსატანად მიდიოდა,იქ თმებს ივარცხნიდა,წინსაფარს მოიხსნიდა და ახალგაზრდა მზეთუნახავად გადაიქცეოდა,მაგრამ როცა ვიღაცის ხმას გაიგებდა,მაშინვე დედის წინსაფარს გაიკეთებდა და ისევ დაჩაჩანაკებულ დედაბრად იქცეოდა ხოლმე.

ერთხელ დილით,როცა მდინარის პირას თმებს ივარცხნიდა,მოულოდნელად იქაურმა მწყემსმა დაინახა,გაუკვირდა და მეფეს მოახსენა:

-დიდო მეფეო!მდინარეზე ახალგაზრდა მზეთუნახავი დავინახე,მის სილამაზეს ენით ვერ აღვწერ,მაგრამ ერთს კი გეტყვით:ასეთს ვერსად ნახავთ!

მეფე ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და მწყემსთან ერთად მდინარისკენ გაეშურა,მაგრამ დაჩაჩანაკებული დედაბრის მეტი ვერავინ ნახეს.

,,მწყემსმა მომატყუა“,-გაიფიქრა მეფემ და მისი გამათრახება ბრძანა.

,,ეს რა საცდურია“-ფიქრობდა მწყემსი და ზურგს იფხანდა.,,მე ხომ მხეთუნახავი საკუთარი თვალით ვნახე და უცებ დაჩაჩანაკებულ დედაბრად როგორ გადაიქცა?“

მწყემსი გამწარდა და გადაწყვიტა თავისი სიმართლე დაემტკიცებინა.დილაუთენია მდინარეზე წავიდა,ბუჩქებში დაიმალა და დაელოდა.უცებ დაინახა,რომ სასახლის წყლის მზიდავმა დედაბერმა წინსაფარი მოიხსნა და მზეთუნახავად გადაიქცა.მწყემსი ბუჩქებიდან წამოხტა,წინსაფარს ხელი სტაცა და მდინარეში გადააგდო,მზეთუნახავი კი მეფესთან მიიყვანა.

-შენ ნამდვილი სამოთხის ყვავილი ხარ!-უთხრა მოხიბლულმა მეფემ,როცა მისი

სახელი და ამბავი შეიტყო.

მეფემ მწყემსი გულუხვად დაასაჩუქრა და მალე სასახლეში მეფისა და სამოთხის ყვავილის მდიდრული ქორწილი გადაიხადეს.

იმ ქვეყნის მეფე ახალგაზრდა და კეთილი კაცი იყო.მას სამოთხის ყვავილი მხურვალედ შეუყვარდა და თავისი ბედნიერებით ტკბებოდა.ანდაზა ტყუალად არ გვამცნობს,რომ ,,შავი დღის გადამტანები ბედნიერ დღეებს უფრო აფასებენ“,მაგრამ ანდაზა იმასაც გვამცნობს,რომ ,,შეხვედრა განშორებით მთავრდება“.გამოხდა ხანი და მეფე საქმეებისათვის შორეულ,განაპირა მხარეში უნდა წასულიყო.ამ დროისთვის სამოთხის ყვავილი ბავშვს ელოდებოდა.

მეფის გამგზავრების მერე დედოფალმა ლამაზი,ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა,მაშინვე წერილი დაწერა და შიკრიკს ქმართან გაატანა.

შიკრიკი მიქროდა,ჩქარობდა,გზაში დაიქანცა და უცებ გზის პირას,გაბარჯღული ხის ძირში სამი კაცი დაინახა,რომლებიც ღვინოს სვამდნენ.

-ეი,მხედარო!ჩამოქვეითდი,დაისვენე და ჩვენთან ერთი ჭიქა ღვინო დალიე!-დაუძახეს შიკრიკს.

ამ შიკრიკს ღვინო ძალიან უყვარდა და მიპატიჟებაზე უარს არასოდეს ამბობდა.მაშინვე ცხენიდან ჩამოხტა,უცნობებს მიუჯდა და თასს თასზე ცლიდა.შიკრიკი დათვრა და თავის მასპინძლებს მეფისა და მისი ცოლის ამბავი მოუყვა,რომელიც ადრე რაკშასებთან ცხოვრობდა და მათგან დედაბრის სახით გაიქცა.

ეს სამი კაცი სწორედ ის სამი დემონი ძმა იყო.გაქცეულ მზეთუნახავს დიდხანს ეძებდნენ და აქამდე მოაღწიეს.შიკრიკის ლაყბობისას დემონი ძმები მიხვდნენ სამოთხის ყვავილის ადგილსამყოფელს,მთვრალ შიკრიკს უბიდან წერილი ამოუღეს და წაიკითხეს:,,მემკვიდრე დაიბადა და მალე დაბრუნდი.“დემონებმა წერილი მაშინვე დახიეს და სხვა წერილით შეცვალეს,რომელშიც ეწერა:,,ხარისთავიანი და ადამიანის ტანიანი არსება დაიბადა,გვიბრძანე როგორ მოვიქცეთ.“

დილით შიკრიკს გაეღვიძა,გამოფხიზლებულმა გზა გააგრძელა.მეფეს ეახლა და წერილი გადასცა.მეფემ წერილი წაიკითხა,გული დაუმძიმდა და გაიფიქრა:,,ეს როგორ უნდა მომხდარიყო?“მაგრამ მეფეს თავისი ცოლი ძალიან უყვარდა და პასუხად მისწერა:,,არ იდარდო და დამელოდე.“

შიკრიკი უკან გამობრუნდა.ნაცნობ ადგილს რომ მიუახლოვდა,მისი ახლად შეძენილი ნაცნობები უკვე ელოდებოდნენ.

-ეი,შიკრიკო!ცხენიდან ჩამოხტი და დაგვეწვიე!

სმისმოყვარულ შიკრიკს ბევრი არ უფიქრია და მათ სუფრას მიუჯდა.მალე დათვრა.დემონებსაც ეს უნდოდათ.უბიდან მეფის წერილი ამოუღეს და სხვა წერილით შეუცვალეს,რომელშიც ეწერა:,,საძაგელო ქალო,შენი მახინჯი აიყვანე და სასახლიდან წადი!“

შიკრიკმა გამოიძინა,სასახლეში დაბრუნდა და წერილი დედოფალს გადასცა.სამოთხის ყვავილმა ქმრის წერილი წაიკითხა და ვერც კი მიხვდა მეფე რატომ გაბრაზდა.მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა,სასახლიდან უნდა წასულიყო.შვილი აიყვანა,თეთრ ცხენზე შეჯდა და ბედს მიენდო.

დიდხანს იარა თუ ცოტა იარა თეთრმა ცხენმა ერთ უკაცრიელ ადგილზე მიიყვანა,შეჩერდა და ადამიანის ხმით უთხრა:-ძვირფასო ქალბატონო!ყურადღებით მომისმინე და ისე მოიქეცი,როგორც მე გეტყვი.დანა აიღე და მომკალი.ჩემი ტყავი მიწაზე დააფინე ,ძვლები შუაში დაალაგე,ჩლიქები კი ოთხივე მხარეს,ფაფარი

ირგვლივ მიმოფანტე.აქედან ხეირს ნახავ.

მაგრამ სამოთხის ყვავილს დედის სახსოვარი ცხენის დაკვლა არ შეეძლო.მაშინ თეთრი ცხენი მიწაზე დაეცა,გადატრიალდა და სული დალია.ამის მერე სამოთხის ყვავილი ისე მოიქცა,როგორც თეთრმა ცხენმა უთხრა,შვილს გვერდზე მიუწვა და დაეძინა.

დედა-შვილს მიწაზე კი არა,დიდ,ლამაზ სახლში,რბილ ქვეშაგებში გაეღვიძა.ოთახებში დოვლათით სავსე სკივრები იდგა,ფანჯრების ქვეშ ანკარა წყაროები მიჩუხჩუხებდა.სახლის ირგვლივ ხეხილი იდგა და ლამაზი ყვავილები ყვაოდა.

გავიდა ხანი და მეფე თავის საქმეებს მორჩა და სასახლისკენ გამობრუნდა.გზად საოცარი შენობა დაინახა,რომელიც აქამდე არ ენახა.მეფეს მოუნდა გაეგო,თუ ვინ ცხოვრობდა,სახლში შევიდა და თავისი ცოლ-შვილი დაინახა.

ცოლ-ქმრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.მიხვდნენ,რომ ეს ყველაფერი დემონი ძმების ნამოქმედარი იყო.

მეფემ ცოლი სასახლეში მიიყვანა და შიკრიკი მკაცრად დასაჯა.

მაგრამ ბოროტი რაკშასები არ ნებდებოდნენ,უნდოდათ სამოთხის ყვავილზე შური ეძიათ.ვაჭრებად გადაიქცნენ,სავაჭრო შხამით გაჟღინთეს და სასახლეს მიადგნენ.მაგრამ სამოთხის ყვავილმა უმცროსი დემონი ნაიარევი ყურით შეიცნო და მეფეს ჩუმად უთხრა.მეფემ მსახურებს უბრძანა მისაღებ დარბაზში ღრმა ორმო ამოეთხარათ და ზემოდან ხალიჩა გადაეფარებინათ.

ამის მერე მეფემ ვაჭრები დარბაზში მიიწვია.ვაჭრებმა,როგორც კი ხალიჩაზე ფეხი დადგეს,მაშინვე ორმოში ჩაცვივდნენ.მსახურებმა ორმოს მიწა დააყარეს და ზემოდან დიდი ლოდი დაადეს.

მეფე და სამოთხის ყვავილი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

სულელი ლოდუპი

ერთი ქალაქის გარეუბანში ქვრივი ქალი ცხოვრობდა,რომელსაც ერთი ვაჟი ჰყავდა.ვაჟს ლოდუპს ეძახდნენ.ბიჭი ჯანმრთელი და დამჯერი იზრდებოდა და დედას ყველაფერში ეხმარებოდა.ქვრივი ცხოვრებას არ ემდუროდა,მაგრამ უბედურება დაატყდა:ლოდუპი უსაზღვროდ ჩერჩეტი იყო.რასაც ეტყოდნენ ყველაფერს იჯერებდა.იქაური ბავშვები ამით სარგებლობდნენ და ლოდუპს ასულელებდნენ და არარსებულ ამბებს უყვებოდნენ.

ერთხელ ლოდუპი მდელოზე ყვავილების დასაკრეფად წავიდა.ლამაზი ყვითელი ყვავილებისგან თაიგული შეკრა და იქვე გზის პირას დასასვენებლად ჩამოჯდა.უცებ მეზობელი ბიჭები მიუახლოვდნენ და უთხრეს:

-ეი,ლოდუპ!ქუსლები სულ გაგყვითლებია.

-მერე რა?

-როგორ,განა არ იცი?როცა ადამიანს ქუსლები უყვითლდება,ეს იმას ნიშნავს,რომ ამ ქვეყნისა აღარ არის,-უთხრეს ბიჭებმა და გზა გააგრძელეს.

ამ დროს შორიახლოს თავადის სასახლის მსახურმა გაიარა,რომელსაც თიხის ქოთნით სასახლის სამზარეულოსთვის ერბო მიჰქონდა.მან თვალდახუჭული ბიჭი შეამჩნია,შეჩერდა და ჰკითხა:

-ბიჭო,აქ რატომ წევხარ?

-ქუსლები გამიყვითლდა და მოვკვდი,-მიუგო ლოდუპმა.

-ხა-ხა-ხა-,რა სისულელეა!განა მკვდარი ილაპარაკებს?სჯობს ადგე და ჩემთან წამოხვიდე.თუ ამ ერბოს სასახლემდე მიიტან,ქათმით დაგასაჩუქრებ.

ლოდუპმა გაიფიქრა:,,გამვლელი ალბათ მართალს ამბობს“.ადგა,მხარზე ერბოს ქილა შეიდგა და მსახურთან ერთად სასახლისკენ გასწია.გზაში ლოდუპი მხოლოდ დაპირებულ ქათამზე ფიქრობდა.:,,ქათამს მომცემენ,მერე ქათამი კვერცხს დამიდებს და წიწილებს გამოჩეკავს.წიწილები გაიზრდებიან და გავყიდი.ამ ფულით ხბოს ვიყიდი.ხბო დაიზრდება და ძროხა გახდება,მერე ხბოს მოიგებს,მერე ძროხასა და ხბოსაც გავყიდი და სახლს ვიყიდი,მერე ცოლსაც შევირთავ,მერე ბიჭიც მეყოლება.ბიჭი ძალიან მეყვარება,მაგრამ არ გავანებივრებ.თუ არ დამიჯერებს ფეხებს დავუბაკუნებ და დავემუქრები.აი ასე.“სულელმა ლოდუპმა ფეხები მთელი ძალით დააბაკუნა და ხელები ისე გაიქნია,რომ ერბოიანი ქილა მიწაზე დაენარცხა და დაიმტვრა.

-ეს რა ჩაიდინე!ფეხები რატომ დააბაკუნე!-დაუყვირა მსახურმა.

-ბიჭი არ მიჯერებს,-მიუგო აცრემლებულმა ლოდუპმა.

-რომელი ბიჭი?შენ რა,გაგიჟდი?

ლოდუპს უნდოდა მსახურისთვის აეხსნა,მაგრამ მან ქეჩოში ხელი სტაცა და თავადთან მიიყვანა.

-ეს საოცარი ბიჭი აქ რატომ მოიყვანე?-ჰკითხა გაკვირვებულმა თავადმა.

-მე მას საუკეთესო ერბოთი სავსე ქილა ვანდე,მან კი ფეხები ისე დააბაკუნა და ხელები ისე გაიქნია,რომ ერბოიანი ქილა მიწაზე დაენარცხა და დაიმტვრა.

-ეს რას ნიშნავს?-მკაცრად იკითხა თავადმა.

-ოი,მბრძანებელო!თქვენი მსახური გასამრჯელოდ ქათამს დამპირდა.გზაში ვფიქრობდი ამ ქათმიდან რა ხეირს ვნახავდი.საკუთარი სახლი მეყიდა,ცოლსაც

შევირთავდი და ბიჭიც მეყოლებოდა.თუ იცელქებდა ფეხებს დავუბაკუნებდი და თითით დავემუქრებოდი,ვეტყოდი,რომ ჩემთან ხუმრობა არ გამოუვიდოდა.მეც ფეხები დავაბაკუნე...

ამ ამბის მოსმენისას თავადს გაეცინა,ლოდუპს ფული მისცა და სახლში გაუშვა.

გავიდა ხანი.ლოდუპს ცოლის შერთვის დრო მოუვიდა და დედამისი მისთვის საცოლეს ეძებდა.ქალაქთან ახლოს ერთი მდიდარი ოჯახი ცხოვრობდა,რომელსაც ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ.ქალიშვილს ბასანი ერქვა.მოხუც მშობლებს მისი ქმრის სახლში გაშვება არ უნდოდათ და ისეთ სიძეს ეძებდნენ,რომელიც მათთან იცხოვრებდა.ლოდუპის დედამ სწორედ ეს ქალიშვილი შეარჩია.მას შვილთან განშორება ეძნელებოდა,მაგრამ რას იზამდა?ლოდუპს ცოლი უნდა შეერთო და ასეთ მოსულელო ახალგაზრდას ქალიშვილს იქვე ახლოს მაცხოვრებელი არავინ მიათხოვებდა.

დანიშნულ დღეს ლოდუპის სახლში საპატარძლოს მეგობრები შეკაზმულ ცხენებზე ამხედრებული მივიდნენ.ლოდუპის დედამ არაყი და მოხარშული ხორცი მიართვა და შვილს უბრძანა გასამგზავრებლად მომზადებულიყო.

ლოდუპმა თავისი საუკეთესო ციუბა ჩაიცვა,ახალი ქამარი გაიკეთა,შეკაზმული ცხენი გამოიყვანა და სტუმრებს უთხრა:

-თქვენ წინ წადით,მე დედას დავემშვიდობები და დაგეწევით.

-დიდხანს ნუ დაყოვნდები,-დაეთანხმნენ სტუმრები და სახლისკენ გზას დაადგნენ.

უკვე ბნელდებოდა,როცა ლოდუპი დედას დაემშვიდობა და საპატარძლოსკენ გზას დაადგა.მთვარე ამოვიდა.ლოდუპი მიაჭენებდა და გვერდით მისივე ჩრდილი მიჰყვებოდა.სულელმა თავისი ჩ რდილის დანახვაზე შეშინებულმა გაიფიქრა:,,ჩემს გვერდით ვინ მოაჭენებს?ნუთუ ავი სული მიახლოვდება?“

ცხენი უფრო სწრაფად გააჭენა და ჩრდილიც სწრაფად მიჰყვა.საოცარი არსების შესაშინებლად ლოდუპმა ქუდი მოიხადა და ესროლა,მაგრამ ჩრდილი ისევ მიჰყვებოდა.მერე ქამარიც ესროლა,ციუბაც და ჩექმებიც კი,მაგრამ ამაოდ.ეს ხომ მისი ჩრდილი იყო.მაშინ შეშინებული ლოდუპი ცხენიდან გადმოხტა და გზიდან გადაუხვია,თან გაიფიქრა:,,ცხენიც წაიყვანოს,ოღონდ თავი დამანებოს“.მაგრამ ჩრდილიც ცხენიდან გადმოხტა და ისიც მის გვერდით გაიქცა.

იქვე გზის პირას ერთი გაბარჯღული ხე იდგა.ლოდუპი მას შეეფარა და ხის ჩრდილის ქვეშ მისი ჩრდილი გაქრა და ლოდუპმა თავისუფლად ამოისუნთქა,რომ ავი სული ჩამოშორდა.ცოტა დაისვენა და ისევ გზას დაადგა,მაგრამ ღია ადგილზე ჩრდილი ისევ შენიშნა და ისევ ხისკენ გაიქცა და მის ჩრდილს შეეფარა.გადაწყვიტა გათენებამდე აქედან არ წასულიყო,ხეზე ავიდა,ხელებე ტოტს შე მოაჭდო და ასე დაიძინა.

ამ დროს,ამავე გზაზე სამი ქურდი საშოვარზე მიდიოდა. მათ ჯერ ქუდი იპოვეს, მერე ახალი ქამარი, ციუბა და ჩექმები. ცოტა გაიარეს და შეკაზმული ცხენიც დაინახეს, რომელიც გზის პირას ბალახს ძოვდა.მოულოდნელი ნაპოვნის გამო ქურდებმა ძალიან გაიხარეს და დასასვენებლად და ნაპოვნის გასაყოფად ხისკენ გასწიეს. ამ ხეზე ლოდუპს ეძინა და ქურდების ხმაზე გაეღვიძა. ქურდები ერთმანეთს უყვიროდნენ:

-ცხენი ჩემია! არა, ჩემია! არა, ჩემია!

-ცხენი ჩემია!-მთელი ხმით დაიყვირა ლოდუპმა.

ქურდებს ლოდუპის ხმის გაგონებაზე შიშისგან ენა მუცელში ჩაუვარდათ და გაიფიქრეს: „შუაღამისას ხეზე დემონის გარდა ვინ იჯდება?“ წამოხტნენ და დაფეთებულები სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ. ლოდუპმა კი გაიფიქრა: „აი თურმე ვინ მომდევდა, ერთი კი არა სამნი ყოფილან.“

ცოტა დაიცადა,ირგვლივ მიმოიხედა, არავინ იყო, ხიდან ჩამოვიდა, ჩაიცვა, ცხენზე შეჯდა და თავის გზას დაადგა. საცოლის სახლს გათენებისას მიაღწია. იქ კი სუფრა გაეშალათ და მას ელოდებოდნენ,

-ასე დიდხანს სად დაიკარგე?-ჰკითხეს საცოლის მშობლებმა.

-ოჰ, არა მკითხოთ! ცოცხალი ძლივს გადავრჩი!

საცოლე გამოიყვანეს, ლამამ ლოცვები წაიკითხა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დალოცა. სტუმრები მაგიდებს მიუსხდნენ, მოილხინეს, ახალდაქორწინებულებს დიდი ხნის სიცოცხლეს, გამრავლებას და ურიცხვ საქონელს უსურვებდნენ.

ლოდუპს ნაირ-ნაირი საჭმლის დანახვაზე თავისი ღარიბული სახლი და ღარიბი დედა გაახსენდა. მას დედა ძალიან უყვარდა და გადაწყვიტა ყოველი კერძიდან დედისთვის თითო ნაჭერი გადაენახა. მაგიდიდან თიხის ქილა შეუმჩნევლად აიღო და ციუბის ქვეშ დამალა. როცა რომელიმე კერძს შესთავაზებდნენ, საუკეთესო ნაჭერს ქილაში დებდა. ასე გააკეთა რამდენჯერმე, და აი, ერთხელ, როცა მარჯვენა ხელით ქილაში იაკის ხორცი ჩადო, ხელი უკან ვეღარ ამოიღო და გაეჭედა.

მარცხენა ხელით ჭამა მოუხერხებელი იყო და ისეთი სახე მიიღო თითქოს ჭამა აღარ უნდოდა. იჯდა, მარჯვენა ხელი უბეში ჰქონდა შეყოფილი,მარცხენას კი მუცელზე ისვამდა. ცოლის მშობლები და სტუმრები სთავაზობდნენ კიდევ რაიმე ეჭამა, ის კი ეუბნებოდა:-ვისურვებდი, მაგრამ აღარ ეტევა.

აი, ქორწილიც დამთავრდა, სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.ლოდუპი თავის ახალ შერთულ ცოლთან ერთად მათთვის განკუთვნილ ოთახში განმარტოვდა. საწოლზე ჩამოჯდა და ხელი ისევ უბეში ჰქონდა შეყოფილი. ბასანმა ქმრის უცნაური საქციელი შენიშნა და ლოდუპს ჰკითხა ქორწილში ცოტას რატომ ჭამდა და მარჯვენა ხელს რატომ მალავდა. ლოდუპს პირველად შერცხვა, მაგრამ მერე მოუყვა რაშიც იყო საქმე.

-არაფერია!-გაიცინა ბასანმა, ქვემოთ ჩამოდი, კერასთან დიდი თეთრი ქვა დევს, ქილა გატეხე და ხელი გაითავისუფლე.

-ყოჩაღ ცოლო! ასეც მოვიქცევი უთხრა ლოდუპმა.

ლოდუპი კერას ფრთხილად მიუახლოვდა და სიბნელეში რაღაც მრგვალი და თეთრი დაინახა. ქილიანი ხელი აიქნია და მთელი ძალით ამ თეთრ საგანზე დაუშვა. ქილა ნამსხვრევებად იქცა, მაგრამ საწყალი ბიჭის საუბედუროდ „თეთრი ქვა“ მოყანყალდა და მწარედ დაიკვნესა.ეს „თეთრი ქვა“ ქვა კი არა, სიმამრის ჭაღარა თავი იყო.

შეშინებულმა ლოდუპმა გაიფიქრა: „მე მოხუცი კაცი მოვკალი, თანაც ცოლის მამა,აქედან უნდა გავიქცე“ ჭიშკარი ჩუმად გააღო და თავპირისმტვრევით გამოვარდა.ბევრი ირბინა, დაიღალა და გადაწყვიტა დაესვენა. ერთი სახლის ეზოში შევიდა იქ თაფლიანი ფიჭები ელაგა.დაღლილი ლოდუპი თავის ციუბაში გაეხვია, ფიჭებზე დაწვა და მაშინვე ჩაეძინა.გვიან ღამე გაეღვიძა, სიცივისაგან კანკალებდა, ფარდულში შევიდა, სადაც ცხვრის მატყლს ინახავდნენ, მატყლში ჩაწვა და ისევ დაეძინა.

გათენებისას გაეღვიძა და დაინახა,რომ ცხვრის მატყლით იყო დაფარული.სულელმა ბიჭმა გაიფიქრა, რომ ღმერთებმა სიმამრის მოკვლისთვის ცხვრად გადააქციეს. „მომიწევს ცხვრებთან ერთად ცხოვრება“,-ამ ფიქრებით იქვე

მთაზე ცხვრის ფარას შეუერთდა, მთელი დღე ოთხზე დადიოდა, ცდილობდა ცხვრებისთვის მიებაძა და ბალახი ეძოვა, საღამოს ცხვრებთან ერთად ფარაში
დაბრუნდა და იქვე დარჩა.

ლოდუპის საუბედუროდ, ღამით რამდენიმე ავაზაკი ფარეხში მსუქანი და დიდი ცხვრის მოსაპარად შეძვრა, არჩევანი ლოდუპზე შეაჩერეს,რადგან მასზე დიდი ცხვარი ვერ ნახეს. ყველაზე ღონიერმა ავაზაკმა ლოდუპი ზურგზე მოიგდო და იქვე მდინარესთან მიიტანა. იქ კი სხვა ავაზაკებს კოცონი უკვე გაეჩაღებინათ და ხორცის მოსახარშად წყალს ადუღებდნენ.

ავაზაკმა ბეჩავი კოცონის შორიახლოს დააგდო, შვებით ამოისუნთქა და ქვაზე დანის ლესვას შეუდგა, მერე ადგა და დანით ხელში ნადავლთან მივიდა. უცებ ლოდუპმა ვეღარ გაუძლო და გამყინავი ხმით დაიყვირა:

-კეთილო ხალხო არ მომკლათ!

ამ ხმის გაგონებაზე ავაზაკები საშინლად შეშინდნე.

-მაქცია!მაქცია!-დაიყვირეს და სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ.

ლოდუპი წამოდგა და გაიფიქრა: „-რაც იქნება, იქნება, სჯობს ცოლთან დავბრუნდე.“

სიმამრი ცოცხალი გადარჩენილიყო, მხოლოდ შუბლზე კოპი ამოსვლოდა, ბასანი კი თავს იდანაშაულებდა, მას ეს უბრალო, მოკრძალებული, ალალ-მართალი ბიჭი მოეწონა და ყველგან ეძებდა. ამიტომ ლოდუპის დაბრუნება ყველას გაუხარდა და მას მერე ბედნიერად ცხოვრობდნენ.

რამდენიმე წელიწადმა გაიარა და ლოდუპს თავისი ადრინდელი ხიფათიანი წარსული დაავიწყდა და გადაწყვიტა ევაჭრა და ფული გამოემუშავებინა.ცხენები და იაკები სავაჭროთი დატვირთა და ინდოეთისკენ გზას დაადგა.გზაზე შესასვენებლად ფუნდუკში გაჩერდა. ვხშამზე ფუნდუკის მეპატრონე დაეწვია და თავს გადამხდარი ამბები მოუყვა, ლოდუპმა უსმინა, უსმინა და უთხრა:

-პარივცემულო ბატონო, ასეთ მონაგონს მხოლოდ სულელი დაიჯერებს.- როგორ? განა თქვენ ჩემი ნათქვამის სიმართლე გეეჭვებათ? იცით რომ ჩემი კათა ლამფებს ანთებს და ოთახში არიგებს? განა ეს საკვირველია?

-ასეთი რამ შეუძლებელია,-მიუგო ლოდუპმა.

-კარგი!-წამოიძახა მასპინძელმა- თუ ჩემი კატა ანთებულ ლამფას არ მოგვიტანს, მაშინ ჩემს სახლს ავლადიდებიანად თქვენ გადმოგცემთ. მაგრამ თუ მოიტანს, მაშინ თქვენს სავაჭროს სასაპალნე საქონელს და თქვენს ფულს დავიტოვებ.

-კარგი,-დაეთანხმა ლოდუპი,ფიქრობდა რომ მკვეხარა დაესაჯა.

მაგრამ მასპინძელი დიდი ოინბაზი იყო.მას დიდი ხანია გაწვრთნილი კატა ჰყავდა, რომელსაც მსახურის მიერ ანთებული ლამფები კბილებით დაჰქონდა. მასპინძლის ანკესზე ბევრი მოგზაური წამოეგო და თავის ავლადიდებას გამოეთხოვა.

ამჯერადაც იგივე განმეორდა. როცა დაბნელდა ოთახში დიდი თეთრი კატა შემოვიდა, რომელსაც კბილებით ანთებული ლამფა მოჰქონდა.

აბა, ვინ არის მართალი?-ჰკითხა კმაყოფილმა მასპინძელმა.

ლოდუპს სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და თავისი სავაჭრო და ფულით სავსე ქისაც მასპინძელს დაუტოვა. სახლში დაბრუნებისა შერცხვა და გადაწყვიტა იქვე მსახურად დარჩენილიყო. ერთმა თვემ გაიარა და ბასანი შეშფოთდა, რადგან ქმარი არაფერს ატყობინებდა, „ალბათ ისევ რაღაც ჭირს გადაეყარა“,-გაიფიქრა ბასანმა და გადაწყვიტა ლოდუპის საძებნელად გამგზავრებულიყო.

ბასანმა კაცურად ჩაიცვა, რამდენიმე იაკი მატყლით დატვირთა და გზას დაადგა. მანაც ლოდუპის გზით იარა და რამდენიმე დღეში დიდ ფუნდუკს მიადგა. „აქ

შევჩერდები, იქნებ ჩემს ქმარზე რამე გავიგო“,-გაიფიქრა ბასანმა, ის კი მის გასაკვირად იქვე იყო, ჭიშკარს აღებდა და იაკებს ფარეხში ერეკებოდა. ლოდუპმა კაცურად ჩაცმული ცოლი ვერ იცნო, მან კი:

-აქ რატომ ხარ? სავაჭრო სად გაქვს?

ლოდუპი პირველად გაოგნდა, მერე ძალიან გაუხარდა და ცოლს მოუყვა თუ როგორ მოატყუა მასპინძელმა.

-გაჩუმდი! არ შეიმჩნიო რომ მიცნობ,-გააფრთხილა ცოლმა და მასპინძელთან მოსალაპარაკებლად შევიდა.

საღამოს მასპინძელმა ჩვეულებისამებრ ბასანს მოგონილი ამბები მოუყვა და თავის კატაზე სიტყვა გადაუკრა.

-ვინ დაგიჯერებთ, რომ ასეთი კატა არსებობს?-შეაგულიანა ბასანმა.

-მოდი, დავნიძლავდეთ, ნიძლავში მთელლ ჩემს სახლს და ქონებას ვდებ, თქვენ კი თქვენი ქონება დადეთ.

მეორე დღეს ბასანმა მასპინძელს უთხრა:

-მზად ვარ დაგენიძლავოთ, რომ როცა დაბნელდება, თქვენი კატა ლამფას ოთახში ვერ შემოიტანს.

-კარგი, საღამომდე დავიცადოთ,-უთხრა მასპინძელმა.

ბასანმა კი ლოდუპი მოძებნა და გააფრთხილა საღამოს რა გაეკეთებინა. ცოლის რჩევით ლოდუპმა სამი თაგვი დაიჭირა, ყუთში ჩასვა და უბეში შეინახა. როცა ბინდდებოდა, ფუნდუკის კარების პირდაპირ დამალა,იქ კი მასპინძელი და სტუმარი უკვე ისხდნენ და კატას ელოდებოდნენ. სულ რომ დაბნელდა, მსახურთა ოთახიდან კატა გამოვიდა, რომელსაც კბილებით ლამფა ეჭირა და სასტუმრო ოთახისკენ გასწია. ნახევარი გზა არ გაევლო, რომ ლოდუპმა ყუთიდან ერთი თაგვი გამოუშვა. ლოდუპი ფიქრობდა, რომ კატა თაგვს გამოეკიდებოდა, მაგრამ გაწვრთნილმა კატამ თავისი გზა გააგრძელა. მაშინ ლოდუპმა მეორე თაგვი გამოუშვა, კატა თაგვს გამოეკიდა და ლამფა კინაღამ გგაუვარდა, მაგრამ თავი შეიკავა და გზა გააგრძელა, ის იყო კატა სასტუმრო ოთახის კარებს მიუახლოვდა, რომ ლოდუპმა მესამე თაგვი გამოუშვა. ეს უკვე მეტისმეტი იყო, კატამ ლამფა დააგდო და თაგვს გამოეკიდა.

სასტუმრო ოთახში უკვე ბნელოდა, მაგრამ კატა არ გამოჩენილა.

-ცოტა კიდევ დავიცადოთ, კატას რაღაც აგვიანდება,-უთხრა ბასანს მასპინძელმა.

კატა ლამფის წაღებას აღარც კი ფიქრობდა, თაგვის სოროსთან ჩასაფრებული მის ბინადრებს ყარაულობდა.

მასპინძელმა დამარცხება აღიარა და კაცურად გადაცმულ ბასანს თავისი სახლი და ის სავაჭრო გადასცა, რომელსაც მგზავრებს ნიძლავში უგებდა.

მაგრამ ბასანმა და ლოდუპმა ამ სახლში ცხოვრება არ ისურვეს და იმ მოხუც მსახურს აჩუქეს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ამ ცბიერ, ფლიდ კაცთან მუშაობდა, თვითონ კი თავისი სავაჭრო ცხენებს და იაკებს აჰკიდეს და თავიანთი სახლისკენ გამოსწიეს.

მოხეტიალე ფაკირი და ბოროტი მბრძანებელი

უხსოვარ დროშეი ტიბეტში ერთი მბრძანებელი ცხოვრობდა.მბრძანებელს შაგბა ერქვა. მას ბევრი ქვეშევრდომი ჰყავდა, საგანძურიც ურიცხვი ჰქონდა და მის საძოვრებზე ურიცხვი ცხენი, იაკი და ცხვარი ძოვდა, მაგრამ ძუნწ, ამპარტავან შაგბას ყველაფერი ეცოტავებოდა, ის თავის მეზობელ მბრძანებლებს სულ შურის თვალით უყურებდა და ფიქრობდა: „ნეტავ მისი მამული და სიმდიდრე მიმემატებინა-ო!“

ასეთი ფიქრები შაგბას მოსვენებას არ აძლევდნენ და მისი უახლოესი მსახურნიც კი მას სულ მოღუშულს ხედავდნენ.

შაგბას ქვეშევრდომებში ერთი მოხეტიალე ფაკირი იყო, რომელსაც ჩიულბო, ანუ გრძნეული ერქვა. ამ სახელს უსაფუძვლოდ არ ეძახდნენ. ჩიულბოს მარტო გასართობი ფოკუსების ჩვენება კი არ შეეძლო, მას იშვიათი უნარი ჰქონდა ადამიანები ისეთ სამყაროში გადაეყვანა, სადაც ისინი თავს ბედნიერად და კმაყოფილად იგრძნობდნენ,სადაც თუნდაც ცოტა ხნით უმძიმეს მწუხარე ცხოვრებას დაივიწყებდნენ.

ჩიულბოს ამბავმა მბრძანებლის ყურამდეც მიაღწია და ერთხელ თავის მსახურებს მისი სასახლეში მიყვანა უბრძანა.

-გავიგე, რომ შეგიძლია ადამიანებს ბედნიოერება აგრძნობინო. ეს სასწაული ჩემთვისაც გააკეთე! მე ხომ სულ სევდიანი ვარ,-უთხრა ფაკირს მბრძანებელმა.

-დიდო მბრძანებელო! ჩემი ამ უნარით მხოლოდ ღარიბ-ღატაკნი ბედნიერდებიან და თანაც ცოტა ხნით. მაგალითად, შემიძლია, ღარიბმა წარმოიდგინოს თითქოს მაძღრისად ჭამა და ცხენთა რემის მფლობელია, მაგრამ ეს ხალხს ვერ გააბედნიერებს და თავის ჭირ-ვარამს მხოლოდ ცოტა ხნით დაავიწყებს. განა მე შემიძლია თქვენც ასე მოგექცეთ?

-ნუ გეშინია, ნებას გაძლევ შენი უნარი ჩემზეც გამოსცადო,-უთხრა შაგბამ.

-არა! არა! მე ვერასოდეს გავბედავ, რომ ჩემს მბრძანებელს ასე ვეხუმრო, მიუგო ფაკირმა.

-ნუ გეშინია, ახლავე შენი დაცვის სიგელს დავწერ და გპირდები, რომ რაც არ უნდა მოხდეს-არ დაგსჯი-არწმუნებდა მბრძანებელი და მაშინვე ქაღალდი მოითხოვა, რათა დაპირებული სიგელი დაეწერა.

ის იყო სიგელს ხელი მოაწერა, რომ გარედან ჩოჩქოლისა და ცხენების ჭიხვინის ხმა მოესმა. შაგბამ ფანჯარაში გაიხედა და უცხო ხალხი დაინახა, რომლებიც კოცონებს ანთებდნენ, ცხენებს უნაგირს ხდიდნენ და კარვებს შლიდნენ.

„ეს ხალხი აქ საიდან გაჩნდა? ჩემი ფანჯრების წინ დასახლება როგორ გაბედეს?“-გაიფიქრა შაგბამ, დაცვის უფროსს დაუძახა და უბრძანა გაეგო მის მიწაზე უნებართვოდ ვინ დასახლდა. „ამ თვითნებობას მწარედ ვანანებ“-გაიფიქრა მბრძანებელმა.

დაცვის უფროსი სასახლიდან სწრაფად გამოვარდა და მაშინვე განცვიფრებისგან გაშეშდა. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. იქ მდიდრულად ჩაცმული წარჩინებულები იყვნენ და ასევე ძლიერი მეომრები და სასაპალნე ცხოველთა გამრეკნიც.

სასახლის კარიბჭის შორიახლოს უზარმაზარი მდიდრული კარავი უკვე დაედგათ. დაცვის უფროსი კარავს მიუახლოვდა და ორი ტახტი დაინახა: ერთი ოქროსი, მეორე ვერცხლის.

-ვისია ეს კარავი და ორი ტახტი ვის დაუდგეს?- თავაზიანად ჰკითხა დაცვის უფროსმა იქვე გავლილ მსახურს.

-ეს კარავი ბედის ძლევამოსილ ღმერთს-საინიბუს ეკუთვნის, ვერცხლის ტახტი კი მისი ვაჟისთვისაა განკუთვნილი. ჩვენ მიწისქვეშა სამყაროდან მოვედით და აქ დავისვენებთ, სანამ ცაში ჩვენს გზას არ გავაგრძელებთ,-მიუგო მსახურმა.

დაცვის უფროსმა გაკვირვებისგან ვერაფერი უპასუხა და თავპირისმტვრევით სასახლისკენ გაიქცა და რაც ნახა და გაიგო მბრძანებელს მოუყვა.

ამ უცნაურმა სიახლემ შაგბა სულ შეძრა და გონს რომ მოეგო, გაიფიქრა: „თუ საინიბუ ბედის ძლევამოსილი ღმერთია და ჩემს სამფლობელოზე მოწყალება მოიღო, მაშინე მე პირადად უნდა მივესალმო და ღირსეული საჩუქრები უნდა მივართვა.“ შაგბამ მსახურთ უბრძანა საგანძურიდან იშვიათი ძვირფასეულობა აეღოთ და საინიბუს კარავში გაჰყოლოდნენ.

კარავთან მიახლოებისას შაგბა ოქროს ტახტზე მჯდომი ღმერთი დაინახა.

-ო, დიდო და უძლეველო საინიბუ! ნება მოგვეცი შენმა მსახურებმა მოწიწებით მოგესალმოთ, ეს მოკრძალებული ძღვენი მოაგრთვათ და გკითხოთ პატივი რატომ დაგვდეთ?-თაყვანისცემით მიმართა შაგბამ.

-ჩემს მიწისქვეშა ბაღში ვაზი დავრგე, გაიზარდა და მისი ტოტები ცას მისწვდა , ფეხვები და ღერო კი მიწაში დარჩა. ახლა მისი ნაყოფით ზეციური ღმერთები სარგებლობენ, მე კი აღარაფერი მრჩაბა და ახლა ჩემი წილის მისაღებად ცაში მივდივარ.

შაგბა ღმერთს უსმენდა და თან ფიქრობდა: „ბედნიერება თვითონ მეწვია და ხელიდან არ უნდა გავუშვა.“ და ღმერთს შემპარავი ხმით მიმართა:

-ო, დიადო! ჩვენ ორივე მბრძანებლები ვართ. შენ მიწისქვეშეთს განაგებ, მე კი მზისქვეშეთს. თუ დავნათესავდებით, უფრო გავძლიერდებით. გავიგე, რომ ვაჟი გყავს, მე კი ლამაზი და ჭკვიანი ასული. პატივი დამდე და შენს ვაჟს ჩემი ასული შერთე. ამ კავშირით ჩვენი ოჯახები მხოლოდ ისარგებლებენ.

საინიბუმ იფიქრა, იფიქრა, თავის ხშირ წვერს ხელი ჩამოუსვა და უთხრა:

-კარგი, თანახმა ვარ. ცუდი არ იქნება ჩვენი სამფლობელოები შევაერთოთ. ამიტომ ჩემი ვაჟი შენთან დარჩეს და ციდან მობრუნებისას ქორწილი გადავიხადოთ. მე ცაში ზეციური ღმერთებისგან ჩემი წილი ყურძნის მისაღებადმივდივარ, მაგრამ არ ვიცი ჩემს მოთხოვნას როგორ მიიღებენ. მათ შორის აყალმაყალის მოყვარულებიც არიან და შენ ცას ხშირად შეხედე და დააკვირდი.

ეს თქვა საინიბუმ, ნიშანი მისცა და მისი დიდი ქარავანი ზეციური ღმერთებისკენ გზას დაადგა.

თავდავიწყებული შაგბა პრინცთან ერთად სასახლეში დაბრუნდა და ფიქრობდა, რომ მალე დედამიწის ზურგზე მასზე ძლევამოსილი არავინ იქნებოდა. შაგბას ბედისწერის ღმერთის საბოლოო სიტყვები არ დავიწყებია და სასახლის სახურავზე ყოველდღე ადიოდა და ცას დიდხანს შესცქეროდა.

უცებ ცა მოიქუფრა, გაიელვა, დაიქუხა და სასახლის თავზე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. „ალბათ საინიბუს მხედრობა ზეციურ ღმერთებს შეებრძოლა,“-გაიფიქრა შეშინებულმა შაგბამ. უცებ ციდან ხშირწვერიანითავი ჩამოვარდა და მიწაზე ხმაურით დაეცა. შაგბა სულ დადარდიანდა. ეს ხომ თვით საინიბუს თავი იყო და

უფრო იმაზე დარდობდა, რომ საინიბუს ვაჟს მამის თავი არ დაენახა და მწუხარებისგან არ მომკვდარიყო. მაშინ მასთან დამოყვრების იმედიც გაუქრებოდა.

შაგბამ მაშინვე ბრძანა, რომ მისი სასახლის ეზოზე უზარმაზარი დასაკრძალი კოცონი დაენთოთ და საინიბუს თავი დაეწვათ, მისი ვაჟისთვის კი არაფერი ეთქვათ.

როცა დასაკრძალი კოცონი დაანთეს, საინიბუს ვაჟი ფანჯარასთან მივიდა და მსახურს ჰკითხა:

-სასახლის ეზოზე ასეთი დიდი კოცონი რისთვის დაანთეთ?

-განა არ იცით?ამ კოცონზე მამთქვენის ციდან ჩამოვარდნილი თავი უნდა დავწვათ!-მიუგო გაკვირვებულმა მსახურმა.

ამის გაგონებისას ჭაბუკმა დაიდმინა, სასახლიდან გამოვარდა და პირდაპირ კოცონისკენ გაიქცა. უცებ ალი ამოვარდა და პრინცი დაიღუპა.

მბრძანებელი შაგბა უფრო დადარდიანდა. მას უწინდელი მხიარულების კვალიც კი არ ეტყობოდა, რადგან პრინცის სიკვდილმა ოცნებები დაუმსხვრია. უცებ დაცვის უფროსმა მოირბინა. მუხლი მოიყარა და უთხრა:

-ო, დიდო მბრძანებელო! ჭიშკარს ქვესკნელის ღმერთის-საინიბუს ქარავანი მოადგა და განრისხებულმა იკითხა, თუ მის შესახვედრად რატომ არ გამოხვედით?

შაგბას შეეშინდა და გაიფიქრა: „საინიბუს ვაჟის სიკვდილზე არაფერს ვეტყვი.“ სადარბაზოდ მოიკაზმა და ქვესკნელის ღმერთის შესახვედრად გაემართა. ოქროს ტახტს მიეახლა, საინიბუს თაყვანი სცა და ჰკითხა, ზეციურ ღმერთებთან ბრძოლა როგორ დამთავრდა და თავისი წილი ყურძენი მიიღო თუ არა.

-ყველაფერი კარგად დამთავრდა. ზეციურმა ღმერთებმა პირველად უარი მითხრეს ყურძნის გაყოფაზე, მაგრამ მერე ღმერთი ინდრა მოვიდა და ჩვენი დავა მშვიდობით მოაგვარა. საინიბუ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ვიღაცას ეძებდა. მერე იკითხა:-ჩემი ვაჟი სად არის? რატომ არ გამოვიდა?

შაგბას შეეშინდა, გაფითრდა და დამწუხრებულმა წარმოთქვა:

-ძლევამოსილო საინიბუ! თქვენი ვაჟი ცოცხალი აღარ არის.

-ეს როგორ მოხდა?!-ყვირილით წამოხტა ტახტიდან საინიბუ.

-დიდო საინიბუ! დამშვიდდი და მომისმინე! რამდენიმე დღის წინ ციდან სისხლის წვიმა წამოვიდა და შენი თავი ჩამოვარდა. ვუბრძანე დასაკრძალი კოცონი დაენთოთ და შენი თაბი დაეწვათ. შენმა ვაჟმა მწუხარებას ვერ გაუძლო, ცეცხლში ჩავარდა და ალმა შთანთქა,-აკანკალებული ხმით მიმართა შაგბამ.

-შენ გიჟი ყოფილხარ! განა ვერ მხედავ! ცოცხალი და უვნებელი ვარ. რა მოჭრილ თავზე ბოდავ?! შენი თხოვნით საყვარელი ვაჟი დაგიტოვე.ამის გამო პასუხს საკუთარი სიცოცხლით აგებ,-დაიქუხა განრისხებულმა საინიბუმ.

შიშით თავდაკარგული შაგბა საინიბუს ფეხებში ჩაუვარდა და შეწყალება სთხოვა.

-დიდო და ძლევამოსილო მბრძანებელო! შენი ვაჟის სიკვდილში წვლილი არ მიმიძღვის. გთხოვ, სიცოცხლეს ნუ წამართმევ! მიიღე ჩემი სამფლობელო, ჩემი საგანძური, მსახურნი და საქონელი. ოღონდ ნუ მომკლავ და შენს მონად მაქციე.

-ადექი და შემომხედე სინამდვილეში ვინ ვარ,-გაისმა უცებ წყნარი, დაბალი, მშვიდი ხმა, რომელიც განრისხებული ღმერთის ხმას სულ არ ჰგავდა.

შაგბამ თავი ნელა ასწია და ირგვლივ მიმოიხედა. აღარც ოქროს ტახტი იდგა, აღარც ქვესკნელის ღმერთი ჩანდა და აღარც ხალხმრავალი ქარავანი. შაგბას წინ კუნძზე მოხეტიალე ფაკირი იჯდა.

და მბრძანებელი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მოჩვენება იყო, რომელიც ფაკირმა მოაწყო. მრისხანებისა და სირცხვილისგან გაწითლებულს მსახურებისთვის უნდოდა ებრძანებინა, რომ ფაკირი სიკვდილით დაესაჯათ, მაგრამ მას ხომ ხელში

თვით შაგბას ხელმოწერილი დაცვის სიგელი ეჭირა. ამიტომ მბრძანებელი უსიტყვოდ გაშორდა და თავის საბრძანებელში შევიდა და მას მერე დიდი ხნის განმავლობაში შერცხვენილი ხალხში ვერ გამოდიოდა.

ამის მერე მოხეტიალე ფაკირი ჩიულბო ხალხმა უფრო მეტად შეიყვარა, რადგან მან ამპარტავანი მბრძანებელი აიძულა ფეხებში ჩავარდნოდა და შეწყალება ეთხოვა.

გულადი

უხსოვარ დროს ლოკას მხარეში გლეხის ერთი ოჯახი ცხოვრობდა: მამა, დედა და გოგონა, რომელსაც პაკმოს ეძახდნენ. მთელ იმ მხარეში პაკმო თავისი სილამაზით, ჭკუითა და შრომისმოყვარეობით იყო განთქმული, მაგრამ ყველაზე მეტად წკრიალა და მელოდიური ხმისთვის უყვარდათ. თვით კეთილხმოვანების ქალღმერთიც კი მასზე უკეთესად ვერ იმღერებდა.

პაკმო ფიჩხის მოსაგროვებლად ტყეში ხშირად დადიოდა. ფიჩხს აგროვებდა და თან ისე სასიამოვნოდ მღეროდა, რომ თვით სისხლისმსმელ ლეოპარდს მისი სიმღერის მოსმენისას ნადირობაც კი ავიწყდებოდა.

ერთხელ ერთი ახალგაზრდა,რომელსაც დოკცენი ერქვა, სანადიროდ ტყეში წავიდა და იქ პაკმოს სიმღერა მოესმინა. დოკცენმა გაიფიქრა: „ეს მომღერალი ქალიშვილი აუცილებლად უნდა ვნახო და გავიგო ვინ არის?“ და მაშინვე სიმღერის ხმას მიჰყვა.

მალე ხეებს შორის მომღერალი ქალიშვილი დაინახა და გაიფიქრა: „ის თავისი სახით ზეციურ ქალწულს ჰგავს და კალიპინგის ჩიტივით მღერის“ და სიმღერას აჰყვა. მან დოკცენის ხმის გაგონებაზე მოიხედა, მაგრამ სიმღერა არ შეუწყვეტია. პაკმომ ტიბეტელი ქალიშვილების ადათით აგრძნობინა, რომ მოეწონა.

მას მერე დოკცენი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. დოკცენი კეთილი, უბრალო ადამიანი იყო და პაკმოს მშობლებს ძალიან შეუყვარდათ. თავაზიანად ხვდებოდნენ და გულითადად უმასპინძლდებოდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ, რომ ახალგაზრდები ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი.

პაკმოს და დოკცენის ბედნიერი შეხვედრები დიდხანს არ გაგრძელებულა. დოკცენს მამამ გადაწყვიტა თავისი ვაჟიშვილი მეფის ვეზირის ქალიშვილზე დაექორწინებინა. დოკცენიი წინააღმდეგობის მიუხედავად, მამის გადაწყვეტილება ურყევი იყო და მალე ქორწილიც გადაიხადეს. დოკცენის ცოლმა ცეკვა და სიმღერა არ იცოდა, სამაგიეროდ სმა-ჭამა ძლიერ უყვარდა.

დოკცენი უბრალო გლეხის ქალიშვილზე ყოველდღე ფიქრობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას აბრეშუმის ძვირფასი ტანსაცმელი არ ეხვა, თავისი აშოლტილი ტანით ზეციურ ფერიას აგონებდა. ის სახეს არ ილამაზებდა, მაგრამ ამის გარეშეც ლამაზი ჩანდა. დოკცენს ყურში პაკმოს კალიპინგის ჩიტის ხმიანობის მსგავსი სიმღერები ესმოდა. ახსოვდა პაკმოს ღიმილი და მის გულში სიხარული ისადგურებდა.

დოკცენს უნდოდა გლეხის ოჯახში მისულიყო და პაკმო კვლავ ენახა, მაგრამ ქორწილის მერე მამამ სახლიდან გასვლა აუკრძალა და ამის გამო თავისი სატრფოს ნახვა არ შეეძლო. დოკცენის ცოლი გარეგნობის გარდა, კეთილი ზნითაც არ გამოირჩეოდა. ის ანჩხლი, ჭირვეული, წუნია და მიზეზიანი ხასიათის იყო.

დღე დღეს მისდევდა და თვე თვეს. დოკცენი დარდისგან სულ ჩამოხმა. ქორწილამდე ჯანმრთელი ახალგაზრდა ახლა გაფითრებული და გამოფიტული იყო, სულ უფრო სუსტდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს გარდაიცვალა.

პაკმოს სატრფოს სიკვდილი არ გაუგია. ელოდებოდა, მაგრამ ის არ მოდიოდა. პაკმო აპრილშიც ელოდა, როცა პირველად დაიქუხებდა, მაისშიც ელოდა, როცა მგალობელი ფრინველები აჭიკჭიკდებოდნენ, მაგრამ დოკცენი არ მოდიოდა.

ელოდებოდა მზიან დღეებშიც და მთვარიან ღამეებშიც, მაგრამ დოკცენი არა და არ მოდიოდა.

ერთხელ ღამით, სავსემთვარეობისას პაკმო ფანჯარასთან იჯდა, სატრფოს ელოდებოდა და თან ფიქრობდა: „ამ ღამით აუცილებლად მოვა“ და მართლაც მთვარის შუქზე ადამიანი შეამჩნია, რომელიც სახლს უახლოვდებოდა. უცებ კარებზე კაკუნი გაისმა. „დოკცენი მოვიდა“- გაუხარდა ქალიშვილს, კარებს მივარდა და გააღო. კარის ზღურბლზე მართლაც დოკცენი იდგა. ის ცხენით კი არა, ქვეითად და უბრალო ტანსაცმელში ჩაცმული მოსულიყო და სახეგაფითრებული და დანაღვლიანებული ჩანდა. პაკმოს სიხარულისგან ენა დაება, სატრფოს ხელი ჩაჰკიდა, სახლში შეიყვანა და ხილის ღვინოთი სავსე თასი მიართვა.

-ძვირფასო, რატომ არ მოხვედი?- ჰკითხა ქალიშვილმა, როცა დოკცენმა ღვინით სავსე თასი დალია.

მან ვერაფერი უპასუხა.

„ადრე დოკცენი მხიარული და ხუმარა იყო, ახლა კი გაფითრებული და სევდიანია. რაშია საქმე?“-გაიფიქრა პაკმომ, აფორიაქდა და დოკცენს ჰკითხა:

-ჩემო ძვირფასო, რა მოხდა?

-ჩემთან წავიდეთ და ყველაფერს გაიგებ,- მიუგო დოკცენმა და სახლიდან გამოვიდა, პაკმოც უკან მიჰყვა. ჭაბუკმა თავის მამის საცხოვრებელში მიიყვანა, სადაც დოლის ხმა ისმოდა.

-დოლს რატომ უკრავენ?-ჰკითხა პაკმომ.

-შენ კიდე ვერ მიხვდი? დაკრძალვაზე მსხვერპლს წირავენ.

-ვის დაკრძალვაზე? მამაშენი გარდაიცვალა?

-არა! მსხვერპლს ჩემს დაკრძალვაზე სწირავენ, სევდიანად მიუგო დოკცენმა და რაც მოხდა, ყველაფერი მოუყვა.

საწყალი ქალიშვილი მწარედ ატირდა. დოკცენიც აჰყვა და ორივე დიდხანს ტიროდა. გათენებისას დოკცენმა პაკმოს ხელი ჩაჰკიდა და უკან სახლში მიიყვანა. ქალიშვილმა სახლში შეიპატიჟა, მაგრამ უარი მიიღო.

-უკვე თენდება და უნდა წავიდე, ერთი თვის მერე სავსემთვარეობისას ისევ შევხვდებით.

ამ დროს ქარმა წამოუბერა და ჭაბუკი გაქრა, თითქოს არც ყოფილა. პაკმო მწუხარებისგან უგრძნობლად დაეცა, როცა გამოერკვია დოკცენს მოუხმო:

- დოკცენ! დოკცენ!

მაგრამ არავინ ეხმიანებოდა.

მას მერე ყოველ სავსემთვარეობისას პაკმოსთან სატრფო მოდიოდა. ის მას უმასპინძლდებოდა, საუბრობდნენ და ხუმრობდნენ კიდეც, მაგრამ გათენებისას დოკცენი გაუჩინარდებოდა ხოლმე.

ერთხელ დოკცენი ჩვეულებისამებრ პაკმოს ესტუმრა. როცა უკვე თენდებოდა, აცრემლებულმა პაკმომ უთხრა:

-მე ჩვენი შეხვედრებით გახარებული ვარ, მაგრამ მინდა სულ შენთან ერთად ვიყო.

დოკცენი ჩაფიქრდა, მერე ჩურჩულით უთხრა:

-თუ შენ გულადი ხარ, მაშინ შეგიძლია დამეხმარო, მაგრამ იცოდე ეს ძალიან სახიფათოა.

-მითხარი რა გავაკეთო,-მიუგო პაკმომ.

-კარგი,-განაგრძო დოკცენმა,- შემდეგ სავსემთვარეობისას ერთი თასი რძე, ერთი თასი ღვინო, ორი ხმიადი, მოხარშული ხორცის სამი ნაჭერი აიღე და სახლიდან

გამოდი. გამოსვლისას სამხრეთისკენ შეტრიალდი და პირდაპირ იარე, არსად გადაუხვიო. გზაზე

რკინის კაცს დაინახავ, ის ადუღებულ ლითონს დალევს და თან გაიმეორებს: მწყურია! მწყურია! თასით რძე მიაწოდე და გზა გააგრძელე. მერე მორკინალი რკინის რქიანი ცხვრები შეგხვდება, ხმიადი მიეცი და გზა განაგრძე. მერე გზაზე მახვილშემართული მეომრები გადაგეღობებიან, ნუ შეშინდები, მოხარშული ხორცით გაუმასპინძლდი და გზა აუქციე. ამის მერე შავი, უფანჯრო სახლი შეგხვდება. კართან გაბურძგნულთმიანი და ბასრეშვებიანი ორი საშინელი ურჩხული დაგხვდება. ეს სიკვდილის ღმერთის იამას მსახურებია. მათ ღვინით სავსე თასები მიაწოდე და სახლში გაბედულად შედი. იქ რვა ბოროტი გრძნეული ცხოვრობს, მაგრამ სავსემთვარეობისას სახლში არ იქნებიან. პირველივე ოთახში შავ მაგიდაზე ოქროს ლანგარი დევს. ლანგარზე რვა გულია: შვიდი ძველია და ერთი ახალი-ჩემი, ძველი გულები იყვირებენ:-წამიყვანე! წამიყვანე! ახალი გული კი დაიყვირებს-არ წამიყვანო! არ წამიყვანო! შენ მათ ნუ მოუსმენ. ჩემი გული უშიშრად აიღე და უკან გამოიქეცი. თუ შენ ჩემს გულს გამოიტან, მაშინ გავცოცხლდები და სამუდამოდ ერთად ვიქნებით.

უცებ ქარმა წამოუბერა და დოკცენი თვალს მიეფარა.

შემდეგი სავსემთვარეობისას პაკმო ისე მოიქცა, როგორც დოკცენმა დაარიგა, სახლიდან გამოვიდა და გზას სამხრეთისკენ დაადგა. დოკცენის რჩევა კარგად დაიმახსოვრა და როგორც მან უთხრა, ისე მოიქცა.

მაგრამ როგორც კი პაკმომ ახალი გული აიღო, უბეში შეინახა და სახლიდან გამოვიდა, მაშინვე რავავე გრძნეული შეხვდა და მსახურებს მოუხმეს:

-მსახურნო! გაბურძგნულ თმიანო მსახურნო! გულს ნუ გაატანთ! ქურდი დაიჭირეთ!

მაგრამ ეტყობა, სიკვდილის ღმერთის მსახურთ სინდიდი გაეღვიძათ და გრძნეულებს უთხრეს:

-ქალიშვილმა ტკბილი ღვინო მოგვართვა და ამიტომ შემოვუშვით.

პაკმო მორბოდა და შიშისგან გული უფანცქალებდა. მახვილშემართულ მეომრებს გაუსწრო თუ არა, გრძნეულებმა ისევ დაუყვირეს:

-აჩეხეთ ეს ქალიშვილი! მან გული მოიპარა!

ამ ქალიშვილმა მოხარშული ხორცი მოგვიტანა და ამიტომ გავუშვით,-მიუგეს მეომრებმა.

პაკმო უკან მოუხედავად მორბოდა და გზაზე რკინის რქებიანი ორი ცხვარი შემოხვდა. გრძნეულებმა ცხვრებს დაუყვირეს:

-ამ ქალიშვილმა გული მოიპარა, ურქინეთ!

-მან ხმიადები მოგვცა,-მიუგეს ცხვრებმა.

გრძნეულები მიხვდნენ, რომ ქალიშვილი ხელიდან უსხლტებოდათ და თვითონ დაედევნენ. პაკმო რკინის კაცს გაუსწორდა, როცა გრძნეულიები ისე მორბოდნენ, რომ მიწას ფეხს არ აკარებდნენ და თან ყვიროდნენ:

-რკინის კაცო! ეს ქალიშვილი მოკალი!

-ამ ქალიშვილმა თასით რძე მომართვა და განა მას მოვკლავ? თქვენ კი მხოლოდ მდუღარე რკინას მასმევდით და ამიტომ თქვენ უნდა მოგკლათ. თქვა ეს რკინის კაცმა, რკინის დიდი კეტი აღმართა და ადამიანის გულების მპყრობელ ბოროტ გრძნეულებს სული ამოხდათ.

პაკმო სახლში გათენებისას დაბრუნდა, დოკცენის გული მოიტანა და მაშინვე მის თვალწინ ცოცხალი და ჯანმრთელი დოკცენი წარსდგა. ის პაკმოსთან ერთად საცხოვრებლად მის მშობლებთან დარჩა და მას მერე ერთმანეთს აღარ განშორებიან.

გულითადი მეგობრობა

უხსოვარ დროში ტიბეტში ერთი ღარიბი გლეხი ცხოვრობდა. ნორბუ ერქვა. დილიდან საღამომდე მუზლჩაუხრელად შრომობდა, მაგრამ სიღარიბიდან ვერ ამოდიოდა. ნორბუმ გადაწყვიტა თავისი საცხოვრებელი ადგილი მიეტოვებინა და ბედის საძიებლად წასულიყო. თავისი მცირე ქონება გაყიდა, ამ ფულით სახედარი და შინ ნაქსოვი შალის ორი ნაჭერი იყიდა და ბედის საძიებლად გზას დაადგა.

მთებსა და ხეობებში ბევრი იარა, მისი მშობლიური სოფელი კი მთებს მიეფარა. ერთხელ ერთ სოფელში გავლისას ბავშვებს გადაეყარა. მათ თაგვი დაეჭირათ, კუდზე თოკი მოებათ და კამათობდნენ თუ როგორ მოქცეულიყვნენ. საწყელი ცხოველი აქეთ-იქით აწყდებოდა და შეშინებული წრუწუნებდა.

-ბავშვებო! ამ პატარა წრუწუნას რატომ აწვალებთ? უმჯობესია გაუშვათ-დაუყვირა ნორბუმ.

-გამოსასყიდი მოგვეცი და გავუშვებთ,-მიუგეს ონავრებმა.

ნორბუს შეშინებული წრუწუნა შეეცოდა, ბავშვებს შალის ნაჭერი მისცა და წრუწუნა გაუშვა.

ნორბუმ გზა გააგრძელა და დაინახა, რომ რამდენიმე ახალგაზრდას მაიმუნი დაეჭირათ და მთელი მონდომებით ცდილობდნენ მაიმუნისთვის ადამიანის ჩვევები ესწავლებინათ, მაგრამ მაიმუნს ვერ გაეოგო მისგან რა უნდოდათ და საწყლად ყვიროდა.

ნორბუს მაიმუნიც შეეცოდა, ახალგაზრდებს შალის მეორე ნაჭერი მისცა და მაიმუნი გაუშვა. როცა სოფლიდან გადიოდა, მონადირეები შემოხვდა, რომელთაც თოკით პატარა, აბურძგნილი ბელი მოჰყავდათ. ბელი ეწინააღმდეგებოდა და მონადირეები ჯოხით სცემდნენ. ნორბუს გაახსენდა სოფლის მამასახლისმა ჯოხით რომ სცემა და მონადირეებს უთხრა:

-თქვენს ბელს ამ სახედარში არ გამიცვლით?

მონადირეებს გაუხარდათ, ბელი სახედარში გაუცვალეს. ნორბუმ ბელი ტყემდე მიიყვანა და გაუშვა.

და აი, უკანასკნელი ქონების გაცემის მერე ნორბუ სულ გაღატაკდა.ასეთ ადამიანზე ამბობენ ხოლმე: „არაფერი აქვს თავისი ჩრდილის მეტი“-ო.

ერთ საღამოს მშიერი ნორბუ მოწყალების იმედით ერთი წარჩინებულის სახლს მიადგა.

ამ დროს მეკუჭნავეს აბრეშუმის ქსოვილის ხვეულა მოეპარა და უკვე კარებში გამოჰქონდა, რომ თავის ქალბატონს შეეფეთა. მაშინ თაღლითმა მეკუჭნავემ, როგორც ანდაზა გვამცნობს: „შავი ქუდი თეთრ ადამიანს“, აბრეშუმის ხვეულა ნორბუს ფეხებთან დააგდო და მთელი ხმით აყვირდა:-გლახამ ბატონის სახლში იქურდა!

ხალხმა მოირბინა. ბედშავი დაიჭირეს და ბატონს მიჰგვარეს. ბატონმა ნორბუს შეხედა და მკაცრად თქვა:- ეს კაცი ყველაზე მკაცრ სასჯელს იმსახურებს, ტყავის ტომარაში ჩასვით და მდინარეში გადააგდეთ.

მცველები ნორბუს ეცნენ, ტყავის ტომარაში ჩატენეს, თავი მოუკრეს, მდინარის ნაპირთან მიიტანეს და წყალში გადააგდეს. წყალს ტომრა დიდხანს მიჰქონდა, სანამ წყალში ჩავარდნილი ხის ტოტებს არ წამოედო. ნორბუ ცდილობდა ტომრიდან ამომძვრალიყო, მაგრამ ამაოდ. „ხსნა არსაით არის. თუ არ ჩავიძირები, ან უჰაერობით არ გავიგუდები ან შიმშილით სული ამომძვრება“,-გაიფიქრა ნორბუმ.

ამ დროს ნორბუს საბედნიეროდ მდინარის ნაპირას წრუწუნა მოცუნცულდა, მდინარეში ტომარა დაინახა და აწრუწუნდა. მის ხმაზე ტყიდან მაიმუნი და დათვის ბელი გამოვიდნენ, სწორედ ისინი, რომლებიც ნორბუმ გასაჭირიდან იხსნა. ბედმა ეს ცხოველები ერთმანეთს დააახლოვა, ერთად ცხოვრობდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. მათ იფიქრეს, რომ ტომარაში რაიმე საჭმელს ნახავდნენ და ჩავარდნილ ხესთან მიაღწიეს, ტომარა ნაპირზე გამოათრიეს, სწრაფად გაგლიჯეს და ის ადამიანი დაინახეს, რომელმაც ისინი სიკვდილიდგან იხსნა.

წრუწუნას, მაიმუნს და დათვის ბელს ისე ძალიან გაუხარდათ და გაუკვირდათ თავისი მხსნელის დანახვა, რომ ენაც კი ვერ აღწერს. ნორბუ მდელოზე დასვეს და თვითონ ტყეში შეირბინეს, რათა ხილი, კაკალი და ძირხვენები მოეტანათ და ნორბუ დაეპურებინათ.

მოსაღამოვდა.მეგობრები ისხდნენ და საუბრობდნენ. უცებ დაინახეს რომ შორს რაღაც კაშკაშებდა. ცნობისმოყვარე მაიმუნი სანახავად გაიქცა და ბალახებში მანათობელი ქვა დაინახა. ქვა აიღო და ნორბუს მოუტანა. ღატაკი თვალებს არ უჯერებდა. მოხუცებისგან გაეგო ნატვრისთვალის შესახებ და მიხვდა, რომ ეს სწორედ ნატვრისთვალი იყო.

ნორბუს დრო არ დაუკარგავს და ნატვრისთვალს სთხოვა, რომ აქ, მდინარის პირას დიდი სახლი აეშენებინა თავლებით, ხეხილის ბაღებით და მსახურებით.

ნატვრის წარმოთქმაც კი ვერ მოასწრო, რომ ყველაფერი შესრულდა, რაც ინატრა. სახლი სარჩო-საბადებლით სავსე იყო და ღატაკს აღარაფერი აკლდა.

ერთხელ ნორბუს სახლს ერთი ბანჯგვლინი ვაჭარი მიადგა. ის ნორბუს დიდი ხანია იცნობდა და მისი სახლ-კარი რომ დაინახა, გაუკვირდა. ის გაოცებული იყო მოწყალებით მაცხოვრებელს ასეთი მდიდრული სახლი საიდან ჰქონდა. ვაჭარმა ნორბუს გამოჰკითხა და მანაც გულუბრყვილოთ ყველაფერი მოუყვა, არაფერი დაუმალია.

ვაჭარს სიხარბემ სძლია და შეეხვეწა:

-მეგობარო! შენ სრულ განცხრომაში ხარ, ყველაფერი გაქვს რისი ნატვრაც შეიძლება. აბა, შემომხედე! შენ გგონია, რომ ძველებურად მდიდარი ვარ? არა! მე ხომ ბოლოს დავზარალდი. მხოლოდ შენ შეგიძლია დამეხმარო! ნატვრისთვალი მათხოვე, რომ ქონება ისევ შევიძინო.

კეთილმა ნორბუმ ნაცნობ ვაჭარს უარი ვერ უთხრა და ნატვრისთვალი მისცა.

ბანჯგვლიანი ვაჭარი არა მარტო ძუნწი და შურიანი, ბოროტიც იყო. ნორბუს ცოტა დაშორდა თუ არა, ღამის გასათევად გაჩერდა და ნატვრისთვალს სთხოვა:- ნატვრისთვალო ნორბუს სახლ-კარი და სიმდიდრე აქ გადმოიტანე,ნორბუ კი ისევ ღატაკად აქციე!

საღამოს ნორბუმ ბუმბულის ლოგინში დაიძინა და დილით იგრძნო, რომ რაღაც ხმელზე იწვა და მთელი ტანი უბჟუოდა. გამოფხიზლდა, ირგვლივ მიმოიხედა და

აღარც სახლ-კარი, აღარც ქონება, აღარც საქონელი და ბუმბულის ლოგინის ნაცვლად ცარიელ მიწაზე თავის ადრინდელ ძველმანებში იწვა.

ნორბუ მიხვდა, რომ ვაჭარმა მოატყუა და ბედის საძიებლად გზას დაადგა. მისმა მეგობარმა ცხოველებმა გაიგეს, რომ მათი მხსნელი სოფლიდან სოფელში მოწყალების სათხოვნელად დადიოდა. მოძებნეს და ჰკითხეს:

-სად არის თქვენი სახლ-კარი? თავს რა უბედურება დაგატყდათ?

თავისი მეგობრების დანახვაზე ნორბუ ატირდა და თავისი ამბავი მოუყვა. ისინი ძალიან აღშფოთდნენ:

-ეს ვაჭარი ავი სულია! მას ეკლიანი გული ჰქონია! განა ასე მოქცევა შეიძლება? დამშვიდდი, ჩვენ მას ნატვრისთვალს წავართმევთ,-უთხრეს და დაუყონებლივ გზას დაადგნენ.

ნატვრისთვალის ახალი პატრონი მთრლ იმ არემარეზე თავისი სიმდიდრითა დაძლევამოსილებით უკვე თავს იწონებდა. მის სახლს ორი მაღალი გალავანი ერტყა და შიგნით არავის უშვებდა. არავინ იცოდა ვაჭარს სად ეძინა.

წრუწუნა გალავანზე გადაძვრა, ოთახები მოირბინა და ვაჭრის საძინებელი ოთახი მოძებნა.ვაჭარი ნატვრისთვალს საძინებელი ოთახის გვერდით საკუჭნაოში ინახავდა. მან ნატვრისთვალი ისრის წვერს მიამაგრა, ისარი მარცვლის გროვაში ჩაარჭო და იქვე კატა დააბა.

თაგვი თავის მეგობრევთან დაბრუნდა და რაც ნახა ყველაფერი მოუყვა.

-ვერფერს გავხდებით, ხელცარიელი დავბრუნდებით,- თქვა დათვის ბელმა.

-არა,- შეეწინააღმდეგა მაიმუნი,- მე მოვიფიქრე. შენ-წრუწუნ ვაჭრის საძინებელში შეძვერი და ვაჭარს ცოტა თმა მოაწიწკნე. მაშინ შევძლებთ ნატვრისთვალის ხელში ჩაგდებას.

როგორც კი დაბნელდა წრუწუნა ვაჭრის საძინებელში შეძვრა. დაიცადა სანამ ვაჭარს ღრმად დაეძინებოდა და თმის რამდენიმე ღერი ამოაწიწკნა.

დილით ვაჭარს გაეღვიძა და იატაკზე თავისი თმები რომ დაინახა, გაიფიქრა: „ალბათ თაგვებმა მომაწიწკნეს, მალე ერთი ღერიც არ შემრჩება, კატა ჩემს თავთან ახლოს უნდა დავაბა.“

ასეც მოიქცა.

მომდევნო ღამით დათვის ბელი და მაიმუნი გარეთ დარჩნენ და წრუწუნა გალავანზე ისევ გადაძვრა. საკუჭნაოში კატა აღარ დახვდა, მაგრამ კვლავ ვერაფერი მოახერხა. ნატვრისთვალი ისრის წვერზე იყო დამაგრებული და მიუხედავად დიდი მცდელობისა, იქამდე ვერ მიაღწია.

ხელმოცარული წრუწუნა თავის მეგობრებთან დაბრუნდა და მორიგი წარუმატებლობის ამბავი მოუყვა.

-სულელი ხარ! სულელი! ისრის ძირში მარცვალი უნდა გამოგეთხარა და ისარი თავისით წაიქცეოდა და ნატვრისთვალს აიღებდი,-უთხრა მაიმუნმა.

წრუწუნა სახლში შეძვრა და ისე მოიქცა, როგორც მაიმუნმა ურჩია. ისარი წაიქცა, მაგრამ ნატვრისთვალი წრუწუნასთვის მძიმე აღმოჩნდა და თავჩაქინდრული უკან დაბრუნდა.

დათვის ბელი ახლა სულ გაცხარდა:-ახლა შინ უნდა დავბრუნდეთ.

მაიმუნი ჩაფიქრდა და მერე თქვა:

-წრუწუნ, მე შენ თოკს მოგაბამ, შენ საკუჭნაოში დაბრუნდი, ნატვრისთვალი ოთხივე თათით მაგრად დაიჭირე, ჩვენ კი თოკით გამოვქაჩავთ.

აი ასე, ერთმანეთის დახმარებით ცხოველებმა ნატვრისთვალი წამოიღეს. მაიმუნმა ნატვრისთვალი პირში ჩაიდო და დათვის ბელს ზურგზე შეაჯდა, დაღლილი წრუწუნა კი დათვის ბელს ყურში შეუძვრა და დასასვენებლად წამოწვა. გზაზე მდინარე გადაეღობათ. დათვის ბელი მდინარეში მიცურავდა და თან ფიქრობდა: „-განა მე ძალოვანი არა ვარ? მე ერთს მაიმუნი, წრუწუნა მომყავს და თან ნატვრისთვალიც მომაქვს და კმაყოფილებით მეგობრებს შეეხმიანა.

წრუწუნას ეძინა და არაფერი გაუგია, მაიმუნს კი ლაპარაკი არ შეეძლო, რადგან პირში ნატვრისთვალი ეჭირა და ეშინოდა არ დაეკარგა. დათვს ეწყინა და დაიყვირა:

-თქვენ არ მეპასუხებით! ახლავ წყალში ჩაგყრით!

მაიმუნს შეეშინდა და დაიყვირა:

-არა! არა! და პირიდან მდინარეში ნატვრისთვალი ჩაუვარდა.

ნაპირზე გამოვიდნენ და მაიმუნმა დათვის ბელი გაკიცხა. ბელმა გაბურძგნული თავი ჩაღუნა,-თავს რით გაიმართლებდა?

-ჩხუბით საქმეს არაფერი ეშველება,-თქვა წრუწუნამ. -აი რა მოვიფიქრე და ხმამაღლა წრიპინებდა და მდინარის ნაპირზე აღმა-დაღმა დარბოდა.

ცოტა ხნის მერე მდინარიდან მისმა ბინადრებმა ამოიხედეს და იკითხეს:

-წრუწუნ! წრუწუნ! რას ქოთქოთებ?

-განა არ იცით, რომ ძლევამოსილი ჯარი გვიახლოვდება. ეს ჯარი მდინარის მთელ წყალს დალევს და თქვენ ყველა დაიღუპებით,-უთხრა მოხერხებულმა წრუწუნამ.

-რა გვეშველება? რა მოვიმოქმედოთ? -შეეშინდათ თევზებს, ბაყაყებს, კუებს, კიბორჩხალებს და წყლის გველებს.

-ხსნა მხოლოდ მდინარის გასწვრივ ჯებირის შენებაშია. ეს ჩვენც შეგვეძლო, მაგრამ მდინარის ნაპირზე ქვები არ არის.

მაშინ მდინარის ბინადრებმა მდინარიდან ქვების ამოტანა დაიწყეს და დათვის ბელი, მაიმუნი და წრუწუნა ჯებირის აშენებას შეუდგნენ.

ბევრი ქვა ამოიტანეს მდინარის ბინადრებმა, მაგრამ მათ შორის ნატვრისთვალი არ აღმოჩნდა. ბოლოს ნაპირზე ბაყაყი ამოძვრა, რომელსაც თათებით ნატვრისთვალი ეჭირა და თან ყიყინებდა:

-აი, ყველაზე მძიმე და ლამაზი ქვა!

-ყოჩაღ წრუწუნ!-დაიძახა მაიმუნმა, ნატვრისთვალს ხელი სტაცა და ისევ პირში შეინახა.

ამის მერე მაიმუნი დათვის ბელს ისევ ამაყად შეაჯდა, წრუწუნა ისევ ყურში შეუძვრა და გზას გაუდგნენ.

ნორბუმ არ იცოდა მეგობრებისთვის მადლობა როგორ გადაეხადა. მან ნატვრისთვალი ხელისგულზე დაიდო და წარმოთქვა:

-ოი ნატვრისთვალო! დაე, აქ, მეფის სასახლეზე დიდი პალატები აღიმართოს! დაე, ირგვლივ ხეხილის ბაღმა იხაროს! ხეებზე ჩიტებმა იგალობონ და ყვავილებმა იყვავილონ! დაე, ჩემს ერთგულ მეგობრებს ნურასოდეს დავშორდები! დაე, ნატვრისთვალიძუნწ და ბოროტ ადამიანებს ხელში ნუღარ ჩაუვარდება!

ნატვრისთვალმა ნორბუს ყველა სურვილი შეუსრულა. ის თავის მეგობრებთან ერთად დიდხანს, ბედნიერად და განცხრომით ცხოვრობდა და მისი შესანიშნავი სახლ-კარი ღარიბ-ღატაკთათვის ყოველთვის ღია გახლდათ.

სარჩევი

საოცარი მარცვლები;
ღარიბი, რომელმაც ქაჯი მოატყუა;
თეთრი ლომის მომთვინიერებელი;
ორი ძმა;
ქვის ლომი;
ნორსანი და მისი მეგობრები;
როგორ დაიჭირა ღარიბმა ჭაბუკმა მდიდარი ქურდი;
ცალთვალა იაკი;
ჩენსელი;
ძუნწი ლამა;
სილა და მაიმუნები;
ჩატატუტუ და ფასკუნჯი;
რატომ აქვს კურდღელს ტუჩი ორად გაყოფილი;
ბაყაყი და ყორანი;
კურდღელი და ლომები;
ამბე და რამბე;
როგორ გადაარჩინა კურდღელმა კულანი;
როგორ მეფობდა მელია;
თაგვი და სამი წრუწუნა;
გამჭრიახი რინჩენი;
მოჯადოებული პატარა ბაყაყი;
ბანორი და ჯადოქარი;
ქალიშვილი და დემონი ძმები;
სულელი ლოდუპი;
მოხეტიალე ფაკირი და ბოროტი მბრძანებელი;
გულადი;
გულითადი მეგობრობა.